# საერთო გაზეთი

№32 (765)
ოთხშაბათი
25 სექტემბერი,
2024 წ.
ფასი 2 ლ.




# „კრება აღარ ჩატარდება“

## ოპოზიცია საარჩევნო კამპანიას ქართველი ხალხის ნაცვლად დასავლეთთან აწარმოებს

## ვაშინგტონის კაბინეტებში ჰგონიათ, რომ საქართველო მათი შექმნილია





## 4000-მდე დაღუპული და დაშავებული – „მოსადის“ წარმოუდგენელი სპეცოპერაცია

## ცისფერი ნარღვნა

# მშვიდობა და უსაფრთხოება აუცილებელია ადამიანის უფლებებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად



ბატონო პრეზიდენტო! ძვირფასო სტუმრებო!

სამი წლის წინ გაერო-ს გენერალურმა მდივანმა შემოგვთავაზა მომავლის სამიტის ჩატარება, რომლის მიზანი იყო გლობალური კონსენსუსის მიღწევა უკეთესი აწმყოსა და შემდგომი თაობებისთვის უფრო დაცული მომავლის შესაქმნელად. დღეს ეს ხედვა რეალობად იქცა, რასაც მოწმობს ჩვენი დღევანდელი შეკრება, რათა აღვადგინოთ ნდობა და ვიპოვოთ გადაწყვეტილებები უკეთესი მომავლისთვის.

თანამედროვე სამყაროში, რომელიც უფრო კომპლექსური და სწრაფად განვითარებადია, სამართლიანი მომავლის მიღწევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჩვენს წინაშე უპრეცედენტო გამოწვევებია, პანდემიის შედეგებიდან დაწყებული, კონფლიქტებითა და სოციო-ეკონომიკური უთანასწორობის გაღრმავებით დამთავრებული.

გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენებამ აჩვენა, რომ მდგრადი განვითარების მიზნების მხოლოდ 17%-ია მიღწეული, რაც ჩვენგან მეტ აქტიურობას მოითხოვს. ამ კონტექსტში, მომავლის სამიტი უნიკალური შესაძლებლობაა გლობალური თანამშრომლობისა და მულტილატერალიზმის ძალის საჩვენებლად. საქართველო მზად არის, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად იმუშავოს ამ მიზნების მისაღწევად, რათა შესრულდეს 2030 წლის მიზნები.

მომავლის პაქტი გვაძლევს შანსს, სამიტის წარმატება მნიშვნელოვან ცვლილებებად ვაქციოთ, რაც მომავალ თაობებს უკეთეს მომავალს მოუტანს. ჩვენ მივესალმებით პაქტის დამტკიცებას და ველით მის სწრაფ განხორციელებას.

მშვიდობა და უსაფრთხოება აუცილებელია ადამიანის უფლებებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. პაქტი გლობალურ მშვიდობასა და უსაფრთხოებას შეუწყობს ხელს, რაც გაერო-ს წესდების პრინციპებზეა დაფუძნებული. ასევე, ციფრული შეთანხმება იქნება გეგმა ღია და უსაფრთხო ციფრული მომავლისთვის, სადაც ტექნოლოგიების გამოყენება ადამიანის უფლებების დაცვასა და გლობალურ კეთილდღეობას მოემსახურება.

გვჯერა, რომ ჩვენი პოლიტიკის ჩარჩოებში აუცილებელია მომავალი თაობების შეხედულებების გათვალისწინება, რათა ჩვენი ქმედებების გრძელვადიანი ზემოქმედება იქნას გათვალისწინებული და უზრუნველყოფილი. მომავალი თაობების შესახებ დეკლარაცია აუცილებელია იმისთვის, რომ მათი ხმა იქნას გაგონილი და მათი ინტერესები იყოს დაცული. ამ სამიტმა შექმნა პლატფორმა საერთაშორისო თანამშრომლობის გასაძლიერებლად. ახლა მთავარი ამოცანა იქნება ნაკისრი ვალდებულებების პრაქტიკაში განხორციელება და უკეთესი ხვალინდელი დღის შექმნა.

# ამ ადამიანებს უნდათ ქართველი ხალხის დასჯა

არავისთვის არ არის გასაკვირი, რომ რადიკალური ოპოზიციის მფარველებს უნდათ ქართველი ხალხის დასჯა ერთადერთი მიზეზის გამო - ქართველი ხალხი მყარად უჭერს მხარს „ქართულ ოცნებას“ და უარს ეუბნება რადიკალურ ოპოზიციას, კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ ნიუ-იორკში ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა.

მაკკეინის ინსტიტუტის ანგარიშთან დაკავშირებით, დასმული შეკითხვის საპასუხოდ პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ თავის დროზე ცალკეული NGO-ები აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებას.

„ეს, ალბათ, არავისთვის არ არის გასაკვირი, ამ ადამიანებს აქვთ პოლიტიკური დღის წესრიგი. თავის დროზე, როცა განიხილებოდა ქვეყნისთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭება, მაშინაც ეს ადამიანები, ამ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები, მათ შორის შესაბამისი NGO-ები აქტიურად ლობირებდნენ ვიზალიბერალიზაციის მინიჭების წინააღმდეგ. ამის შემდეგ გახსოვთ ანალოგიური პროცესები, რაც უკავშირდებოდა კანდიდატის სტატუსის მინიჭებას, აქაც ეს NGO-ები, ისევე, როგორც შესაბამისი პოლიტიკური პარტიები, პირდაპირ ლობირებდნენ კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ. ისინი არ სცემდნენ პასუხს კითხვაზე, იმსახურებდა თუ არა ქვეყანა კანდიდატის სტატუსს და ამ ნეგატიური კამპანიის ფონზე ქვეყანამ მიიღო კანდიდატის სტატუსი. ახლაც არავისთვის არ არის გასაკვირი, რომ ამ ადამიანებს უნდათ ქართველი ხალხის დასჯა ერთადერთი მიზეზის გამო - ქართველი ხალხი მყარად უჭერს მხარს „ქართულ ოცნებას“ და უარს ეუბნება რადიკალურ ოპოზიციას, კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“, თუმცა, ვფიქრობ, ყველაფერი ძალიან კარგად განვითარდება ჩვენი ქვეყნისთვის, ქართველი ხალხისთვის და საბოლოო ჯამში ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ დასახულ მიზნებს“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე გამოჩენილი პოეტის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის

გივი შაჰნაზარის

გარდაცვალების გამო მწუხარებს გამოთქვამს.

„ვწუხვარ გამოჩენილი პოეტის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის გივი შაჰნაზარის გარდაცვალების გამო. მრავალი ათწლეულის განმავლობაში ბატონ გივის უმნიშვნელოვანესი წვლილი შეჰქონდა ჩვენი ლიტერატურის განვითარებაში, ჩვენს კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გამორჩეულია მისი როლი ქართველ და სომეხ ხალხთა შორის მეგობრობის კიდევ უფრო გაძლიერებაში. თანავუგრძნობ გივი შაჰნაზარის ოჯახს, ჩვენს საზოგადოებას“, - აცხადებს პრემიერ-მინისტრი.

# გრძელდება შანტაჟი ბატონი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ

„გრძელდება შანტაჟი ბატონი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. იცით, რომ ის ისედაც არის დე-ფაქტო სანქციების ქვეშ, მას აქვს გაყინული ევროპაში 2 მლრდ აშშ დოლარი, თუმცა ახლა შანტაჟი გრძელდება უკვე სხვა ფორმით, ისმენთ მუქარას ფორმალური სანქციების დაწესებაზე. ვერც ასე და ვერც ისე ეს ადამიანები ვერ მიაღწევენ მიზანს. მიზანი ყველამ ვიცით, რაც არის - მათ სურთ, რომ ბიძინა ივანიშვილი აიძულონ, გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. რა თქმა უნდა, ეს შანტაჟი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება წარმატებული, ვერც ახლა. ვერ ისწავლეს ის, რომ წლების განმავლობაში რაც არ მუშაობს, ვერ იმუშავებს წლების შემდეგაც. აქედან გამომდინარე, ეს შანტაჟიც არის განწირული წარუმატებლობისთვის,”- განაცხადა პრემიერმა.





# „კრება აღარ ჩატარდება“...

ახლოვდება 26 ოქტომბერი, როცა კიდევ ერთხელ უნდა ითქვას გადამწყვეტი სიტყვა — დავიცვათ საქართველოში მშვიდობა, სარწმუნოება, ენა, წეს-ტრადიციები და ბრანწი ვუჩვენოთ ხილულ თუ უხილავ მტერს!

ზოგისთვის სამწუხაროდ, ბევრი ისეთი რამ მახსოვს, რაც არ უნდა მახსოვდეს და ისეთ დროს ვამბობ, მსმენელის ერთ ნაწილს გული უღონდება, მეორე ნაწილი კი ხარობს.

მაგალითად, კარგად მახსოვს მიხაილ ბულგაკოვის რომანიდან „ოსტატი და მარგარიტა“ ფრაზა: „ანუშკამ ზეთი უკვე იყიდა და, არა მარტო იყიდა, დაღვარა კიდეც... ასე რომ, კრება აღარ ჩატარდება.“

ანუშკას ზეთი 2012 წლამდე ჰქონდა ნაყიდი, დაღვრით კი, აუცილებლად უნდა დაღვრილიყო, რადგან უკვე წარმოუდგენელი იყო იმ ყველაფრის ატანა, რაც ხდებოდა: ადამიანების წამება, ადგილზე ლიკვიდაცია, შეკვეთილი მკვლელობები, გაუპატიურებები, ქონების მიტაცება, არჩევნების გაყალბება, სრული განუკითხაობა და თავაშვებულობა პარტიის ბოლო, ერთი უმნიშვნელო ჭანჭიკის ზეობით და ბოლოს, საქართველოს ტერიტორიების ხონჩით მირთმევა საქართველოს მეზობლებისთვის.

ახლა „კრების ჩატარებაზეა“ მიმდგარი საქმე, რომელიც აღარ ჩატარდება, მანამდე კი ნართაულებს რა გამომილევს.

მაგალითად, კარგად მახსოვს, წლების წინათ, კომუნისტურზე შავ-ბნელ დროში, ანუ მიხეილ სააკაშვილის ზეობის ხანაში, რა ჟივილ-ხივილი ატყდა, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენელი ევრაზიის საკითხებში, სახელმწიფო მდივნის მოადგილე ფილიპ გორდონი ჩამოდისო. აჟივჟივდნენ საფანტის ტყვიებივით გაშლილ-გაფანტული, ოპოზიციისგან დარჩენილი ცნობადი სახეები, არიქა, ხალხო, დავანახოთ ოკეანისგაღმელ მისტერ ფილლიპს, რამდენნი ვართ და რა შეგვიძლიაო — სხვის დასანახად არაფრისმომცემი თავყრილობების მოწყობას ხომ მთლად ვირუსის სახე აქვს დღემდე!

მთელი გაპოლიტიკურებული საქართველო ყიჟინას სცემდა, მე კი დღემდე ვერ მივხვდი, ან სააკაშვილის ხელისუფლებას რა ახარებდა, ან ოპოზიციას რა ახვანცალებდა. ფილიპ გორდონი, თორემ, ეგეც ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი აკროსტიქული იამბიკოსის ქარ4თველი ავტორი ფილიპე ბეთლემელი არ ყოფილიყო. ერთი ჩვეულებრივი იანკი იყო, რომლის ავანტიურისტი წინაპარი, ეშმაკმა უწყის, რომელი კონკისკადორის გემით მოხვდა უსაქმურობის გამო ევროპიდან უცხო კონტინენტზე; მეორე — სრულებით არ ანაღვლებდა იმ მისტერს, ვინ რამდენი იყო და მესამე, უმთავრესი — ნეტავ, რა უნდა ეჩვენებინათ, რაო, რა შეგვიძლიაო, უმარტივესი კონსტრუქციის ფარღალალა, ეგრეთ წოდებული დანომრილი საკნების წინ და უკან უმიზნოდ ჩოჩიალი და ამით გულის მოფხანა, რადგან პიკეტი ასე წარმოგვიდგენია ძირითადადო? (აქეთ-იქით მოჩოჩიალეთა უმრავლესობა ახლა „ნაცმოს“ ნავშია გადასკუპებული).

ჰო, ჩამოვიდა ის ფილიპი, კაი პური ჭამა, წავიდა და ოქროს დუმილის სანაცვლოდ რა გაატანეს „სამახსოვროდ“ და რამდენი, ეშმაკმა უწყის...

ახლაც, ვიღაც გზააბნეული „დაუძინებელი მეგობრები“ რომ ჩამოისეირნებენ ხოლმე, ან ოქტომბრის არჩევნებზე რაღაც დამკვირვებლებს რომ ველით, ფაქტობრივად, იმ ფილიპ გორდონის ბიძაშვილ-მამიდაშვილებს, — ესენი ხომ იგივენი არიან, ერთმანეთის კუდისმჭერლები და რატომ ვუშვებთ, რაში უნდა დაგვაკვირდნენ, მიხვრა-მოხვრაში თუ პატარძალივით, „ქართული ოცნების“ კანჭების სიწვრილე უნდა დაადგინონ.

რანაირად შეიძლება, რომ მხარე არჩევნების (ან სხვა, ნებისმიერი უმნიშვნელოვანესი საკითხი გადაწყვეტის) დამკვირვებელი იყოს, მით უმეტეს, რომ „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“ წინსწრებით დაგვადეს თავზე?

ვუთხრათ: მიკერძოებული ხარ, არ გენდობი! — და დამთავრდა!

თუ „არა“-ს თქმაა, ბოლომდე „არა“-ს თქმა იყოს!

სააკაშვილის ე. წ. ოპოზიცია, ჩვენ, საწყალი კანონმორჩილი ხალხი, ისე ვაპროტესტებდით, ნაგვის ურნაც არ გადატრიალებულა თბილისშიო, — ამას დაკვირვებული დამკვირვებლებიც თვითონვე აღნიშნავდნენ გაკვირვებულები. ესენი? „ქართული ოცნების“ ე. წ. ოპოზიცია, რეალურად სამშობლოს მტერი უსამშობლოები, ურნას გადაატრიალებენ კი არა, ცოცხლად წვავდნენ პოლიციელებს... ურნაო — ურნა კი არა, რომ მიუშვა, თბილისს გადაწვავავენ და შიგ გამობუგავენ ქართულად მოაზროვნეებს, კოლექტიური დასავლეთი და საქართველოს ე. წ. პრეზიდენტი კი კოცონზე ხელებს გაითბობენ და ხანგრძლივ ტაშსაც დაუკრავენ ცვედანური შეძახილებისა და როკვის დართვით...

ისე, ჩვენზე ბედნიერი ერი თუ არის ნეტავ, ქვეყნად კიდევ ვინმე? ერთ რამედ ღირს ჩვენი ოპტიმიზმი და სკლეროზი...

მაშინ, იმ საშინელ დროს, გარეშე პირები, ვინც თვალ-ყურს გვადევნებდა და ახსოვდა აგვისტოს ავბედითი დღეების შემდეგ დასამარხი ცხედრების ზურგზე ტაშფანდური და „გავიმარჯვეთ! გავიმარჯვეთ!“ მოძახილი, ფიქრობდა და ამბობდა, ვაი, ამათ პატრონს, ამ მართლა უპატრონოებისას, ესენი ვერ ყოფილან საკუთარ მატორზე თავიანთი პრეზიდენტის მსგავსად და ახია, რასაც იმსახურებენ, სწორედ იმას იღებენო.

ახლა ნაკლები პრეზიდენტი გვყავს? ის თუ „უბერავდა“, ესეც კარგად უბერავს, მაგრამ ეს ასაკშია და თან ქალია, ყველა ასპექტში არ კი არა, ველარ უბერავს, თორემ საქართველოს მავნებლობაში, გაგიხარია, „ჩოთქაობს“!

ის დარეხვილი, დღეს ვითომ პატიმარი, რეალურად „ვივამედის“ შეზღუდული გადაადგილების მქონე „პასაჟირი“, უსაქმურობისგან, ხან „ნოუ კამპზე“ ბურთს კენწლავდა, ხან ბოდრუმში იყო პურის საჭმელად, ხან ბარსელონაში, სტადიონზე რიგით მაყურებლად, ხან „ფორმულა-1“-ის ჩემპიონატს ესწრებოდა — დროს ისე ატარებდა, სრულებით არ ანაღვლებდა, როდის მოუწევდა საკუთარ ჩემოდნებზე ხელის წამოვლება და არც ის, რას ირატრატებდნენ ოპოზიციონერები. ეს ქალი ნაკლები უსაქმურია? — რაც ამან იწანწალა და იმავნებლა, ბოლოს „კოჭლ იხვად“ იქცა, ის დაშტვენილი ამას მაინც ასცდა...

ხალხი! ხალხი!

იოლია ხალხის სახელით ლაპარაკიც და მისი ხელით ნარის გლეჯაც, მაგრამ ჟამიდან ჟამამდე. საკმარისია, ხალხს იმედი დაუკარგო და ხალხი ზურგს აქცევს იმას, რასაც დღეს ბაბუაწვერას ყვავილედივით უფრთხილდება...

ხალხს არ აინტერესებს ყურით მოსმენილი დაქადნებული დაპირებები, ხალხს მოქმედება უნდა, იმ გზის გაჭრა, რომელიც ტაძრამდე მიიყვანს.

ბრძენს ჰკითხეს, ჩვენმა თანასოფლელმა უგვანმა კაცმა წლების განმავლობაში მთელი დედამიწა შემოირა, ათასი რამ საკუთარი თვალით იხილა და საკუთარი ყურით მოისმინა, მაგრამ რომ დაბრუნდა, ისეთივე დარჩენილიყო და რატომო? მას ხომ თავისი თავი ყველგან ზედ ებაო? — კითხვად დაუბრუნა პასუხი ბრძენმა.

ასეა, ყველა დროებაში ჩვენვე გვაბია ჩვენი თავი და რატომ ვართ ასე ან როდემდე უნდა ვიყოთ თავმოჭრილი ქათმებივით, ერთხელ და სამუდამოდ საშველი არ უნდა დაგვადგეს?

ისტორია მეორდებაო. აღარ გვინდა ისტორიის გამეორება, მით უმეტეს, ასე ხშირ-ხშირად — დავწეროთ ახალი ისტორია და ის გაგვიმეორდეს, ვის აკრძალვებს ვუგდებთ ყურს?



კი, ისტორია მეორდებოდა, — ადრე თუ მიხრწნილი ლეონიდ ილიჩის ჩამოსვლაზე გადავირიეთ, მერე ბუშის, კაჩინსკისა და სარკოზის ჩამოსვლამ გადაგვდგა ჭკუიდან, ხოლო თანამდებობრივად ხარახურა „დასავლეთელების“ ჩამოსეირნებას ხინკლის საჭმელად, ისეთ მნიშვნელობას ვანიჭებდით, თითქოს მესიის მდივნები იყვნენ...

შეწყდეს ეს გულისამრევი პოლიტიკური მიდი-შვიდი!

აქამდე საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და არსი ჩვენს მიერვე უკუღმართად იქნა გაგებული, ვერ ვითარდებოდა ჩვენი აზროვნება სწორი მიმართულებით, მაგრამ ახლა ხომ გამოვიხედეთ თვალში, ბოლომდე გავასწოროთ ფოკუსი!

აღიარება კარგია, მაგრამ დანაშაული თუ არ გამოასწორე, რა ფასი აქვს აღიარებას? თუ იგივე დააშავე კვლავ და კვლავ, მერე ისევ უნდა აღიარო და ასე ვიტრიალოთ დოლურაში გამომწყვდეული ციყვივით წრეზე?

ბატონმა პრემიერმა თქვა, 2012 წელს დავამარცხეთ სისხლიანი რეჟიმი და ვფიქრობდით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ველარასდროს განაცხადებდა პრეტენზიას ხელისუფლებაში დაბრუნებაზე, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, როგორ ღრმად ჰქონიათ ფესვები გადგმული და გლობალური გავლენის მქონე ძალის აგენტურას წარმოადგენდნენ და სწორედ გლობალური ომის პარტიის მფარველობის შედეგია, რომ ბოროტებასთან დღემდე გვიწევს ბრძოლაო.

მოგვიანებით რა გაირკვა! — აბა, კოაბიტაცია, რა, მაშველი რგოლი იყო? ერთი-ორი ბარტყი გადმოაგდეს და სამართალმაც და სამართლიანობამაც ჩაილურის წყალი დალია — ვერ უნდა მიხვედრილიყვნენ, რაშიც იყო საქმე?

ახლა, როდესაც მეტ-ნაკლებად ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა და ბოროტების მხილება გრძელდება, ვხედავთ, რომ ე. წ. დასავლეთის ცალკეულმა ორგანიზაციებმა და მაღალი რანგის ცალკეულმა პირებმა ჰანგი შეცვალეს, სხვა ხმაზე გვიმღერიან. ასე რომ, მხოლოდ წინ, არცერთი ნაბიჯი არც ადგილზე და არც უკან!

9 გვ. →

# ნუთუ საქართველოს ევროინტეგრაცია ლგბტ პროპაგანდაზე გადის?



***მსოფლიო ბანკის მონაცემების შესაბამისად, დანაშაულის ეფექტიანი კონტროლის ინდექსით, საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ოცეულშია, ევროპაში მე-10 ადგილზეა და დიდი შვიდეულის ექვს ქვეყანას უსწრებს. პარალელურად, სწორედ ეფექტიანი მუშაობის საშუალებით, შსს-მ პარლამენტის ყოფილი დეპუტატის, გივი თარგამაძის განზრახ მკვლელობის მცდელობის გამო, ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი კუდ-ის ყოფილი თანამშრომელი დარჩო ხეჩუაშვილი დააკავა, რომელიც, ჯერაც უცნობია, ყალბი სახელითა და გვარით ქვეყანაში რა მიზნით შემოდიოდა. საუბარი პარტია „ხალხის ძალის" წევრ ზურაბ ქადაგიძესთან ამ თემით დავიწყეთ:***

მსოფლიო ბანკის მონაცემები ხომ „საქსტატის" მონაცემები ან რომელიმე ქართული სახელისუფლებო ინსტიტუციის მიერ დადებული დოკუმენტი არ არის, რომ ვინმეს გაეყალბებინა! ეს არის საერთაშორისო შეფასება და სწორედ საერთაშორისო შეფასებებით არის საქართველო მოწინავე პოზიციებზე, არამხოლოდ მართლმსაჯულების თვალსაზრისით, არამედ დემოკრატიის ინდექსით, სახელისუფლებო გამჭვირვალობითა თუ უამრავი სხვა კომპონენტით. მოსწონს თუ არა ეს ვინმეს, ასეთია საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების შედეგები!

რაც შეეხება გივი თარგამაძის თემას, მისი მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ ხეჩუაშვილს დაუსწრებლად ჰქონდა პატიმრობა მისჯილი და იძებნებოდა. ეს ხეჩუაშვილმა, რასაკვირველია, თვითონაც იცოდა და საინტერესოა, არჩევნებამდე ერთი თვით ადრე რატომ მოიდომა საქართველოში დაბრუნება ყალბი დოკუმენტაციით?! აბსურდია, რომ ბრალდებული დამოუკიდელად მოქმედებდა. ამიტომ სასწრაფოდ უნდა გაირკვეს, რას გეგმავდა და ვისი დავალებით მოქმედებდა კუდ-ის ყოფილი თანამშრომელი გივი თარგამაძის ეპიზოდში და ვისი დავალებით მოქმედებდა ახლა, ასეთ კრიტიკულ პერიოდში.

**- ოპოზიციის მხრიდან პროვოკაციები გრძელდება და უახლოესი ერთი თვის განმავლობაში ამის არაერთი მცდელობაა მოსალოდნელი. როგორ უმკლავდება მმართველი გუნდი მათ შემოტევებს?**

- კოლექტიური „ნაცმოძრაობა", თავიანთი განულებული რეპუტაციიდან და გაკოტრებული ელექტორატიდან გამომდინარე, ცდილობს, ფასადურად შექმნას ქაოსი. მაგალითად, აგზავნიან პროვოკატორებს და თავს ესხმიან დელეგატებს, როდესაც ისინი შეხვედრაზე არიან, ხვდებიან და უცენზურო სიტყვებით ლანძღავენ მოქმედ დეპუტატებს საერთაშორისო აეროპორტებში, სუპერმარკეტებში თუ სხვაგან, რომ შემდეგ ეს გადაიღონ, თავიანთი ტელევიზიებით გააშუქონ და შექმნან ფასადი, რომ თითქოს მოსახლეობა ისეა გამწარებული, ქუჩაშიც აღარ ინდობენ ხელისუფლების წარმომადგენლებს. ყველა შემთხვევაში, მალევე იშიფრება მათი მედიასაშუალებებიდან წამოსული ყალბი ინფორმაციის ნიაღვარი და აღმოჩნდება ხოლმე, რომ ეს „გამწარებული" მოქალაქე, რომელიც ქვების სასროლადაც მზად არის, თურმე ჩვეულებრივი პარტიული აქტივისტია.

ასე რომ, რეალობა სხვა. ჩვენ დავდივართ ქალაქში, რეგიონებში, ვხვდებით მოსახლეობას, რომელსაც არაერთი მოსაგვარებელი პრობლემა აქვს სოციალური თვალსაზრისით, მაგრამ ისე არ არის საქმე, როგორც ეს პროვოკატორები წარმოაჩენენ! საზოგადოება ძალიან გაზრდილი და ჩამოყალიბებულია იმასთან შედარებით, როგორიც, დავუშვათ, 2000-იან წლებში იყო და მას უკვე აქვს ფაქტების გაანალიზებისა და გადამოწმების უამრავი საშუალება. ბევრი მოქალქე შეიძლება შეგვხვდეს კრიტიკული მიდგომებით, რომელსაც რაციონალურ საუბარში ან ვარწმუნებთ, ან ვერ ვარწმუნებთ, მაგრამ კოლექტიური „ნაცმოძრაობა" მოქმედებს ერთი მეთოდით, - შექმნან ფასადი, რომ თითქოს საზოგადოება კატასტროფულ მდგომარეობაშია, რაც არ არის რეალობა.

მხოლოდ რაციონალური მიდგომებით და საზოგადოების მეტი ინფორმირებულობით არის შესაძლებელი, რომ რადიკალების ფეიკ-აღშფოთებებს თუ ყალბ ინფორმაციებს დავუპირისპირდეთ ისე, როგორც ამას აქამდე ვაკეთებდით.

**- არჩევნების წინ ოპოზიციაზე არანაკლებ მათი დასავლელი პარტნიორები ღელავენ. მაგალითად, პოლონელი დიპლომატი პაველ ჰერჩინსკი იმუქრება, რომ „თუ არჩევნები სამართლიანად არ ჩატარდება", შესაბამის ზომებს მიიღებენ...**

- რადიკალების დასავლელი პატრონები სრულიად რეალურად აფასებენ თავიანთი გავლენის ბენეფიციარების მდგომარეობას, ყველანაირი მეთოდით ცდილობენ, კოლექტიურ „ნაცმოძრაობას" სახე შეუნარჩუნონ და მთავარ ოპოზიციურ ძალად დატოვონ. ამიტომაც არ უნდა გვიკვირდეს, როცა უცხო ქვეყნების ოფიციალური პირები აკეთებენ ისეთივე განცხადებებს, როგორსაც აკეთებს, მაგალითად, თინა ბოკუჩავა და ლევან ხაბეიშვილი, გიორგი გახარია თუ სალომე ზურაბიშვილი... ამ შემთხვევაში მაშველ რგოლად ევლინებიან პატრონები თავიანთ ხელქვეითებს, თორემ მათ, მგონი, ჩვენზე უკეთ იციან, რომ კოლექტიურ „ნაცმოძრაობას" არანაირი პერსპექტივა არა აქვს და არჩევნებს კვლავაც „ქართული ოცნება" მოიგებს. მათ იციან, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის აღების შემთხვევაში, აგენტოკრატია, როგორც მოვლენა, მომენტალურად დასრულდება, ისინი დატოვებენ საკუთარი გავლენის ბენეფიციარებს და გარე ძალების მიერ ნაკვები ოპოზიცია საზოგადოებაზე გავლენას ვეღარ მოახდენს. ყველა მათი განცხადება ამ მიზნებს ემსახურება. წარმოიდგინეთ, საქართველოში ოპოზიცია ისეთ უმწეო მდგომარეობაშია, რომ უცხოეთის ელჩი ესაჭიროება მაშველ რგოლად, თორემ, სხვამხრივ, გადარჩენის შანსი არა აქვს!

**- მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა ოსებთან შერიგების გზებზე ისაუბრა, აღმოჩნდა, რომ თურმე ვიღაც-ვიღაცები ჩვენს ქვეყანაში ოსებსა და აფხაზებს მტრად მიიჩნევენ და არც ამის აღიარებას ერიდებიან. თქვენ როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ურთიერთმიტევება ამ ადამიანების და ჩვენი ტერიტორიების დაბრუნების საშუალება?**

- ბატონი ბიძინა ივანიშვილის განცხადება არის ძალიან სწორი და მიზანმიმართული განსაკუთრებით ახლა, როცა დეოკუპაციისკენ პირველი ნაბიჯების გადადგმას ვიწყებთ. ეს განცხადება, პირველ რიგში, იმის დასადასტურებაა, რომ მშვიდობას ალტერნატივა არ გააჩნია. აფხაზი და ოსი საზოგადოება უნდა დარწმუნდეს, რომ არავინ ცდილობს რევანშს, არავინ ცდილობს იარაღის ჟღარუნით საუბარს და არავინ ცდილობს დაპირისპირებით ფონს გასვლას ქართული მხარიდან. ოსი და აფხაზი საზოგადოების ინტეგრაცია საქართველოში უნდა იყოს შერიგების საფუძველზე შექმნილი ერთობა. თანაცხოვრებით, ერთად უნდა ავაშენოთ ჩვენი ქვეყანა. შეიძლება ფილოსოფიურად ჟღერს, მაგრამ ვსვამ ერთ რიტორიკულ შეკითხვას, - თუკი არსებობს დეოკუპაციის ორი გზა: ერთი ომით და ძალადობით მიწასთან გასწორება და მეორე მშვიდობიანი მოლაპარაკებებით შერიგება, - რომელს ირჩევს აქედან ცივილიზებული საზოგადოება?! მამუკა მდინარაძემ სწორად დასვა საკითხი და მართლაც, თუ აფხაზები და ოსები ჩვენი დები, ძმები, ნათესავები და ახლობლები არიან, მათ იარაღით უნდა ვესაუბროთ? თუ ამ რიტორიკით წავალთ, მაშინ ომისთვის უნდა ვემზადოთ და თუკი ომით დავიბრუნებთ ჩვენს ისტორიულ კუთხეებს, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, რას ვუშვებით ადგილობრივ მაცხოვრებლებს - ვხოცავთ?! ვყრით ამ ადამიანებს საკუთარი მიწა-წყლიდან? აფხაზეთი და სამაჩაბლო ხომ ამ ადამიანებისაც არის, ისევე, როგორც ჩვენი, ქართველების! ეს არის რეალობა და ამ რეალობაში უნდა იცხოვრონ მათ ქართველებთან ერთად. თუ მტრები არიან, მაშინ როგორ ექცევიან მტერს?! - აქ მთავრდება რადიკალების ბოროტი ზრახვები და ძალადობრივი პოლიტიკა. აღმოჩნდა, რომ საქართველოში, თურმე, გარკვეული ნაწილი და, საბედნიეროდ, ძალიან ცოტა ადამიანი ფიქრობს, რომ აფხაზები და ოსები ჩვენი მტრები არიან. იმდენად ურეცხავენ ტვინს საკუთარ ჟურნალისტებს ნაციონალების პარტიული მედიასაშუალებები, ამაყად აცხადებენ ამას, რომ დიახ, ისინი მტრები არიან! ხომ წარმოგიდგენიათ, ახლა რა ხდება მათ ტელევიზიებში, როგორი განწყობებია და რა პროპაგანდას ეწევიან! ჯერ „წვრილფეხობას" გამოყრიან და თუ არ უშველათ „ნარატივმა", „მსხვილფეხობაც" მალე ჩაებმება ბოროტების ფერხულში. რაც უფრო ნათლად გამოიკვეთება დეოკუპაციის გზა, ესენი მოუმატებენ ნაღმების დადებას. ამაზე მეტი ღალატი, სიბინძურე და საკუთარი სამშობლოს მტრობა მე არ ვიცი!




**- ბატონო ზურა, უცნაურად დაემთხვა ცნობილი ტრანსგენდერი ქალის მკვლელობა „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ" კანონის მიღებას, რაც რადიკალებმა „ჰომოფობიურ კანონად" მონათლეს და აღნიშნული მკვლელობაც, გარკვეულწილად, მას დაუკავშირეს. ფაქტს თავისებურად გამოეხმაურა ქვეყნის პრეზიდენტი და თვით გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხაელ როთიც კი...**

- სალომე ზურაბიშვილი უკვე წლებია, საკუთარი გაცხადებებითა და საქციელით ნელ-ნელა მიჩოჩავდა, ახლა კი საბოლოოდ გადავიდა კოლექტიურ „ნაცმოძრაობაში". აბსოლუტურად აღარაფრით განსხვავდება ის უკვე მიხეილ სააკაშვილისგან, ვანო მერაბიშვილისგან, მეგის ქარდავასგან... ესენი საერთო მახინჯი იდეოლოგიისა და ბოროტი აზროვნების მატარებლები არიან. კოლექტიური „ნაცმოძრაობის" იდეოლოგია, არის ის, რომ ყველგან და ყოველთვის, როცა კი ამის საშუალება ეძლევათ, ადამიანების ტრაგედია პოლიტიკამდე დაახურდავონ და ამით სცადონ პოლიტიკური ქულების ჩაწერა. ეს უკვე არაერთხელ ვნახეთ. ჩვენ ვნახეთ, რომ პარლამენტის კიბეებზე გაშალეს ამ საცოდავი ადამიანის ფოტოები და მისი მკვლელობა წინა დღით მიღებულ კანონს დაუკავშირეს. თითქოს მკვლელს სწორედ ამ კანონის არარსებობა უშლიდა ხელს და მისი მიღებისთანავე გაეხსნა ხელ-ფეხი დანაშაულის ჩასადენად! აბსურდის დონეზე არიან ეს ადამიანები.

ყოფილმა სახალხო დამცველმა, უჩა ნანუაშვილმა დაღუპული ტრანსგენდერების სია რომ გამოქვეყნა, იქედან ერთ-ერთი, გვარად ქისტაური ბელგიაში მოკლეს და დღემდე დამნაშავე ვერ უპოვიათ! რომელ საქართველოს ედრებიან და რომელ ტოლერანტობაზე საუბრობს როთი, ეს მახინჯი ფსიქიკის ადამიანი! ესენი როგორ საუბრობენ, რომ თითქოს ქართული საზოგადოება მოძალადე საზოგადოებაა?!

ახლახან ჯოზეფ ბორელმა მოგვიწოდა, გავაუქმოთ კანონი ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის თაობაზე. იქამდე „ჰიუმან რაითსმა" მოგვიწოდა იგივე, მანამდე გერმანიის, დანიის და სხვა ევროპული ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროებმა მოგვიწოდეს... ამბობენ, რომ ამ კანონით ადამიანის უფლებები იზღუდება, მაგრამ ვერავინ შედის მსჯელობის სიღრმეებში მარტივი მიზეზის გამო - არაფერი არ იზღუდება, ეს მოგონილი მიზეზებია, ჩვენი ქვეყანისთვის შარის მოსადებად.

მაშინ ისმის კითხვა - რაშია საქმე, ნუთუ საქართველოს ევროინტეგრაცია ლგბტ პროპაგანდაზე გადის? ვისურვებდი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ღიად, პირდაპირ დაუსვას შეკითხვა ბორელს, დანიგანს, სტანოს და ევრობიუროკრატიის ყველა იმ წარმომადგენელს, რომელიც საქართველოს ამუნათებს! ვიკითხოთ - თუ საქართველოში ლგბტ პროპაგანდას დავუშვებთ, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი დაჩქარდება? და თუ ამ შეკითხვაზე პასუხი გვეცოდინება, მაშინ ჩვენ, ქართველები, თავად გადავწყვეტთ, საქართველო რა გზით განაგრძობს სვლას!




**ნონა ქარქაშაძე**

# პრეზიდენტობის საუკეთესო კანდიდატად ბიძინა ივანიშვილი მიმაჩნია



*გვესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ მაისურაძე:*

**– ბატონო თემურ, ჩვენთან წინა ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ ქართველებმა, აფხაზებმა და ოსებმა ერთმანეთს ბოდიში უნდა მოვუხადოთ და შერიგების პროცესიც სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ. რამდენიმე დღის წინათ, ბიძინა ივანიშვილმაც, ფაქტობრივად, იგივე განაცხადა...**

– შეუძლებელია, ისაუბრო ტერიტორიის აღდგენაზე იქ, სადაც ადამიანებს შორის სიძულვილია. ისტორიულად უამრავი ბრძოლა გვქონია ქვეყნებს შორის, სამთავროებსა თუ სამეფოებს შორის, მაგრამ დღემდე მოვედით და სახელმწიფოებრიობა შევინარჩუნეთ სწორედ იმის გამო, რომ ერთმანეთს მივუტევეთ და შეცდომები ვაპატიეთ. ყოფილა ძმათა მკვლელი ომები, მაგრამ შერიგებულან! ზიზღისა და სიძულვილის ლოგიკური დასასრული, პირველ რიგში, ბოდიშის მოხდა და ერთმანეთისთვის თვალებში ჩახედვის უფლების მოპოვებაა! უამრავი შემთხვევა ყოფილა, როდესაც ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ადამიანები შერიგების შემდეგ კიდევ უფრო დაახლოებულან. ორივე მხარე უფრთხილდება იმ აღდგენილ ურთიერთობას, რადგან ორივეს ახსოვს, რა მოსდევს შუღლს, სიძულვილს, და დაპირისპირებას. ამიტომ, მიუხედავად იმისა, თუ რა პოლიტიკური სარჩული ჰქონდა ამ ყველაფერს, ყოველგვარი განხილვის გარეშე, იმის მიუხედავად, თუ რომელი მეტად ან ნაკლებად არის დამნაშავე, ქართველებმა, ოსებმა და აფხაზებმა ერთმანეთს ბოდიში უნდა მოვუხადოთ და მივუტევოთ! ამის შემდეგ უკვე შესაძლებელია ბევრი რამის ახსნა და დიალოგი ერთმანეთთან. უნდა მოვილაპარაკოთ ურთიერთობების მოგვარებაზე, ჩვენ მსგავსი გამოწვევების წინაშე ვდგავართ და იქნებ, ვინმეს აქვს უკეთესი ვარიანტი, თუ როგორ გადავლახოთ ერთად ეს ყველაფერი. ჩვენ გვახსოვს ცუდი, მაგრამ გვახსოვს ძალიან ბევრი კარგიც. ურთიერთმიტევება არის გზა მოლაპარაკებისკენ და მშვიდობისაკენ - გზა ერთობისკენ! ჩვენ უნდა გამოვნახოთ საერთო ენა, თუ როგორ ვითანამშრომლოთ, თანამშრომლობის როგორი ფორმა მოუტანს სარგებელს მხარეებს, რა გვაქვს დღეს და რა სარგებელი შეიძლება გვქონდეს, თუკი გავერთიანდებით, რა პერსპექტივები აქვს ამ ურთიერთობებს! ამ ყველაფრის დალაგება კი გონიერ, ჭკვიან ადამიანებს შეუძლიათ, რომლებსაც აქვთ წინასწარ მოფიქრებული შეთავაზება და ურთიერთობის ფორმა. ეს არის ჩემი მოდელი, კარგა ხანია, ამაზე ვსაუბრობ და მიხარია, რომ ხელისუფლებამ, რამდენიმე დღის წინ, სწორედ იგივე განაცხადა. დიახ, ჩვენ უნდა დავიწყოთ!

**– თქვენ გაქვთ პირადი ურთიერთობები ოსური და აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლებთან და თქვენი აზრით, როგორ მიიღებს ამ განაცხადს მათი ჯანსაღი ნაწილი?**

– ჯანსაღი ნაწილი მიიღებს ზუსტად ისევე დადებითად, როგორც ჩვენთან. სავარაუდოდ, მათი მოსახლეობის 70 პროცენტი იქნება მომხრე, რომ მოლაპარაკებები შედგეს, დანარჩენი 30 პროცენტიდან, - როგორც ჩვენთან, ასევე მათთან, ზოგი სეპარატისტული აზროვნების სუბიექტი იქნება, ზოგი ემოციური პიროვნება და ზოგიც გაყიდული, რომლებიც სარგებლობენ ამ დაპირისპირებით. ასეთი ინტერესებიც არსებობს, რომ არის დაპირისპირება - არის შემოსავლები; შეწყდა დაპირისპირება - შეწყდა შემოსავლები! ჩვენ ბევრი გვყავს საზოგადოებაში ასეთი ადამიანი და იგივე პროპორციით ეყოლებათ ჩვენს ოსსა და აფხაზ ძმებს. ამაში ეჭვი არ მეპარება.

**– რაც შეეხება ჩვენს „გაყიდულებს“, როგორ ფიქრობთ, გაამართლებს მათი გაერთიანების მცდელობა?**

– ჩვენი რადიკალები, ლოგიკურად, უნდა უფრთხილდებოდნენ თითოეულ დაკარგულ ხმას, რადგან თუ ბევრი ხმა დაიკარგება, ოპოზიციის ან სხვა სუბიექტების მხრიდან, რომლებიც ვერ გადალახავენ ბარიერს, ეს ხმები საბოლოოდ ჯამდება და პროპორციულად, მიღებული ხმების შესაბამისად ინაწილებენ ის პარტიები, რომლებმაც ბარიერი გადალახეს, იქიდან გამომდინარე, ვინ რამდენი პროცენტი მიიღო საბოლოო ჯამში. ამ ლოგიკური ჩარჩოდან გამომდინარე, დასავლეთი „აწვება“ კონკრეტულ სუბიექტებს, რადგან, თუ ესენი ვერ გადალახავენ ბარიერს, ხმები იკარგება, და შესაბამისად, „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობის გადალახვის მეტი საშუალება ეძლევა. ამ პარტიებს შეუძლიათ ბოიკოტი გამოაცხადონ, როგორც წინა არჩევნების შემდეგ და არ შევიდნენ პარლამენტში. თუ არ არსებობს საკონსტიტუციო უმრავლესობა, ანუ ე.წ. ¾, პარლამენტი არალეგიტიმურად ითვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტს საკონსტიტუციო ცვლილებების უფლებამოსილება არ გააჩნია და არჩევნები თავიდან უნდა ჩატარდეს. თუ „ქართული ოცნება“ მიიღებს საკონსტიტუციო უმრავლესობას და თუნდაც ერთი ხმით მეტს, რაც, დიდი ალბათობით, მოსალოდნელია, მაშინ ოპოზიცია, თავიანთ პატრონებთან ერთად, იძულებული იქნება, ააგოროს მეორე ვარიანტი, რომ „არჩევნები გაყალბდა“.

მე, მაგალითად, დავაწესებდი სანქციებს და საქართველოში არ შემოვუშვებდი არჩევნების პერიოდში იმ პოლიტიკურ სუბიექტებს, კონკრეტული თანამდებობის პირებს, თუ პარლამენტის წევრებს ჩვენი პარტნიორი ქვეყნებიდან, რომლებიც აშკარად გამოხატავენ ტენდენციას, მხარს უჭერენ „ნაციონალურ მოძრაობას“ და თავს ესხმიან „ქართულ ოცნებას“. მეორე - ყველა ღონისძიებას ჩავატარებდი, რათა იმაზე მეტი „შავი ფული“ არ შემოვიდეს ქვეყანაში, რაც დღემდე უკვე შემოსულია. მესამე - ყველაფერს გავაკეთებდი იმისათვის, რომ არჩევნები ჩატარდეს რაც შეიძლება სუფთად და დავაფიქსიროთ ყველა დარღვევა ოპოზიციური ძალების მხრიდან და მეოთხე - არ მივცემდი შანსს არჩევნების შემდეგ რადიკალებს, სიტუაციის ასარევად. დაუშვებელია საქართველოში პროცესების არევა, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას ომი არ აცდება, ან ისეთი გავლენების ქვეშ მოექცევა, რომელიც ჩვენს გეოპოლიტიკურ ვითარებას დააზიანებს.

კონფლიქტი დღეს აწყობს მხოლოდ აშშ-ს და მის იძულებით მხარდამჭერ ევროპულ ძალებს და არა ამ სახელმწიფოების მოქალაქეებს. ამ ქვეყნების ელიტის წარმომადგენლები წლების განმავლობაში დიდი კაპიტალის მფლობელები გახდნენ, ყველა მმართველი რგოლი დღეს ევროპასა და აშშ-შია და ერთიერთში წააგავს მათი თითოეული ლიდერი მიხეილ სააკაშვილს. ანუ „მიხეილ სააკაშვილი უკრაინა“ არის ზელენსკი, „მიხეილ სააკაშვილი აშშ“ არიან ბაიდენი და მისი მიმდევრები, „მიხეილ სააკაშვილის“ არაერთი ავანტიურისტი „მოდელია“ ასევე, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. შესაბამისად, სისტემის შესაცვლელად საჭიროა, რომ საზოგადოებამ ეს ბნელი ძალები დაინახოს და უახლოეს არჩევნებში შესაბამისი რეაგირება მოახდინოს. ისინი ეცდებიან, მაგრამ ჩვენ იმის უფლებამოსილება შეგვწევს, რომ არეულობა არ დავუშვათ! ვისაც რევოლუცია და სამოქალაქო ომი უნდა ამ ქვეყანაში, ღმერთმა იქით შეუბრუნოს, თავისკენ! არავის ვწყევლი, მაგრამ, ვისაც როგორი სიკეთე უნდა საქართველოსთვის, ისეთივე ენახოს თავის ქვეყანაში!

**– ბიძინა ივანიშვილის პირველ ნომრად დასახელება ახალ საპარლამენტო სიაში, ალბათ, ბევრისთვის მოულოდნელი იყო. ამ ფაქტს როგორ შეაფასებდით?**

– გამიხარდა, რადგან ამ ფაქტმა შესაძლოა, ბევრი პრობლემა მოაგვაროს. პირველ რიგში, ვეღარავინ იტყვის დასავლეთიდან, რომ საქართველოს სახელმწიფოს ვიღაც „კულისებიდან“ მართავს და ამ „ბრალდებას“ სათავისოდ ვეღარავინ შეატრიალებს. მე, მაგალითად, მხარს დავუჭერდი, რომ ახალი კანონის თანახმად, ბიძინა ივანიშვილს პარლამენტმა პრეზიდენტად უყაროს კენჭი, იმიტომ, რომ 2012 წლიდან დღემდე, ჩვენ ყოველთვის აცდენა გვაქვს სახელმწიფოს მმართველობასა და პრეზიდენტს შორის. არადა, მნიშვნელოვანია, რომ ჰარმონიულობა იყოს პრეზიდენტსა და მთავრობას შორის და რადგან ბიძინა ივანიშვილი არის სიის პირველი ნომერი, პრეზიდენტობის საუკეთესო კანდიდატადაც სწორედ ის მიმაჩნია.

არასოდეს ვყოფილვარ იმისი მომხრე, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა ერთი პარტიის ხელში ყოფილიყო, მაგრამ დღეს ისეთი გეოპოლიტიკური საფრთხეების წინაშე ვდგავართ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთპარტიულ სისტემას შეუძლია სწრაფად შეცვალოს ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. სხვა შემთხვევაში, პარლამენტში იქნება ქაოსი და არეულობა, რასაც შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოს ნგრევის პროცესი. ეს ჩვენ უკვე ორჯერ გამოვცადეთ - ერთხელ ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში, როდესაც არაკომპეტენტური ხელისუფლება და ძალიან ჭრელი პარლამენტი ჩამოყალიბდა და მეორე შემთხვევა იყო დასავლეთის მიერ მოსყიდული მიხეილ სააკაშვილის ასევე არაპროფესიონალთა ჯგუფი, რომელიც ხელისუფლებაში დასავლეთის იმედად მოვიდა და კი ვნახეთ, რაც დამართა ქვეყანას. თუკი ქართული საზოგადოება ისევ დაუშვებს, რომ ქვეყანაში 2008 წლის ომი და სააკაშვილის სასტიკი რეჟიმი განმეორდეს, მაშინ, ბოდიში და, მე პრეტენზია მექნება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოსახლეობასთან!



**– გეთანხმებით, მოსახლეობის როლი, ამ შემთხვევაში, განუზომელია. რას ეტყოდით ქართველ ამომრჩეველს?**

– ბევრ ადამიანს ვიცნობ, რომელიც „ნაცებს“ ვერ იტანს, მაგრამ არც „ქართულ ოცნება“ მოსწონს და მასზე ბევრი მიზეზის გამო არის გაბრაზებული სრულიად სამართლიანად. თუმცა, თუკი ეს ადამიანები არჩევნებზე არ წავლენ, ეს იქნება მიზეზი იმისა, რომ შეიძლება საარჩევნო პროცენტულობა პარიტეტამდე მივიდეს. ანუ, თუ მოსახლეობის 40-45 პროცენტი არ წავა არჩევნებზე, დანარჩენი ხმები გაიყოფა - კი, შეიძლება „ქართულ ოცნებას“ 50-პროცენტზე მეტი ხმა ჰქონდეს და რა თქმა უნდა, ასეც იქნება, მაგრამ ხმათა დარჩენილი რაოდენობა შექმნის გამოუსწორებელ პრობლემებს მომავალ პარლამენტში. საჭიროა არჩევნებზე მისვლა და გონივრული გადაწყვეტილების მიღება, რადგან მეორე მხარეს არის მხოლოდ და მხოლოდ საფრთხე! სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ ვერ შეიქმნა სხვა ძალა, რომელსაც შეიძლება ენდო. ეს დაჭაობებული სუბიექტები კი გასაყვანი არიან პოლიტიკური ველიდან. მე, მაგალითად, ავუკრძალავდი საჯარო სამსახურში მუშაობას და ამა თუ იმ პარტიის სახელით კენჭისყრას სისხლის სამართლის დანაშაულებებისთვის ნასამართლევ პირებს. როგორ შეიძლება, რომ ასეთმა ადამიანებმა პოლიტიკური პარტიები შექმნან და არჩევნებში კენჭი იყარონ, მერა რა, რომ პრეზიდენმა შეიწყალა ისინი! ძნელია ასეთ ვითარებაში სწორი არჩევანის გაკეთება და სწორედ ამიტომ უნდა გადავდოთ გვერდზე ჩვენი წყრომა, სიბრაზე და პრაგმატულად შევხედოთ, რა შეიძლება მოჰყვეს ჩვენს უმოქმედობას. თუ რადიკალური ძალები შეეცდებიან, არეულობის გზით ხელისუფლებაში მოვიდნენ, დარწმუნებული ვარ, საპასუხოდ, მათ უმრავლესობა წინ აღუდგება და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ კიდევ ერთ სამოქალაქო ომამდე მივიდეთ!

თუკი გაბრაზებული ადამიანები არჩევნებზე არ მივლენ, ეს შეიძლება გახდეს მიზეზი იმისა, რომ ლიდერთა ლიდერად თინა ბოკუჩავა ვიხილოთ, ცალკეულ ლიდერებად კი - ანი წითლიძე, სოფო ჯაფარიძე და ნიკა გვარამია... მე, პირადად, ამის წარმოდგენაც კი გულს მიხეთქავს! ამიტომ, შეიძლება ვიღაცას ღარიბაშვილი არ მოსწონდეს, ბიძინა ივანიშვილი არ მოსწონდეს, მაგრამ ხომ უნდა აწონ-დაწონო, საით მეტი საფრთხეა! პირობითად, „ქართული ოცნების“ არჩევის შემთხვევაში, დაპირებები ან შესრულდება, ან არ შესრულდება, მაგრამ ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში, ასი პროცენტით ვიცით, რომ ყველაფერს ვაგებთ, სახელმწიფოებრიობის ჩათვლით! ხომ არ შეიძლება, ეს ორი რეალობა ერთმანეთის საპირწონედ დადო! ეს უნდა გაიგოს მოსახლეობამ!

**ნონა ქარქაშაძე**

# ვაშინგტონის კაბინეტებში ჰგონიათ, რომ საქართველო მათი შექმნილია



*გვესაუბრება „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის" ხელმძღვანელი ლევან მამალაძე:*

**— ბატონო ლევან, ევროკავშირის ელჩის განცხადებით, თუ ხელისუფლება არჩევნებში გაიმარჯვებს, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერების საფრთხე რეალური გახდება...**

— მსგავსი განცხადებები პირველად როდი გვესმის. ჰერჩინსკიმდე ამაზე საუბრობდნენ ევროპარლამენტში და სხვაგანაც, სულ ახლახან კი იგივე პიტერ სტანომაც გაიმეორა. ანუ, რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მუქარის სიმძაფრე მატულობს. მოცემულობა ასეთია: დასავლეთი ცდილობს, არჩევნებზე გავლენა მოახდინოს და ის შედეგი მიიღოს, რაც თავად სურს. ამიტომ, მნიშვნელობა არ აქვს, არჩევნები სამართლიანად ჩატარდება თუ უსამართლოდ, თუკი დასავლეთის მიერ დაფინანსებული მეხუთე კოლონა არ გაიმარჯვებს, სხვა ყველა შედეგი არალეგიტიმურად იქნება ცნობილი. პარტნიორები არ აპირებენ, „ქართული ოცნების" გამარჯვების შემთხვევაში, არჩევნების შედეგები აღიარონ. ვიმეორებ, თუ ოპოზიცია პარლამენტში უმრავლესობას ვერ შექმნის, ყველა სხვა შედეგი მათთვის არალეგიტიმურად ჩაითვლება.

**— ჰერჩინსკიმ გაიხსენა, როგორ არ აღიარეს არჩევნები ბელარუსში და ჩვენც იგივეთი დაგვემუქრა...**

— საქართველოს და ბელარუსის ამ კუთხით შედარება აბსურდია. ბელარუსში სიტყვისა და თავისუფლების გამოხატვის უფლება, ადამიანის უფლებების დაცვა, ფაქტობრივად, უცხო ხილია.

რა მნიშვნელობა აქვს, ვის შეგვადარებენ, როცა მათი სურვილი საქართველოში მორჩილი ხელისუფლების ყოლაა. წარმოიდგინეთ, ჩვენი ქვეყანა იმპერია რომ იყოს და პატარა საქართველო არ ემორჩილებოდეს, როგორ მოიქცეოდა?! დაუმორჩილებლობისთვის წარსულში, ალბათ, ჯარს ან ფლოტს გამოგზავნიდნენ, ახლა ამის საშუალება არ არის. პირდაპირ ბომბს ხომ არ გვესვრიან? თავიანთ მიერვე დაფინანსებული მეხუთე კოლონა, ნჯო-ები აგერ არ ჰყავთ?! მათი მეშვეობით შეეცდებიან, ქვეყანაში დაძაბულობა, დესტაბილიზაცია შექმნან და ხალხის მღელვარება გამოიწვიონ. ხალხს კი იმ ნჯო-ებს უწოდებენ, რომელთაც თავად აფინანსებენ. სხვა ხალხი მათთვის არ არსებობს. ქართველი ხალხი მათთვის მხოლოდ უცხოეთიდან დაფინანსებული სხვადასხვა ჯგუფებია.

**— რას ნიშნავს არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე პოლიციელებისა და კიდევ 58 პირის დასანქცირება. რა გაგრძელება ექნება ამ ყველაფერს?**

— პირველი ნაბიჯი სახალხო მღელვარების გამოწვევა იქნება, როგორც ეს 2003 წელს მოხდა. ხომ გახსოვთ, როგორ გაჰყვიროდნენ: ხმები მოგვპარეს, არჩევანი წაგვართვესო. მეორე მხრივ თუ შევხედავთ, ჩემი აზრით, იმ პირების მიმართ, ვინც კანონიერი ჩარჩოებიდან გავა, მკაცრი ზომები გატარდება.

ბოლო პერიოდში გამართულ აქციებზე ძალოვანმა სტრუქტურებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს. ყოველი უკანონო ნაბიჯი, პროტესტი, ხელისუფლების მხრიდან მკაცრად აღიკვეთება. ხელისუფლება ყველას, ვინც მიტინგებზე რადიკალიზმს გადააჭარბებს, დააპატიმრებს. ასე რომ, არ მგონია, ქუჩაში გამოსვლებით,



2003 წლის მსგავსად, ხელისუფლების ჩამოშლა მოახერხონ.

დასავლეთი ფიქრობს, რომ საქართველო მისი მორჩილი უნდა იყოს. ზოგადად, როგორც რუსეთს ჰგონია, რომ 1801 წელს ხელგაშლილი ველოდებოდით, როდის შემოვიდოდა და ჩვენს სამეფო სისტემას გააუქმებდა, ასევე, სჯერათ ამერიკელებს, რომ რუსებისგან, შიმშილისგან გადაგვარჩინეს და თუკი ვარსებობთ, ეს მათი დამსახურებაა. ეს იმპერიული მიდგომაა.

ახლა, რაც შეეხება ყველაზე მთავარს, თუ დასავლეთი მეხუთე კოლონის, არეულობის მოწყობის მცდელობით შედეგს ვერ მიაღწევს, ყველაზე სახიფათო, რაც შეიძლება ამერიკამ მოგვაყენოს, ჩვენს საბანკო და ფულადსაკრედიტო სისტემაზე დარტყმის განხორციელება. მათ არ გაუჭირდებათ, საბანკო სისტემა ჩამოგვიშალონ და მისი ლიკვიდურობა შეამცირონ.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლებაში ჭკვიანი პოლიტიკოსები არიან, რომელთაც რისკები გათვლილი აქვთ. „ქართული ოცნების" საპატიო თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მას ყველაფერი გათვლილი აქვს. აშშ-ის მხრიდან საქართველოსთვის ასეთი დარტყმის მოყენება უმარტივესია. ზოგი გაიძახის, აშშ-ში არჩევნებია და ჩვენთვის ვერ მოიცლიანო. ამის იმედზე ნუ ვიქნებით, რადგან ასეთი აქტიური მუქარა აშშ-იდან საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. კრიტიკა ისმის სენატიდან, კონგრესიდან, სახელმწიფო დეპარტამენტიდან, სახელმწიფო მდივნისგან, თვით პრეზიდენტისგან და პრეზიდენტობის კანდიდატ კამალა ჰარისისგან. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ, რაც ახლა გითხარით, რეალობად იქცეს. ამას შეიძლება ევროპის მხრიდან ვიზალიბერალიზაციის შეჩერებაც მოჰყვეს. კი ბატონო, აქციებს ხელისუფლება აღკვეთავს, მაგრამ აშშ-ის მხრიდან საბანკო და ფულადსაკრედიტო სისტემაზე დარტყმა ქვეყანას გაანადგურებს.

თქვენ გამოსავალზე მკითხეთ — გამოსავალი ჩინეთია. ყველა სახელმწიფო საკუთარი ინტერესებით მოქმედებს. ბოლო წლებში ჩინეთი ძალიან განვითარდა, გაძლიერდა, მსოფლიოში მეორე ქვეყანაა ეკონომიკით. პერსპექტივაში, ჩინეთს ზრდის დიდი პოტენციალი აქვს. ფაქტობრივად, ჩინეთი მსოფლიო საწარმოა, ყველაფერი იქ იწარმოება, რაც მისი ძირითადი შემოსავალია. წარმოებული პროდუქციის 90% ზღვის და პორტების მეშვეობით გადის. აშშ-ს იაპონიის კუნძულებზე, რომლებიც ჩინეთთან ახლოს არის, ბაზები აქვს, ტაივანი მთლიანად ბაზაა, ასევე, ბაზები აქვს ფილიპინების, მალაიზიის კუნძულებზე. აშშ-ს თუ დასჭირდება, შეუძლია ზღვაზე გაკეთებული ეს რკალი მთლიანად ჩაკეტოს და ჩინეთი დაღუპოს. თვითონაც იზარალებს, მაგრამ ასე მოქცევის შესაძლებლობები აქვს. აშშ-მ ფილიპინებზე ტაქტიკური იარაღი უკვე შეიტანა. ამის საწინააღმდეგოდ რა შეუძლია ჩინეთს, რომ მოიმოქმედოს, რა გამოსავალი აქვს? მისი პოლიტიკა — ერთი მსოფლიო, ერთი სარტყელი, პირდაპირ საქართველოზე გადის. ანუ ჩინეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, ზღვით ვაჭრობის ალტერნატივა, სახმელეთო გზის აღადგენა, გაძლიერებაა და მისი მეშვეობით პროდუქტების გატანა იგივე ევროპისა თუ სხვა მიმართულებით. ეს გზა გაივლის ყირგიზეთზე, ყაზახეთზე, რომელთანაც ჩინეთს სტრატეგიული ურთიერთობა აქვს და ამ ქვეყნებზე რუსეთის გავლენებიც ამით დააბალანსა. თურქმენეთთან, აზერბაიჯანთანაც, საქმე მოგვარებული აქვს. ვრჩებით ჩვენ და აქაც ურთიერთობა სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე აიყვანეს. მაშინ, როცა ჩინეთს ასეთი სასიცოცხლო ინტერესი აქვს, რა თქმა უნდა, შეეცდება, საქართველოში ის გარემო შეინარჩუნოს, რომელიც მას თანამშრომლობის და ამ გზის გაჭრის საშუალებას მისცემს.

ანაკლიის პორტის მშენებლობაში ჩინური კომპანია მიიღებს მონაწილეობას. ის უკვე ტენდერში გამარჯვებულია. ახლა შევხედოთ, რატომ ხორციელდება აშშ-იდან საქართველოზე ზეწოლა?! სამართლიანი არჩევნების მოთხოვნა, კრიტიკა დემოკრატიის უკუსვლაზე, ეს ყველაფერი მხოლოდ ფონია. მთავარი სხვა რამეა: როგორც კი საქართველო ჩინეთს ანაკლიის პორტში შემოუშვებს და ეს უკანასკნელი ამ ხაზს გააძლიერებს, ჩათვალეთ, რომ დახარჯული ასეულობით მილიარდი, რაც აშშ-მა სამხედრო ბაზების მშენებლობისთვის გაიღო, ეს რკალი ზღვაზე, უფასურდება. ჩინეთი ახალ სახმელეთო გზას აკეთებს და მისთვის ზღვით ვაჭრობის შემცირება პრობლემა აღარ იქნება.

ჩინეთი აშშ-სა და ევროპაში უამრავი პორტის მესაკუთრე, ასევე, უმრავლესობის მოწილეა. ამერიკას და ევროპას არასდროს აუტეხავთ ერთი ამბავი, ჩინელ ინვესტორს ამერიკის, ევროპის პორტებში ვერ შევუშვებთო. ანაკლიის პორტზე კი ხედავთ, რაც ხდება. რატომ? — ვიმეორებ, როგორც კი ჩინეთი ამ ხაზს გაჭრის, ჩათვალეთ, რომ სამხედრო ბაზებზე დახარჯული ასეული მილიარდი, ქარწყლდება. ჩინეთი ალტერნატიულ გზას აკეთებს და ამიტომაც უნდა აშშ-ს, რომ საქართველო ხელიდან არ გაუშვას და ანაკლიის პორტის მშენებლობაზე ჩინეთი არავითარ შემთხვევაში არ მიუშვას.

საქართველო და ივანიშვილი ევროპას, დასავლეთს არ ემორჩილებიან. ამიტომ ისინი ჩვენს დამონებას ძალისმიერი მეთოდებით ცდილობენ. ჩინეთის ინტერესიც არის, რომ ანაკლიის პორტში სხვა დასავლური იმპერიული ძალები არ შემოვიდნენ. ჩვენ ბალანსი უნდა დავიცვათ და საკუთარი ინტერესებით ვიმოქმედოთ. ამიტომ, ვფიქრობ, შესაძლოა, დღევანდელი ხელისუფლება ჩინეთთან მოლაპარაკებულია, რათა აშშ-იდან დარტყმის შემთხვევაში, დაგვეხმაროს. ჩინეთისთვის ეს რთული გასაკეთებელი არ იქნება. რამდენიმე ათეული მილიარდი საკმარისია, რომ საბანკო სისტემაზე, ლარზე განხორციელებული ეკონომიკური დარტყმა გადავიტანოთ. თავს ვერ დავდებ, მაგრამ ლოგიკურად, მსგავსი მოლაპარაკება საქართველო-ჩინეთს შორის, წესით, უნდა არსებობდეს. თუ ასე არ არის, მაშინ ძალიან დიდი საფრთხის წინაშე ვართ. ერთსაც დავამატებ: ბევრი მეუბნება, რომ აქ შემოსვლის შემთხვევაში ჩინელები წაგვლეკავენ, საქართველო ჩინეთი გახდებაო. როცა ინვესტორი შემოდის, მას თავისი მუშახელი მოჰყავს და მთლიანად მას ასაქმებს. ამას ბოლო უნდა მოეღოს. ჩინელი იქნება თუ სხვა, უნდა დაწესდეს ლიმიტი — თავისი მოქალაქის 10%-ზე მეტის სამუშაოდ ჩამოყვანა, უნდა აიკრძალოს. უცხოელ ინვესტორს კვალიფიციური სპეციალისტი თუ დასჭირდება, ადგილობრივების პროფესიული მომზადება და გადამზადება უნდა დააფინანსოს და ისინი დაასაქმოს.

**— რა საფრთხის შემცველია ივანიშვილის დასანქცირება?**

— საფრთხის შემცველი ნამდვილად არის, მიუხედავად იმისა, რომ სანქციების დაწესების მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ. მათ სანქციები მტკიცებულებით უნდა დაასაბუთონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამხელა ქვეყნის მხრიდან ასეთი საქციელი, რბილად რომ ვთქვა, არასერიოზულია. ასე გამოვა, რომ ამერიკა პატარა საქართველოში იაფფასიან პიარს აწარმოებს. გვეუბნებიან: რასაც ვიტყვით, უნდა დაგვიჯეროთ, მტკიცებულებას ნუ მოგვთხოვთო. ივანიშვილს შვეიცარიულ ბანკში დიდი თანხა დაუყადაღეს და რა, მერე?! ახლა რა უნდა დაუყადაღონ?! არ მგონია, ამერიკაში რამე მნიშვნელოვანი ჰქონდეს ივანიშვილს დასაყადაღებელი. პიროვნულ სანქციებს შედეგი არ აქვს. ვიმეორებ, ყველაზე დიდი საფრთხე იქნება ეკონომიკური სანქციები, საბანკო სისტემის და ვალუტის ჩამოშლის ბერკეტი, რაც მათ გააჩნიათ.

**— თქვენ ახსენეთ, რომ ამ სიტუაციაში მხოლოდ ჩინეთს შეუძლია დაგვეხმაროს. რუსეთის როლზე რას იტყვით?**

— დიახ, გამოსავალი ერთია, ძლიერ პარტნიორთან ერთად ყოფნა, ვინც ფინანსურად იმ დარტყმების გადატანაში დაგეხმარება, რაც დასავლეთიდან შეიძლება წამოვიდეს. ეს არის ჩინეთი. ამ კონტექსტში რუსეთის თემას ვერ განვიხილავთ და გეტყვით, რატომ? — რუსეთს ერთი რამ ნამდვილად შეუძლია: თუ დაინახავს, რომ საქართველოში ხელისუფლების ხელში ჩაგდება ძალისმიერი მეთოდით ხდება, ის გორის გზას გადაგვიკეტავს და საქართველოს ორად გახლეჩს, შეფარულ ოკუპაციას განახორციელებს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ დასავლეთი უხეშად მოიქცევა. თუმცა, დასავლეთი უხეშად არ იქცევა, ყოველთვის უკან იხევს, რადგან აანალიზებს, რომ რუსის ტანკები აქედან რამდენიმე კილომეტრში დგას.

**თამარ შველიძე**

# ოპოზიცია საარჩევნო კამპანიას ქართველი ხალხის ნაცვლად დასავლეთთან აწარმოებს



*გვესაუბრება „სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელი, თბილისის საკრებულოს წევრი, „ქართული ოცნების“ დელეგატი ლადო ბოჟაძე:*

**— გლდანის ოლქის დელეგატი ხართ, რა განწყობებია ამომრჩეველში?**

— ამომრჩეველს ინტენსიურად ვხვდებით. დღეში რამდენიმე შეხვედრა გვაქვს როგორც პარტიის ოფისში, ისე საზოგადოებრივ ადგილებში ბაღებში, სკვერებში, კორპუსებთან ახლოს. მათ აინტერესებთ მეტის ცოდნა იმ ფაქტორების შესახებ, რაც დღეს ქვეყანას საფრთხეს უქმნის. ჩვენ ვუხსნით, რომ მშვიდობას ნებისმიერ ფასად დავიცავთ და შევინარჩუნებთ, მიუხედავად იმისა, რა მუქარები და სანქციებიც უნდა დაგვიწესოს დასავლეთმა.

მნიშვნელოვანია, მოსახლეობას სტაბილურობის განცდა ჰქონდეს. ჩვენ ვიზრუნებთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, მეტი სამუშაო ადგილების შექმნაზე, ხელფასების, პენსიების გაზრდაზე, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე. მოსახლეობას მოვუგვარებთ პრობლემებს, რაც მათი ყოველდღიურობის საკითხია — სახურავების, ლიფტების შეკეთება და ა. შ. მოქალაქეებს კარგად ესმით, რომ, თუ ქვეყანაში მშვიდობა, სტაბილურობა არ იქნება, ქვეყანა ვერ განვითარდება. კიდევ ერთი მთავარი საკითხი, რაზეც აქტიურად ვსაუბრობთ, ეს კონსტიტუციაში მართლმადიდებლური ეკლესიის როლის განსაზღვრაა. როგორც იცით, გარე თუ შიდა მტრების მხრიდან ხორციელდება ზეწოლა ჩვენს დედაეკლესიაზე, პატრიარქზე, რწმენაზე... მნიშვნელოვანია ოჯახური სიწმინდის, ფასეულობების, ტრადიციების, კულტურის დაცვა. ამ კანონების მიღება ქართველმა ხალხმა დაგვავალა. ჩვენ, როგორც პასუხისმგებლიანი ხელისუფლება, ვალდებული ვართ, ხალხის დავალება პირნათლად შევასრულოთ.

**— ბატონო ლადო, 26 ოქტომბრამდე ერთი თვე რჩება, რა მოცემულობით ხვდება არჩევნებს „ქართული ოცნება“ იმ ბრალდებების ფონზე, რაც ქვეყნის შიგნით და გარეთ გაისმის?**

— „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებს განახლებული გუნდით ხვდება. როგორც იცით, ბიძინა ივანიშვილი სიის პირველი ნომერია. სიაში ბევრი ახალი სახე, ღირსეული ადამიანია. რაც მთავარია, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს პირნათელი ვხვდებით — მოსახლეობას წარვუდგინეთ ანგარიში, თუ რა გაკეთდა ჩვენი მმართველობის პერიოდში 2012 წლიდან მოყოლებული და რას ვაპირებთ მომავალი ოთხი წლის განმავლობაში. ბოლო სამი წელიწადი — რაც რუსეთ-უკრაინის ომი დაიწყო, საქართველოსთვის ძალიან მძიმე იყო, ფაქტობრივად, ომის ზღვარზე გავდივართ. მშვიდობის შენარჩუნება დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სწორედ მშვიდობის დამსახურებით გვაქვს ქვეყანაში სტაბილურობა და განვითარება.

**— ახლახან იმიტირებული არჩევნები გაიმართა, აქტივობა რამდენად დიდი იყო?**

— ამ მიმართულებით ცესკო, რამდენიმე თვეა, საკმაოდ ძლიერ საინფორმაციო კამპანიას აწარმოებს. იმიტირებული არჩევნები უნივერსიტეტებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჩატარდა, რათა მონაწილეობა რაც შეიძლება ბევრ ადამიანს მიეღო და არჩევნებს უკეთ მომზადებული შეხვედროდა. 11 სექტემბერს კი იმიტირებული არჩევნები 800-ზე მეტ ლოკაციაზე ჩატარდა. მაგალითად, გლდანის საარჩევნო ოლქში, სადაც დელეგატად ვარ წარდგენილი, იმიტირებულ არჩევნებში მონაწილეობა 2200-მდე მოქალაქემ მიიღო, რაც მცირე ციფრი როდია. ამომრჩეველმა დაინახა, რომ ხმის მიცემის პროცედურა ბევრად გამარტივებულია, ნაკლებ დროსაც საჭიროებს. რაც მთავარია, ორივე ტექნოლოგია — ვერიფიკაციის და ხმის მთვლელი აპარატი არჩევნების სამართლიან გარემოში ჩატარებას უზრუნველყოფს და ყოველგვარ გაყალბებას გამორიცხავს. ვერიფიკაციის აპარატი, ეს არის — ერთი ხმა, ერთი ამომრჩეველი, ხმის მთვლელი აპარატი კი უზრუნველყოფს, რომ კენჭისყრის დასრულებიდან ძალიან მალე, წინასწარი, ოფიციალური შედეგები ცნობილი გახდეს. ასე რომ, პარალელური ხმის დათვლის შედეგების, ეგზიტპოლების გაყალბებას აზრი აღარ ექნება. საბოლოოდ, კომისიის წევრები შედეგებს ძველი წესით, ხელით გადაითვლიან. ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც უნდა ესმოდეთ, რომ არჩევნების გაყალბება შეუძლებელია. ახალი ტექნოლოგიები აბსოლუტურად უსაფრთხოა, რადგან ინტერნეტთან მიერთებული არ არის. ამიტომ პარტნიორები ახლა უშუალოდ კენჭისყრის დღეს არჩევნების გაყალბებაზე კი არ საუბრობენ, არამედ დემოკრატიის უკუსვლაზე. თურმე, „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კონსტიტუციური კანონი არ უნდა მიგვეღო. იგივეს გვეუბნებიან გამჭვირვალობის კანონზეც. ოპოზიცია 26 ოქტომბრისთვის კი არ ემზადება, სადაც ქართველი ხალხისგან გარდაუვალი მარცხი ელის, არამედ 27 ოქტომბრისთვის.



**— 2024 წლის არჩევნებს უპრეცედენტოდ ბევრი დამკვირვებელი დააკვირდება...**

— ამას მხოლოდ მივესალმებით. დასამალი რა გვაქვს.

ჩვენგან მხარდაჭერა ყველა დამკვირვებელ ორგანიზაციას ექნება, ვთანამშრომლობთ როგორც საერთაშორისო დამკვირვებლებთან, ისე საერთაშორისო და ადგილობრივ მედიასთან. ეს არჩევნები იქნება თავისუფალი, ჩატარდება სამართლიან, კონკურენტუნარიან გარემოში. ყველა გადაწყვეტილება, ხმა უკლებლივ აისახება. გადაწყვეტილებას მხოლოდ ქართველი ხალხი მიიღებს, გარე ძალების ჩარევა ვითარებას ვერ შეცვლის. ყველას არჩევნებში მონაწილეობისკენ მოვუწოდებ. მისი აღმატებულება, ქართველი ხალხის გადაწყვეტილებას დაველოდოთ.

გასაკვირია ჰერჩინსკის განცხადება, რომ „სამართლიანი არჩევნები“ გავლენიან ორგანიზაციად მიაჩნია და მის დაკვირვებას ენდობა. აი, სწორედ ამიტომ მივიღეთ გამჭვირვალობის კანონი, რასაც პარტნიორებისგან მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ქართველი ხალხი იმსახურებს, იცოდეს, რაში იხარჯება ასეულობით მილიონი დოლარი.

**— დასავლეთი წინასწარ აანონსებს, „ქართული ოცნება“ თუ გაიმარჯვებს, არჩევნებს არალეგიტიმურად გამოვაცხადებთო. რატომ ჩნდება შეკითხვები არჩევნების სამართლიანად ჩატარების თაობაზე?**

— არალეგიტიმური არჩევნები და მისი შედეგები კი არ იქნება, არამედ არალეგიტიმურია ის დამოკიდებულება და შეკითხვები, რაც ქვეყანაში სამართლიან არჩევნებთან დაკავშირებით არსებობს. ყველამ — ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც იცის, რომ კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ არჩევნების გზით ხელისუფლებაში დაბრუნებას ვერ შეძლებს. ამიტომ ცდილობენ, არჩევნების შემდეგ არეულობის მოწყობით შეცვალონ ხელისუფლება და არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადონ. ეს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა.

ოპოზიციას სრული მხარდაჭერა აქვს, კანონმდებლობის დაცვით ქვეყანაში საარჩევნო კამპანია აწარმოოს. თუმცა, ის საარჩევნო კამპანიას არა საქართველოში, არამედ ქვეყნის გარეთ ატარებს. კონგრესში, სენატში დარბიან და საკუთარ ქვეყანას რას აღარ აბრალებენ. დიახ, პოლიტიკური პარტიები ელაპარაკებიან არა ქართველ ხალხს, არამედ უცხოელებს იმის შესახებ, თურმე, რა ცუდია საქართველო, მართლმადიდებლური ეკლესია, ოჯახური ფასეულობები და როგორ უნდა დაასანქცირონ ქვეყანა, პოლიტიკოსები, პოლიციელები, მოსამართლეები. ოპოზიციას ჰგონია, მათი საქციელის შემხედვარე ქართველი ხალხი დამოკიდებულებას შეიცვლის და მშვიდობის ნაცვლად ომს აირჩევს. ხალხმა უკვე ნახა, ნაცების მმართველობამ რა მოუტანა ქვეყანას. ამიტომ, ჩვენ ოპოზიციისგან განსხვავებით, 26 ოქტომბრისთვის, გამარჯვებისთვის ვემზადებით. ოპოზიცია ემზადება მარცხისთვის.

**— ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა, რომ მათთვის მთავარი არა მოგება, არამედ კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვებაა...**

— ხალხის მხარდაჭერას მუდმივად ვგრძნობთ, რისი დასტურიც რეგიონულ შეხვედრებზე მოსული ათიათასობით ამომრჩეველია. აღნიშნული შეხვედრები უკვე ჩატარდა რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში... მოსახლეობა ყველგან მხარდაჭერას გვიდასტურებს. მათ დეტალურად ვაწვდით ინფორმაციას, თუ რატომ გვჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა. მთავარი კიდევ ის არის, რომ ამ თორმეტი წლის განმავლობაში ასე ღიად, ხმამაღლა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე არასდროს გვისაუბრია. ამ პროცესის დასაწყებად წლების განმავლობაში ვემზადებოდით: ქვეყანა განვავითარეთ, მშვიდობა, სტაბილურობა შევინარჩუნეთ და ჩვენს აფხაზ, ოს თანამოქალაქეებს დავანახეთ, რომ გაერთიანებულ საქართველოში უკეთესია ცხოვრება, ვიდრე დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე. სამომავლოდ ეს პერსპექტივა აბსოლუტურად რეალურია, რაც რიგ კონსტიტუციურ ცვლილებებს მოითხოვს. ჩვენთვის უმთავრესი ხალხის პოზიციაა, რომელიც ნაცების მიმართ სამართლებრივი პროცესის დაწყებას ითხოვს. ჩვენ ამისთვის მზად ვართ. რაც შეეხება ევროინტეგრაციას, ეს შეუქცევადი პროცესია. 2030 წელს, როცა ევროკავშირი გაფართოებისთვის მზად იქნება, საქართველო იქ გასაწევრიანებლად ყველაზე კარგად იქნება მომზადებული როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად. ყველაფერი ისე გაკეთდება, როგორც ქართული სახელმწიფო და ხალხი იმსახურებს.

**— ხიდაშელმა განაცხადა, ორმოცდარვა საათი გვჭირდება, რათა ქვეყანა ავაყირავოთო...**

— ვერც ხიდაშელი და ვერც ვინმე სხვა, ვერაფერსააყირავებენ. თუმცა, ეს კიდევ ერთხელ აღიარება და დასტურია იმისა, რომ ოპოზიციას ხელისუფლებაში დაბრუნება უნდა არა არჩევნების, არამედ რევოლუციის გზით, რადგან ხალხი სხვაგვარად დაბრუნების საშუალებას არ აძლევს. ამიტომ ნებისმიერი არჩევნები მათთვის ყოველთვის არალეგიტიმურია, მერე გამორბიან ქუჩაში, მაგრამ ვერაფერს ახერხებენ. ახლაც ასე იქნება. არავინ აპირებს, ქვეყანა სისხლიან რეჟიმს დაუთმოს, რათა კიდევ უფრო მეტი ტერიტორიები დაგვაკარგინონ და მეტი დევნილები გააჩინონ. 26 ოქტომბერს საქართველო ქართველი ხალხი გაიმარჯვებს და ქვეყნის განვითარება გაგრძელდება.



**თამარ შველიძე**

# ჩემთვის ყველაზე დიდი თანამდებობა სამშობლოს ერთგულებაა



(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N31)

### ცელქი ტარზანი

დავიბადე აფხაზეთში, გულრიფშის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ფშაფში. ფშაფი ამოფრქვეულ, ვულკანურ წყალს ნიშნავს. ფშაფი მდინარე იყო, რომელიც კავკასიონის მთებიდან იღებდა სათავეს და აფხაზეთში მოედინებოდა. ლაღი ბავშვობა მქონდა. მშვიდი, ბედნიერი დრო იყო, ყველა საყვარელი ადამიანი გვერდით მყავდა, ცოცხლები იყვნენ დედ-მამა, ბებია, ბაბუა... მაშინ საქართველო ძლიერი რესპუბლიკა იყო. აფხაზეთში სამეზობლოც განსაკუთრებული, გამორჩეული გვქონდა. ამ ულამაზეს მხარესთან დაუვიწყარი მოგონებები მაკავშირებს. ეს კუთხე დანარჩენი საქართველოს გვირგვინია. საოცარია ულამაზესი მთების ზღვასთან შერწყმა, რითაც ყოველდღიურად ვტკბებოდი. ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა ქართულ-აფხაზური ტრადიციები. გამოვარჩევდი უფროს-უმცროსის ერთურთისადმი დამოკიდებულებას, რაც ცალკე აკადემია, დიდი კულტურის ნაწილია. აფხაზეთში ტრადიციების პატივისცემა ვისწავლე, ამ ტრადიციებით გავიზარდე. ეს წარუშლელი მოგონებებია.

საოცრად ცელქი ბავშვი ვიყავი, მეზობლების ხილის ჭამა მიყვარდა, ხან რომელი მეზობლის ბალის ხეზე ვიჯექი და ხან რომლის — მანდარინის ხეზე. მეზობლები მეუბნებოდნენ: ლუკა, ბალი და მანდარინი შენც ხომ გაქვს ეზოშიო. მე კი ვპასუხობდი, ეს უფრო გემრიელია-მეთქი. მეზობლები ამ ამბავს ხუმრობით ახლაც ხშირად იხსენებენ. როგორც გითხარით, ძალიან ცელქი ვიყავი. ფეხსაცმლის ჩაცმა არ მიყვარდა, ტარზანივით ფეხშიშველი დავრბოდი. სკოლაში წასასვლელად რომ მამზადებდა დედა და ფეხსაცმელს მაცმევდა, ვერ ვგუობდი, უკან დაბრუნებისას ფეხზე გავიხდიდი და შინ ფეხშიშველი ვბრუნდებოდი. მაშინ ეკოლოგიურად სუფთა გარემო იყო. ჩემს სოფელში ბავშვებს ხშირად აჭიდებდნენ ერთმანეთს. მე ძალიან ჯმუხი, მკვრივი ვიყავი. მეზობლები ჩემს მშობლებს ეუბნებოდნენ: ლუკა დიდი მოჭიდავე გამოვა, ჭიდაობაზე მიიყვანეთო.

### რა საიდუმლოს ინახავს აგუძერას ღვთისმშობლის ტაძარი

დედა და მამა მშრომელი ადამიანები იყვნენ, უნდოდათ, შვილისთვის კარგი განათლება მიეცათ, მუდამ მიკიჟინებდნენ, ისწავლე, ისწავლეო. მეზობლის ბავშვები ჭიდაობაზე დადიოდნენ და ამით შეგულიანებული, მეც დარბაზს მივაკითხე. გულრიფშის რაიონში, დაბა აგუძერაში ჩემი ბავშვური აღქმით ძველი შენობა იყო, რომლის მეორე სართულზე სავარჯიშო დარბაზში ვვარჯიშობდით. მერე როგორც აღმოჩნდა, ეს აგურით ნაშენი შენობა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი ყოფილა. ამ ამბავს ახლა პირველად თქვენთან ვყვები, აქამდე არასად მითქვამს. იქ მაშინ კომუნისტებს პირველ სართულზე საწყობი ჰქონდათ, ხოლო მეორე სართულზე, სადაც ახლა წირვა-ლოცვა ტარდება და საკურთხეველია, ჭიდაობის დარბაზი იყო. იმ ადგილას, სადაც ძველად დიდი ჭაღები, ეკლესიის ატრიბუტიკა ეკიდა, სავარჯიშო თოკი იყო ჩამოკიდებული. მაშინ არ ვიცოდი, რა დანიშნულება ჰქონდა ამ თოკს. მამალმერთს შენდობას ვთხოვ, რადგან იმ თოკზე ავდიოდი, რომელზეც წინათ სამრეკლო ზარი ეკიდა. დროის დიდ ნაწილს სწორედ იქ ვატარებდი. ეს მონასტერი მთლიანად საწყობად რომ არ გადაქცეულიყო, ვიღაც ღვთისნიერმა იქ სპორტული დარბაზი გააკეთა. აი, ასეთ გარემოცვაში დავიწყე ვარჯიში. წინ დიდი მიზნები მქონდა.

### ქართულ-აფხაზური ტრადიციები და ჩვენი მეგობრობა

პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ მე ქართულ და აფხაზურ ტრადიციებს ერთმანეთისგან არ ვყოფ, ეს ჩემთვის განუყოფელია. მსგავსი ტრადიციებია დანარჩენ საქართველოშიც. მაგრამ განსაკუთრებული, რაც აფხაზეთში ვისწავლე, უფროსის პატივისცემაა. როცა უფროსი შემოვიდოდა, ფეხზე უნდა წამომდგარიყავი. ქალბატონები სადაც იმყოფებოდნენ, იქ ბილწსიტყვაობა დაუშვებელი იყო. მამაკაცები სადაც ისხდნენ, იმ სუფრას ქალი ვერ მიუჯდებოდა. ქალბატონები სუფრას ემსახურებოდნენ. უხუცესთა სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. უფროსი თაობის ადამიანები რომ შეიკრიბებოდნენ, რა გადაწყვეტილებასაც მიიღებდნენ, სოფელში ყველაფერი ისე უნდა გაკეთებულიყო. გამორჩეული იყო ქართულ-აფხაზური სუფრა. ყველა აფხაზურ ტრადიციას თავისი ხიბლი ჰქონდა, თავისებურად გამორჩეული იყო. ავიღოთ თუნდაც ქორწილის სამზადისი. თავდაპირველად, პატარძლის ოჯახს სტუმრობდნენ და მამისგან ნებართვას იღებდნენ. აღსანიშნავია, რომ ქორწილის სუფრაზე ბავშვებს არ უშვებდნენ — არ შეიძლებოდა იქ, სადაც უფროსი თაობა ისხდა, ბავშვებიც ყოფილიყვნენ. ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე ისხდნენ. ბავშვებისთვის ცალკე ადგილი იყო გამოყოფილი. ძალიან მაკლია ის განსაკუთრებული მეგობრობა, ძმობა, რაც ქართველებსა და აფხაზებს შორის იყო.

### აფხაზებთან შეხვედრა ომის შემდეგ

შსს-ის აკადემიის პრორექტორი ვიყავი, როცა იტალიაში აფხაზებს შევხვდით. აფხაზეთმა დიდი ტკივილი დამიტოვა — მამა კონფლიქტის დროს დამიხვრიტეს. ამხელა ტკივილის, განცდის, ამდენწლიანი განშორების მერე, აფხაზი ეროვნების ადამიანებს პირისპირ პირველად შევხვდი. შეხვედრა აეროპორტში შედგა. ისინიც ძალიან ნერვიულობდნენ. პირველი, რაც ვიგრძენი, იყო ის, რომ ეს ხალხი ჩემთვის ძალიან მონატრებული კუთხის შვილები იყვნენ. პირველმა დაკონტაქტებამ ცოტა დაძაბულად ჩაიარა. მათ იცოდნენ, როგორ დაიღუპა მამა და, ალბათ, ჩემგან აგრესიულ განწყობას ელოდნენ. მე მათ ვუთხარი: თქვენ, ჩემი სულის და გულის ნაწილი ხართ და ახლა თქვენდამი უდიდესი მონატრება და პატივისცემა ვიგრძენი-მეთქი. ისინი, უბრალოდ, ლუკად მომიხსენიებდნენ და ამ სიტყვაში ის სითბო იღვრებოდა, როგორც მშობლისგან მოფერების დროს ხდება. თითქოს სიტყვით მეფერებოდნენ. შეხვედრას ისეთი ადამიანები ესწრებოდნენ, ვისაც აფხაზეთში მაშინაც და დღესაც საკვანძო თანამდებობები უჭირავთ. ჩვენს შორის შემდგარი ურთიერთობა იმედის მომცემი იყო. ორივე მხარემ ვიგრძენით, რომ ჩვენში არანაირი განსხვავება არ არის. ჩვენ ერთი შერწყმული ერი ვართ, რომლის განცალკევება არცერთს არ რგებს. ამ წლებმა დაადასტურა, რომ საქართველოს არსებობა აფხაზეთის გარეშე და პირიქით, წარმოუდგენელია.

### გარინდული აფხაზეთი...

აფხაზეთიდან წამოსვლის დღეები ჩემთვის უმძიმესი იყო. 19-20 წლის ვიყავი, როცა სოხუმი დავტოვეთ. ამ პერიოდში კანადაში, ტორონტოში მსოფლიო ჩემპიონატზე ვიმყოფებოდი. როდესაც ჩამოვფრინდი, სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელი მოწერილი იყო, რაც მერე ვერაგულად დაირღვა. კანადიდან 14 სექტემბერს ჩამოვფრინდი. 17 სექტემბერს, როცა მუხანათურად შემოგვიტიეს, თბილისში საქმეზე ვიყავი ჩამოსული. იმ ღამეს აეროპორტიდან ჯარისკაცებთან ერთა სოხუმში გავფრინდი. სანამ აფხაზეთში ვიყავი, სოფელში ბავშვებს სავარჯიშო დარბაზი გავუკეთეთ და ვავარჯიშებდი, რათა ომის ტრავმა ნაკლებად ეგრძნოთ. 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. 28 სექტემბრის გამთენიას თვალწინ შემზარავი სურათი დაგვიდგა. მთელი რაიონი დაიცალა, დაცარიელებული სოფლების გახსენება უდიდესი ტკივილის გარეშე არ შემიძლია. ყველაფერი მიყრუვდა, ეს ტრაგედია იყო.

არადა, მანამდე მთელი სოფელი გუგუნებდა. ფშაფი მდიდარ სოფლად მიიჩნეოდა თავისი ციტრუსებით, ინფრასტრუქტურით. აეროპორტიც ახლოს იყო. ბევრი ტურისტიც ჩამოდიოდა და უცებ ყველაფერი გაირინდა. ზემოთ ვახსენე, რომ ზღვა ფშაფიდან სამი კილომეტრით იყო მოშორებული. წარმოიდგინეთ, ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, ზღვის ტალღების ხმა გვესმოდა, გვეგონა, ზღვა ადიდდა და ნაპირებიდან გადმოვიდა. ამ ყველაფერს დიდი ტკივილით ვიხსენებ. უფრო სწორად, ხშირად ვერც ვიხსენებ, იმდენად რთულია. დღემდე ყურში ჩამესმის საქონლის განწირული ხმა. თან უკუნითი სიბნელეც ჩამოწვა. მშობლებმა მითხრეს, ბავშვები წამეყვანა და წავსულიყავი. გვეგონა, ვითარება დაწყნარდებოდა და ორ კვირაში უკან დავბრუნდებოდით. ამ ყველაფერს მოჰყვა დარბევა, დაყაჩაღება, სახლების გადაწვა, დახვრეტები. ეს ტრაგედია ომმა გამოიწვია. მშობლები აფხაზეთში დარჩნენ. მოგვიანებით მამამ დედა გამოუშვა, თავად კი, როგორც ოჯახის უფროსი, შინ დარჩა. რამდენიმე თვეში დახვრიტეს...

### გოლგოთას გზა

ჭუბერზე ორას კილომეტრზე მეტი ფეხით გამოვიარეთ. ეს გოლგოთას გზა იყო. მოხუცები, ბავშვები, ქალები გზაში იღუპებოდნენ. ზღვის დონიდან სულ უფრო და უფრო მაღლა ავდიოდით, ვაკე არსად იყო. ცალკე ტრაგედია იყო გოლგოთას გზაზე უამრავი იმედდაკარგული ადამიანის ცქერა, რომლებმაც მთელი ცხოვრების განმავლობაში მოპოვებული, ნაშრომ-ნაოფლარი დაკარგეს. გზაში მოროდიორები ამ გაუბედურებულ ხალხს აყაჩაღებდნენ. ეს ცალკე სირცხვილია. სანამ სხვას დავადანაშაულებთ, ჩვენს სულსა და გულში ჩავიხედოთ, ვინ რა გააკეთა.

### ორად გაყოფილი საქართველო

მე სამეგრელოს გზით წამოვედი, ჭუბერიდან ჯვარში ჩავედი, მერე ზუგდიდში, სადაც ორად გაყოფილი საქართველო — ზვიადისტებად და შევარდნაძისტებად დაპირისპირებული მხარეები დამხვდა. მახსოვს, ხალხი ზუგდიდის კინოთეატრს აფარებდა თავს. ზუგდიდი ზვიადისტებს ჰქონდათ აღებული. საშინელება გამოვიარე, ჯერ აფხაზეთი დავკარგეთ, მერე ზუგდიდში ჩამოვედი და ორ ნაწილად გაყოფილი საქართველო დამხვდა. იქ ასეთი საუბრები მიდიოდა, იარაღი უნდა ავიღოთ და უკანონო მთავრობა ჩამოვაგდოთო. ზუგდიდის კინოთეატრს რომ ვიყავით შეფარებული, იქ ვთქვი, რა დროს დაყოფაა, აფხაზეთი გვეკარგება-მეთქი. კიდევ კარგი, უკუნი სიბნელე იყო. უცებ ვიღაც წვერი-



ანი, ავტომატებით შეიარაღებული ტიპები შემოცვივდნენ და დაიყვირეს, ეს ვინ თქვაო. მზად იყვნენ, მოვეკალი. კიდევ კარგი, ვინც ჩემს გვერდით იდგა, იმან არ გამთქვა, თორემ ცოცხალს არ დამტოვებდნენ. აი, მაშინ მივხვდი, რომ აფხაზეთი დავკარგეთ, იქ ჩემში იმედი საბოლოოდ მოკვდა. ზუგდიდიდან ფეხით განვაგრძე სვლა.

### მამის დაკარგული საფლავი და მასთან შეხვედრის იმედი

მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ თბილისში ცოცხალი ჩავსულიყავი, სპორტული კარიერა გამეგრძელებინა და ამით ის გადამერჩინა, რაც მამამ ჩამაბარა — ოჯახი, დები, ასაკით პატარა მეუღლე და შვილი. თვითონ შემპირდა, ჩამოვალო, მაგრამ დანაპირები ვერ შეასრულა. მამის საფლავი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მოგვიანებით გავიგე, რომ იქვე ახლოს, მამა სადაც დახვრიტეს, ერთი სომეხი ცხოვრობდა და მას ევკალიპტების ძირში დაუმარხავს მამა, რათა ღორებს და სხვა ცხოველებს მისი სხეული არ შეეჭამათ. დროთა განმავლობაში, ეს ადამიანი, რომელმაც მამის საფლავი იცოდა, გარდაიცვალა. ასე დავკარგე მამის საფლავი. 1996 წელს ოლიმპიურ თამაშებზე მე და სოსო ლიპარტელიანმა მედლები მოვიპოვეთ. როცა ჩამოვედით, შევარდნაძემ მიღება მოგვიწყო და მითხრა, რას ისურვებო. მაშინ სახლ-კარიც არ მქონდა, მაგრამ ერთადერთი, რაც ვთხოვე, მამის საფლავი მაპოვნინეთ-მეთქი. მახსოვს, ეს საქმე ავთო იოსელიანს დაავალა, მაგრამ საფლავი ვერ იპოვნეს. მართალი გითხრათ, არც მქონია განცდა, რომ ამ საკითხით სერიოზულად დაინტერესდნენ და რაიმე ქმედითი ღონისძიებები ჩაატარეს. ვერ ვიგრძენი, რომ ჩემი თხოვნა გულთან ახლოს მიიტანეს. წარმოიდგინეთ, წლების განმავლობაში გაურკვევლობაში ვიყავი, არ ვიცოდი, მამა ნამდვილად მოკლეს, თუ ცოცხალი იყო.

2000 წლამდე შეგრძნება მქონდა, რომ სავარჯიშო დარბაზიდან გამოვიდოდი და მამა დამხვდებოდა. დიდი მოლოდინი მქონდა. მახსოვს, ერთხელ დარბაზიდან გამოვედი და თითქოს ვგრძნობდი, რომ მამა იქ იყო. იგი სიცოცხლეში ბევრჯერ მოსულა ფალავანთა კლუბში და ყოველთვის გარეთ, კიბეებთან მელოდებოდა. ჰოდა, მთელი ეს წლები იმ იმედით შევდიოდი და გამოვდიოდი დარბაზიდან, რომ მამა ისევ დამხვდებოდა. მახსოვს, ერთხელ გამოვედი და უდიდესი მოლოდინი მქონდა, რომ მამა დამხვდებოდა. ასე რომ არ აღმოჩნდა, დარბაზის კარის მიღმა კედელს მივეყრდენი და ტირილით გული ვიჯერე. ამ ემოციას სიტყვებით ვერ გადმოგცემთ. ამას თქვენთან ვამბობ პირველად, არასდროს არსად მომიყოლია. მაქსიმალურად ვცდილობ, ჩემს პირად ტკივილზე არ ვისაუბრო, მაგრამ „საერთო გაზეთთან“, ბატონ ვახტანგთან, თქვენთან იმდენი რამ მაკავშირებს, ეს ტკივილიც გაგიზიარეთ. შვიდირვა წელი მამა ცოცხალი მეგონა, ვფიქრობდი, სასწაული მოხდება და გამოჩნდება-მეთქი. ბევრი დაკარგული ადამიანი ხომ გამოჩენილა და მეც ამ იმედით ვიყავი. მერე მივხვდი, რომ ყველაფერი დასრულდა.

**თამარ შველიძე**

← 3 გვ.

# „კრება აღარ ჩატარდება“...

ამასწინათ, ავსტრიის ელჩი გაეპასუხა მიხეილ სააკაშვილის მორიგ გაკაჭკაჭებულ განცხადებას: არსებობს კარგი გამოთქმა, დუმილი რომ შეგენარჩუნებინა, ფილოსოფოსი იქნებოდი. რა თქმა უნდა, საქართველოს მთავრობა არ არის პრორუსულიო.

ავსტრიის ელჩი არ არის ის პირველი მერცხალი, ვინც ასე ღიად და კატეგორიულად გამოხატა საკუთარი, რეალურად კი ავსტრიის ხელისუფლების აზრი. იმავე აზრზე დგას ყველა ის ევროპული სახელმწიფო (უნგრეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი და სხვა), რომელიც ეწინააღმდეგება საკუთარი ქვეყნის ბრიუსელიდან და ვაშინგტონიდან მართვას.

ახლა დაძაბული ვითარებაა მსოფლიოში და მის მცირე, მაგრამ მაინც შემადგენელ საქართველოშიც. ყველა ქვეყნის მზერა აშშ--ის საპრეზიდენტო არჩევნებისკენ არის მიმართული. ორჯერ ესროლეს ტრამპს და თუ არ გაუსამდა, დასრულდება ეს კაკაფონია, დადგება ახალი დრო და ვნახავთ, რომ ბაიდენის ადმინისტრაციის გარეშე თურმე საქართველოზე სხვაგვარად ფიქრობდნენ მთელი რიგი ევროპული ქვეყნები. სიმართლე რომ გითხართ, არც ამგვარი კეთილგანწყობებისა მჯერა — როცა მიჭირს, მაშინ დამიდექი გვერდზე, დამეხმარე, ხელი გამომიწოდე, კარგად თუ ვარ, მაშინ რაღად მინდა შენი ქება-ქორება...

მანამდე კი, 26 ოქტომბრამდე, ვის რა აქვს დაგეგმილი, წინსწრებით გვითხრეს, თეთრი ხელთათმანი გვესროლეს, ასე რომ 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგები ის განაჩენი უნდა იყოს სამავნებლოდ თავისუფლად მიშვებული უცხო ქვეყნების აგენტურისთვის, რასაც გაგრძელება და სრული განვრცობა მოჰყვება!

ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, შესაბამისად, უნდა დასრულდეს საქართველოს გარედან მართული, საქართველოში მოკალათებული უსამშობლოების ძალისხმევით ატეხილი ეს განუწყვეტელი რყევა! მოკლე დროში ორჯერ იყო რევოლუციის მცდელობა. აღარ კმარა?

ყველაფერი გარკვეულია. ვის რისთვის უძგერს გული, ვიცით. ახლა ისღა დარჩა, რომ ე. წ. გამჭვირვალობის კანონმა ადამიანური სახე მიიღოს და აღარ იყოს სალაპარაკო, რომ ხელისუფლებამ ეს კანონი „მეწველ ძროხად“ შემოიტანა.

ნამდვილად ასეა! ნჯო რომ ვარ, გადავიხდი ჯარიმას და არ გავასაჯაროებ იმას, რისი გასაჯაროებაც არ მინდა, მით უმეტეს, როცა ფულს „ბოროტების ხე“ ისხამს, ჯარიმის გადახდა რა შედეგის მომტანია?

ბრაიან მასტი ენტონი ბლინკენს რომ დაჰყვიროდა, მიპასუხე, გაუყინეთ თუ არა ანგარიშები იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც არ წარმოადგინეს გრანტების შესახებ დოკუმენტაციაო და ბლინკენი პასუხად მხოლოდ ბლუკუნებდა, ასე უნდა დადგეს საკითხი საქართველოშიც — არ გაასაჯაროებს და გაიყინოს მათი ანგარიშები! კმარა!

**სანამ საქართველოში აღვირახსნილ აგენტურულ ქსელს ფრთებს არ შევაჭრით, მუდმივად იქნება ხელოვნურად შექმნილი რადიკალიზმი, პოლარიზაცია, ცალკეულ პირებთან „აღშფოთებული მოქალაქეების“ მივარდნები, ლიბერალური ფაშიზმი ა. შ.**

მე, არაფრით პრივილეგირებული საქართველოს ერთი რიგითი მოქალაქე, ხალხის ნაწილი ვარ. არ მაქვს ფუფუნების საშუალება, „მე თვითონ“ პოზიცია მიკავია. საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვმგზავრობ, ბაზარში დავდივარ, მაღაზიაში, მეჯღანესთან; რაღაც დამჭირდება — „ელიავას ბაზრობაზე“ შევირბენ, ხან სამგორში გავირბენ; თუ ცხელა — ვიხვითქები, თუ ცივა — ვიყინები. ამდენად, ვხედავ და მესმის ხალხის განწყობა. მე ვერც სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები მომატყუებს და ვერც ვინმეს მიერ დასახელებული პროცენტები. ფაქტობრივად, მოსიარულე სოციოლოგიური მკვლევარი ვარ. მე ვხედავ ერთ რამეს — ხალხს არ უნდა ომი!



**როდესაც ამომრჩეველი ხმას მისცემს „ქართულ ოცნებას“, ხელისუფლებამ ეს ხმები არ უნდა ჩაითვალოს მისთვის მიცემულ ხმებად. ეს ის ხმებია, რომელიც არ მისცეს ომსა და „ნაცმოს“! სანამ „ქართული ოცნება“ დანაპირებს არ შეასრულებს და არ აღადგენს სამართალსა და სამართლიანობას, მას საკუთარი დამსახურებით მოპოვებული ხმები არ ექნება!**

ვიღაცა გასაოცრად მიიჩნევს, რომ ყველაფრის მიუხედავად, „ნაცმოძრაობას“ თავისი მუდმივი ელექტორატი ჰყავს და, შესაბამისად, არჩევნებზე საკმარისი პროცენტული შედეგის დადება შეუძლია. სავსებით ლოგიკურია, ასე უნდა იყოს და ასეც არის, რადგან „ნაცმოს“ ხელმძღვანელობაში ვიღაცას საკმაოდ კარგად აქვს გასიგრძეგანებული, რომ თანამებრძოლები თუ თანამოაზრეები, ერთჯერადი მოხმარებისად არ უნდა განიხილებოდეს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ 12 წელია, ხელისუფლებაში აღარ არიან, „თავისიანებს“ დღემდე ძველებურად უდგანან მხარში როგორც მატერიალურად, ისე ნებისმიერ შემთხვევაში. ადამიანი არაფერს აკეთებს და ხელფასს უხდიან, ანუ დაბევებული ჰყავთ, მხარდამჭერის შენარჩუნების უკეთესი ფორმა წარმოუდგენელია. დეილ კარნეგის მიერ ახსნილი მომენტია, ადამიანი თავს გრძნობს საჭირო პერსონად და მუდამ იმისი ერთგული იქნება, ვინც მას საკუთარი თავის მნიშვნელობის შეგრძნებას ანიჭებს. მე ერთი თვე ტვინი უნდა ვიჭყლიტო, რომ იმდენი გამოვიმუშავო, რასაც მას არაფრის კეთებაში, მხოლოდ დაბევებაში უხდიან — სხვანაირად რანაირადღა ავხსნა?

ოტია იოსელიანი ამბობდა, მოსმენით — მოუსმინე, მაგრამ არავის დაუჯერო, სანამ საქმით არ დაგანახებსო. ასეა ეს!

დაგვანახეთ საქმე! — ხალხს ბოლო დაპირების ბოლო იმედიღა აქვს, თუ გაუცრუვდება იმედი, გული აღარც მოუბრუნდება...

„ქართული ოცნება“ მიიღებს მაქსიმალურ სახალხო ლეგიტიმაციას და ვალდებული გახდება, პირობა შეასრულოს — „ნაცმოძრაობამ“ სრულად უნდა აგოს პასუხი საქართველოსა და კანონის წინაშე. მათ პასუხი უნდა აგონ ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩაიდინეს, დაწყებული ადამიანების წინაშე ჩადენილი დანაშაულითა და სტრატეგიული ობიექტების სხვა ქვეყანაზე გადაცემით, დამთავრებული 2008 წლის ომის პროვოცირებით, რაც საქართველოს ძალზე ძვირად დაუჯდა.

„იქით“ მხარეს „აღმოჩენილი“ 125 სოფელი ქვების გროვად გამოგვიცხადეს ქვეყნის მავნებლებმა; არც 412 გარდაცვლილი ჩააგდეს არაფრად, მათგან მზის გულზე უპატრონოდ დაყრილები, რომლებიც მხოლოდ პატრიარქის ძალისხმევით გამოიტანეს; 2 ათასამდე დაჭრილ-დასახიჩრებული ვის გახსენებია, ან ომის შედეგად საკუთარ სამშობლოშივე დევნილად ქცეული 26 000 საქართველოს მოქალაქე, წეროვანის ხრიოკის ხუხულებში რომ დააბინავეს მზის ქვეშ, ერთი ხე რომ არ იყო საჩრდილობლად და ტაშ-ფანდური გამართეს თავისუფლების მოედანზე, პუტინს ნიღაბი ჩამოვხსენით, გავიმარჯვეთო.

მანამდე იყო დალის (კოდორის) ხეობის ჩაბარება გასროლის გარეშე, რომელსაც მანამდე ზემო აფხაზეთი დაარქვეს. დღემდე არ უგია პასუხი არავის და არ ვიცით, რატომ, რის ფასად ჩააბარეს სტრატეგიული მნიშვნელობის დალის ხეობა. წლები დასძახოდა ბატონი ემზარ კვიციანი ირაკლი ოქრუაშვილს, მიპასუხე, რატომ ჩააბარე კოდორიო, მაგრამ მისგან პასუხი არ მოგვისმენია. გასცეს ოქრუაშვილმა პასუხი კვიციანს, რატომ ჩააბარა კოდორი!

მადლობელია ხალხი იმისთვის, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ, განსაკუთრებით ბოლო ოთხი წელია, სასწაულებრივად გაუძლო ურთულეს გამოწვევებსა და უმძიმეს ზეწოლებს. გაუძლო ერთია და სულ მცირედი შეცდომაც კი არ დაუშვია, ისე იარა და გვატარა საქართველო ალესილი სამართებლის პირზე! მადლობელია, მაგრამ ახლა ის არის აღსასრულებელი, რასაც გვპირდებიან და ვფიქრობთ, რომ შეასრულებენ...

მოკლედ, „კრება აღარ ჩატარდება. ერმოლაევის შესახვევში დაგებული ახალი ხაზიდან ბრონნაიაზე უკვე შეიჭრა ტრამვაი...“ ლიბერალური ფაშიზმის თავი ბერლიოზის თავივით ბურთივით გაგორდება...

**მაია ჭელიძე**

# რადარიდან გამქრალი თვითმფრინავი

## ზღაპარი საქართველოს 21-ე საუკუნის ისტორიიდან

სანამ ზღაპრის მოყოლას დავიწყებ, გაგაცნობთ ნოსტრადამუსის თვალით დანახულ 21-ე საუკუნის იმ რეალობას, რომელშიც ვიმყოფებით. ნოსტრადამუსი მიგვანიშნებს 21-ე საუკუნის დიდ ომზე, რომელიც 25 წელს გრძელდება და 2025 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის დასრულდება. თუ მას დავუჯერებთ, დიდი ომის დაწყებაში უნდა ეგულისხმა 11 სექტემბრის ტერაქტები. რა შედეგით დასრულდება ომი, ამის შესახებ არაფერს ამბობს. ამიტომ, ვინაიდან ომებსაც პოლიტიკოსები იწყებენ და მშვიდობასაც თავადვე ამყარებენ, კარგი იქნება, თუ დიდი ომის დასრულებამდე დარჩენილ ერთ წელიწადში თავზე არ დაგვამხობენ ჩვენივე მსოფლიოს. ახლა გადავიდეთ ზღაპარზე.

ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ორი ზემძლავრი სახელმწიფოს მტრობა 21-ე საუკუნეში საშიშ ფაზაში გადავიდა. ერთი უკვე ღიად ავრცელებს მისთვის სასურველ წესრიგს, მეორემ კი დაიწყო ლაშქრობა ამ წესრიგის გავრცელების შესაჩერებლად. იქმნება ორი ბანაკი, რაც მსოფლიოს კარგს არაფერს მოუტანს.

ჰოდა, სწორედ იმ ძლიერ სახელმწიფოში, რომელიც მისთვის სასურველი წესრიგის გავრცელებას ცდილობს, ცხოვრობს კაცი, სახელად ყოვლის შემძლე. ასე იმიტომ შეარქვეს, რომ საკუთარი ქვეყნის მეფეზე მდიდარია და რასაც მოისურვებს, ფულით ყველაფრის გაკეთება შეუძლია. ყოვლის შემძლისთვის მისაღებია მისი ქვეყნის წესრიგის გავრცელება, ამიტომ მეგობრობს მხოლოდ იმ ქვეყნების მეფეებთან, სადაც უკვე მოქმედებს მისი ქვეყნის წესრიგი. ეს კაცი არა მხოლოდ მდიდარია, არამედ ჭკვიანიც და შორსმჭვრეტელიც, ამიტომ იმთავითვე დაინახა, რომ საქართველოს ბრწყინვალე მომავალი ელოდებოდა. „თუ საქართველოს ჩემი ქვეყნის ბანაკში არ მოვაქცევ, მტრის ბანაკში აღმოჩნდებაო“. გაიფიქრა მან — „მოდი, საქართველოში მორჩილ მეფეს დავსვამ და ქვეყანაც ვერსად გამექცევაო“. ვინ უნდა გაემეფებინა საქართველოში, ამაზე დიდხანს არ უფიქრია, ვინაიდან პირადად იცნობდა ახალგაზრდა ქართველს, რომელიც, ოღონდ გამეფებულიყო და ყველაფერზე წავიდოდა. ამ ახალგაზრდას მზეჭაბუკი ერქვა და ხშირად სტუმრობდა ყოვლისშემძლეს ქვეყანას. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას ყოვლისშემძლემ დაიბარა მზეჭაბუკი და უთხრა: “ვიცი, რომ მეფობა გწყურია, თუ ჩემი და ჩემი მეგობრების დავალებების შემსრულებელი გახდები, მეფედ დაგსვამ საქართველოშიო“. მზეჭაბუკმა უპასუხა, ნებისმიერ დავალებას შევასრულებ, მაგრამ მეფე როგორ გავხდებიო?

იმდენ ფულს მოგცემ, მთლიან კონტინენტზე მოაწყობ ფერად რევოლუციას და პატარა საქართველოში მით უმეტეს არ გაგიჭირდებაო. მზეჭაბუკი დათანხმდა, მიიღო ყოვლის შემძლისგან ურიცხვი ფული და გახარებული ჩამოვიდა საქართველოში ფერადი რევოლუციის მოსაწყობად. ჩამოსვლისთანავე დააფუძნა პოლიტიკური პარტია: **„მზეჭაბუკი - დემოკრატიის შუქურა“** და დაიწყო თანამოაზრეების შემოკრება. ნაწილი მოისყიდა, ნაწილი დააშანტაჟა, ნაწილმა მართლაც ირწმუნა მისი. როდესაც დარწმუნდა, რომ რევოლუციის მოსაწყობად საკმარისი ხალხი შეაგროვა, თქვა „ფერად რევოლუციას რომელი ყვავილის სახელი დავარქვაო“ და დაიწყო ბაზრებში მდებარე ყვავილების განყოფილებებში სიარული. უეცრად თვალი მოჰკრა ვარდს, რომელმაც უხილავი ძალით მიიზიდა მზეჭაბუკი.




ყველა ასეთ ვარდს ვყიდულობ, უთხრა გამყიდველს. გამყიდველმა უპასუხა, ასეთი ვარდი მეტი არ არსებობს და არც იყიდება, იმიტომ მაქვს გამოტანილი, რომ კეთილი საქმისთვის გავატანო ვინმეს, შენ რა საქმისთვის გჭირდებაო? ხომ არ ეტყოდა მზეჭაბუკი, რევოლუციის სიმბოლოდ მინდაო, ამიტომ მოიტყუა, შეყვარებულს უნდა ვაჩუქოო. გამყიდველს ჩაეცინა, ასეთი კარგი საქმისთვის ვარდს როგორ დავინანებო და გაუწოდა ვარდი.

მზეჭაბუკი პარლამენტისკენ გაიქცა. სადაც ხელისუფლების დამხობისთვის, მის მიერვე, მობილიზებული ადამიანების არმია ელოდებოდა.

**ვინ გაუწოდა მზეჭაბუკს ვარდი და რა ვარდი იყო ეს?**

მოგეხსენებათ, ყოველივე ღმერთის შექმნილია. ის, ვინც ვარდი გაუწოდა მზეჭაბუკს, საქართველოს მფარველი ანგელოზი იყო. მფარველმა ანგელოზმა იცოდა, რისთვის სჭირდებოდა მზეჭაბუკს ვარდი, იცოდა, რომ გამეფდებოდა და ცხრა წელს იმეფებდა, იცოდა, რომ სხვა ქვეყნების მეფეების დავალებებს შეასრულებდა. მაშინ რატომ გაატანა ვარდი? სავარაუდოდ, მფარველ ანგელოზს უნდოდა, რომ ვარდს სამუდამოდ დაედო ბინა პარლამენტის შენობაში. მზეჭაბუკი კი სწორედ პარლამენტში აპირებდა ვარდის ერთჯერადად გამოყენებას. ხვდებით, ალბათ, რომ ვარდი უბრალო არ იყო, საქართველოს ტერიტორიაზე უკვდავი იყო და მუდამ ხასხასა წითელი ფერი ჰქონდა, მაგრამ ფერმკრთალდებოდა, თუ საქართველოს ტერიტორიული პრობლემა შეექმნებოდა. ზებუნებრივი ძალით საქართველოს ერთგულ ადამიანებს ენერგიას უათმაგებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენამდე მხოლოდ ერთმა ვარდმა მოაღწია და მოაღწია იმიტომ, რომ მფარველმა ანგელოზმა იმ ვარდის ბუჩქიდან მოჭრა, რომელიც თავადვე ჩარგო დავით აღმაშენებლის ბაღში.

როდესაც დავით აღმაშენებელს დაუნახავს ეს ბუჩქი, უთქვამს, საიდან ჩემ ბაღში ასეთი სილამაზეო და ვინაიდან ახსნა ვერ უპოვია, ღვთის წყალობად მიუჩნევია. დავითისა და თამარის დროს ბუჩქი ხასხასა წითელი ვარდებით ყოფილა შემკული, შემდეგ საერთოდ გამქრალა. ალბათ, მონღოლები მოხიბლა ბუჩქის სილამაზემ და ურდოში წაიღეს, მაგრამ ვარდი მაშინვე გახმებოდა, როდესაც საქართველოს საზღვრებს გაცდებოდა და ურდოშიც ველარაფერს ჩაიტანდნენ. რვა საუკუნე გავიდა ბუჩქის გაუჩინარებიდან, გადარჩა მხოლოდ ის ერთი ვარდი, მფარველმა ანგელოზმა მზეჭაბუკს რომ გაატანა და გაატანა იმიტომ, რომ საჭიროდ ჩათვალა ამ ბოლო ვარდის მეფის კარზე დაბრუნება, მეფის კარის ფუნქციას კი საპარლამენტო სახელმწიფოში პარლამენტი ასრულებს.

რა არ გადაუტანია საქართველოს ბოლო რვა საუკუნის განმავლობაში, მაგრამ ვარდი მეფის კარზე მფარველ ანგელოზს არ დაუბრუნებია. რა მოხდა, რა საშიშროება დაინახა ისეთი, რომ ვარდის სასწრაფოდ დაბრუნება გადაწყვიტა? სავარაუდოდ, ისეთი ბოროტების დათესვის შესაძლებლობა დაინახა, რასაც **„ახალგაზრდების გონებაში ქართული ფასეულობების გადაგვარების საშიშროება“** ჰქვია. მზეჭაბუკი იმ მიზნით, გამოიყენა რომ ვარდი დანიშნულების ადგილამდე მისულიყო.

მზეჭაბუკმაც მიირბინა პარლამენტამდე. პარლამენტის ირგვლივ მზეჭაბუკის ხალხი დგას, შიგნით კი ტრიბუნასთან დგას მეფე და იმ მომენტში, როდესაც იგი აფხაზეთის საკითხზე უნდა დაეწყო საუბარი, ვარდით ხელში და „გადადექი“-ს ძახილით, მხარდამჭერებით გარშემორტყმული შემოდის მზეჭაბუკი.

მეფემ იცის, რომ გამეფების შემთხვევაში მზეჭაბუკი უცხო ქვეყნების დავალებების შემსრულებელი გახდება, რითაც საქართველოს აუცილებლად დააზიანებს. ისიც იცის, რომ მზეჭაბუკის შესაჩერებლად გარეთ მდგომი ხალხის დაშლა გახდება საჭირო. მეფე აკეთებს არჩევანს, შემდეგ ამბობს: „სახლში მივდივარ“ და დარბაზიდან გადის. მის მიერ გაკეთებული არჩევანი დღესაც საკამათოდ რჩება, მაგრამ ზღაპარი არ ითვალისწინებს ამ კამათში ჩართვას.

მეფის დარბაზიდან გასვლისთანავე მზეჭაბუკი მიდის ტრიბუნასთან, აძლევს ვარდს (რომელიც მას აღარ სჭირდება) ვიღაც თავისიანს, ჩადე რამეშიო. კორონაციის ნიშნად სვამს მეფის ჩაის და იწყებს უზრუნველ მეფობას. ის ვარდი სადმე პარლამენტის შენობაში დაიდებდა ბინას. ჰოდა, ეს ვარდი დღესაც იქ დევს და ენერგიას უათმაგებს ყველას, ვინც საქართველოს ინტერესებს ემსახურება.

როგორ მართავდა მზეჭაბუკი საქართველოს? თუ ყოვლისშემძლეს მეგობარ მეფეებს დაუჯერებთ, როგორც ისინი ამბობდნენ, გადასარევად მართავდა. იმასაც ამბობდნენ, ყველა დავალებებს დროულად და პირნათლად ასრულებსო, მუდმივად უნდა დავტოვოთ ტახტზეო.

* * *

„მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, მზეჭაბუკი დაღუპავს საქართველოსო“, გაჰკიოდა კაცი სახელად მართალი. ასე იმიტომ შეარქვეს, რომ გაუაზრებლად არაფერს იტყოდა და რასაც იტყოდა, ყოველთვის მართლდებოდა. ჰოდა, მართალმა თქვა: „საქართველო ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნოთო“ და გამოიწვია მზეჭაბუკი პატიოსან ბრძოლაში. ბრძოლის ველზე ერთ მხარეს იდგა მართალი ზღვა ხალხთან ერთად, მეორე მხარეს მზეჭაბუკი, რომელიც თავის მომხრეებთან და უცხო ქვეყნების მეფეებთან ერთად აბობოქრებულ ოკეანეს მოგაგონებდა და მოხდა სასწაული, ზღვამ ოკეანე დაამარცხა. მზეჭაბუკის დამარცხება შეუძლებლად მიაჩნდათ და ვინაიდან მართალმა შეუძლებელი შეძლო, ხალხმა **მაქსიმუს მართალი** დაარქვა. გაურკვეველი მიზეზის გამო, **მაქსიმუს მართალმა** უარი თქვა მეფობაზე და სახელმწიფოს მართვა საგულდაგულოდ შერჩეულ ვეზირებს მიანდო, თავისთვის კი მრჩევლის ფუნქცია დაიტოვა. „ბევრი მეგობრის ყოლა სიმდიდრეა, მაგრამ არ შეასრულოთ მათი ისეთი თხოვნები, რომლებიც საქართველოს დააზიანებს“, აფრთხილებდა მაქსიმუს მართალი ვეზირებს. ვეზირები ასეც იქცეოდნენ, შედეგად საქართველო აღმავლობის გზას დაადგა და განაგრძობს სწრაფი ნაბიჯებით სვლას. პარლამენტის შენობაში უჩინარი ვარდი ეხმარება ვეზირებს და ყველას, ვისაც საქართველოსთვის უძგერს გული, მაგრამ ჩვენი ქვეყნის წინსვლა არ ახარებს ყოვლისშემძლეს მეგობარ მეფეებს, მათ მზეჭაბუკის მმართველობა ენატრებათ და კვლავ მისი გამეფების იმედი აქვთ.

რაც შეეხება თავად ყოვლისშემძლეს, ხვდება, რომ მზეჭაბუკის მეორედ გამეფება შეუძლებელია, თან საქართველოს წინსვლასაც ხედავს, ამიტომ როგორც ბიზნესმენი, ის წარმატებულ საქართველოსთან მეგობრობაზე და არა გადატრიალებების მოწყობაზე უნდა ფიქრობდეს. სწორედ ამაზე ფიქრობდა ყოვლისშემძლე და ერთხელ, როდესაც საკუთარ მრჩეველს ესაუბრებოდა, თქვა: საქართველო სწრაფად ვითარდება და დიდ წარმატებასაც მიაღწევს, როგორმე უნდა დავიმეგობრო ეს ქვეყანა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში რომ დავეხმარო მაქსიმუს მართალს, რას იტყვი ამაზე, როგორი აზრიაო? კარგი აზრიაო, უპასუხა მრჩეველმა. ყოვლისშემძლე შეგულიანდა და თქვა რაკი კარგი აზრია, მე ვიყო ბოთე, თუ არ გავამთლიანო საქართველოო. ამ სიტყვებზე მრჩეველს სიცილი აუტყდა. რა გაცინებს, რა ვთქვი სასაცილოო? ბოთეზე გამეცინაო, მიუგო მრჩეველმა და გააგრძელა:

„თბილისში ერთი კაცი, სახელად ბოთე, წლების განმავლობაში მუშაობს საქართველოს გამთლიანების საკითხზე. გათვლილი აქვს ყველა ნაბიჯი: როგორ უნდა დაითანხმოს კონფლიქტის მხარეები ერთობლივ მუშაობაზე; სად უნდა წარმოებდეს მხარეთა ერთობლივი მუშაობა; რა უნდა ჩაედოს საფუძვლად საქართველოს გამთლიანებას; ისიც კი გათ-

12 გვ.

# ცისფერი წარღვნა

რატომ არის ატეხილი ასეთი ამბავი და ასეთი წინააღმდეგობა ამ ე. წ. ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონთან დაკავშირებით, ოჯახის სიწმინდესა თუ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე, უცნაურად სულაც არ მეჩვენება — ეს ასეც უნდა ყოფილიყო. აქამდე ხმა არ ამომიღია, ან ახლაც რატომ უნდა ვცდებოდე ამ საკითხზე წერით და დროს ვკარგავდე, მაგრამ უკვე მომწყინდა და მეც ჩავერთე.

უპირველესად, მსოფლიო ათეულის ცხრილს დახედეთ, რომელი ქვეყნებია ქალებისა და ქალისებრებისთვის განსაკუთრებით საშიში, განსაკუთრებით მე-10 ადგილს — გაგიკვირდათ, რომ აშშ აღმოჩნდა? შემდეგ კი იმას ვიტყვი, რასაც ვფიქრობ, რაც მხოლოდ ჩემი წუხილი და საწუხარი არ არის... აქვე დავძენ, რომ ქალებისა და ქალისებრების მკვლელობის მხრივ საქართველოში საშუალოზე უკეთესი მდგომარეობაა.

ჯერ კიდევ 1973 წელს აშშ-ის ფსიქიატრიულმა ასოციაციამ გადაწყვეტილება რომ მიიღო, ჰომოსექსუალიზმი ავადმყოფობა არ არისო, მისი (ჰომოსექსუალიზმის) მეტასტაზები რომ გაიშლებოდა, ცხადი იყო. ამ გადაწყვეტილების მიღებიდან დაახლოებით, 15-20 წელი კბილს უსინჯავდნენ ქვეყნებს, მხოლოდ ფარულად ახალისებდნენ და ერთმანეთთან აკავშირებდნენ მანამდე ავადმყოფებად ცნობილებს.

90-იანი წლებიდან კი უკვე ღიად დაიწყეს ე. წ. ცისფერებისთვის მომსახურების მიზნით მთელი ინდუსტრიის შექმნა — სპეციალური კლუბები, ფილმები ცისფერებსა და ცისფერობაზე, მოდა, სპეციალური საპარიკმახეროები, საადვოკატო კანტორები, რომლებიც მათ და მათ უფლებებს დაიცავდნენ, სუპერმარკეტებიც კი და ა. შ.

ამერიკელმა მენეჯერმა სიგალმა უდიდესი სადისტრიბუტორო კომპანია შექმნა, სადაც ჰომოსექსუალებზე ორიენტირებული პროდუქტების რეკლამირება დაიწყეს. გაჩაღდა ფანტასტიკური ვაჭრობა და ე. წ. ცისფერობა დასავლეთში მოდურად იქცა. აღსანიშნავია, რომ ვინც ბოლომდე ვერ ბედავს სქესის შეცვლას, თეძოებს იმრგვალებს, სახეს ქალურობას აძლევს და ა. შ. მოკლედ რომ ვთქვათ, ზოგიერთი მონაცემით, პლასტიკური ქირურგების, ვენეროლოგების, კოსმეტოლოგების, დანტისტებისა და კოსმეტიკის მწარმოებლების შემოსავლების მესამედს ე. წ. ცისფერების ფული შეადგენს.

1994 წელს ნიუ-იორკში ჩატარდა IV ცისფერი ოლიმპიადა. ქალაქის მერმა ბრძანება გასცა, რომ სტადიონზე შიდსით დაავადებული მაყურებელიც შეეშვათ...

მთელ მსოფლიოში შექმნილია ცისფერი სასტუმროების ქსელი, გამოიცემა ასობით ცნობარი და ჟურნალი გეი-ტურიზმზე, ფუნქციონირებს გეი-საუნები, რესტორნები, პლაჟები და ა. შ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჰომოსექსუალიზმმა ბოლო ათწლეულებში გიგანტური მასშტაბები მიიღო და ფაქტობრივად, მრავალრიცხოვან სექტად ჩამოყალიბდა, რომელსაც არაერთ ქვეყანაში ჰყავს მძლავრი დასაყრდენი. ჰომოსექსუალისტური ორგანიზაციებს, გარდა იმისა, რომ უზარმაზარ ფინანსებს ფლობენ, ჰყავთ წარმომადგენლები ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. მათ მხარს უჭერენ პოლიტიკოსები, ცნობილი ხელოვანები და ა. შ.

ჰომოსექსუალისტური კორპორაციები, რომლებიც, როგორც წესი, ინიღბებიან სხვადასხვა ფონდების სახელწოდებით და აქტიურად აფართოებენ გეოგრაფიულ არეალს, აყალიბებენ ადგილობრივ ფილიალებს, გულუხვად აფინანსებენ მათ, ზრუნავენ თანამოაზრეთა კარიერაზე და ა. შ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჰომოსექსუალური ინდუსტრიის განვითარებისთვის თვალუწვდენელი ჰორიზონტი გამოჩნდა, რომლის ასათვისებლადაც დაუყოვნებლივ დაიძრა საინფორმაციო საშუალებებითა და დოლარებით შეიარაღებული არმია. სანამ პუტინი მომძლავრდებოდა და აზრზე მოვიდოდა, კი გაივაკეს, მაგრამ მერე რომ შემოუჭირა მახრჩობელასავით და ბოლოს კანონით მოახრჩო, ამიტომ გაიძახიან ახლა, „ოცნება“ რუსულ ნარატივზეაო. ნარატივი თქვენ და არმაგედონის ზანგისააა!

2000 წლისთვის, საქართველოში ამ მხრივ უკვე საზიფათო მდგომარეობა იყო, ჰომოსექსუალისტური სინდიკატები მთელი ძალით უტევდნენ, მაგრამ სკამმორყეულ შევარდნაძის ხელისუფლებას იმის შნო არ ჰქონდა, რომ რამე ელონა. ელემენტარულად, ჯერ კანონი აღარ იყო, რომლის მიხედვით ჰომოსექსუალიზმი იდევნებოდა; შემდეგ დუმდა საზოგადოებაც, ეკლესიაც, სამედიცინო სამსახურებიც, განათლების სფეროს წარმომადგენლებიც, ინტელიგენციაც და აბსოლუტურად ყველა, ვისაც ხმა ამოეღებოდა — არასამთავრობოები კი რას იტყოდნენ, იქით უწყობდნენ ხელს. მოკლედ, სახეზე იყო ამ „ინდუსტრიის“ დამკვიდრების აშკარა საშიშროება, მაგრამ ყველა დუმდა შევარდნაძის დაფეხვილი პარლამენტის ჩათვლით, არადა, მხოლოდ ერთი რამ იყო საჭირო — კანონის მიღება.

2000 წელს ვახტანგ ჭკუასელი რომ იყო ჩამოსული საქართველოში და გაგვაფრთხილა, საქართველოში ცისფერი წარღვნა მოდისო, ძლივს გაასწრო, კინაღამ მოკლეს კაცი. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ დროისთვის უკვე მძლავრად იდგნენ ფეხზე, შემბრძოლებელი კი არავინ იყო...

ახლა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ამ მხრივ მცირედი ფხა მაინც გამოიღო (მთლად აკრძალვას ვერ ბედავენ!), გაბედა ეთქვა, რომ ეს კანონი ხალხის დაკვეთაა და ტყვიის გასროლის ტოლფასი აღმოჩნდა.

„ჩვენ გვჯერა, რომ, რაც აერთიანებს ევროპას, ეს არის, პირველ რიგში, სწორედ ქრისტიანული ფასეულობები და სწორედ ამას ეძღვნება ის კანონი, რომელიც არის მიღებული — ტრადიციული ქრისტიანული ფასეულობების დაცვას, ოჯახის, არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვას. როდესაც ამაშიც კი ეძებ უარყოფით მხარეს, ეს ნიშნავს იმას, რომ რაღაც არასწორი გინდა ამ ქვეყნისთვის“, — თქვა პრემიერმა კობახიძემ და სწორედაც რომ ასეა!

გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, ვინმე მიხაელ როთი ვინ არის ჩემი საქართველოსთვის? მამუკა მდინარაძის თქმისა არ იყოს, გათხოვილია თუ გამოთხოვილი, არ მაინტერესებსო. სწორედაც რომ ასეა, არანაირ ავტორიტეტს არ წარმოადგენს არც ჩემთვის და არც საქართველოს რომელიმე ნორმალური მოქალაქისთვის. ისემც უქნია, ცერბერის წინაშეც სულ „შლაფენ, შლაფენ, დას ისტ ფანტასტიშ“ უძახია, მაგრამ როგორ ბედავს, რომ ქართულ ეკლესიას ეტევება? ქართველ ახალგაზრდებს ეკლესია გაზრდის თუ ქორბუდა ირემი, რა მისი საქმეა?

თავისი ჭკუით, კიდევ იქით დაგვცინის და გვამუნათებს, მე უფრო ხშირად დავდივარ ეკლესიაში და ვესწრები მსახურებას, ვიდრე ყველა ის ადამიანი საქართველოში, რომელიც მართლმადიდებლურ ეკლესიასთან დაკავშირებული განცხადების გამო მაკრიტიკებსო.

ამ დედანაჟრიამულებმა ჯვარი რომელ ეკლესიაშიც დაიწერა, იმ ეკლესიაში რატომმაც არ ილის...

რას ამოიჩემეს საქართველო, — ვირს პიტნა არ უყვარდა და ცხვირში ჩრიდნენო, ასეა ჩვენი საქმე...

საინტერესოა, როდესაც კატარმა 2022 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის დროს, აკრძალა ლგბტ (და სპირტიანი სასმელების შეტანა) პროპაგანდა, სპეციალური მუხლი შეიტანეს კანონში, რომ რაიმე მსგავსი გამოვლინება არ მომხდარიყო, ხმა რატომ ვერ ამოიღო ე. წ. კოლექტიურმა დასავლეთმა? იმიტომ, რომ იქ, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორები არიან, ე. წ. ამერიკანიზაცია არ მომხდარა, ისლამმა არ დაუშვა.

საქართველოსა და მართლმადიდებლობას რატომ გვიტევენ? იმიტომ, რომ მათი მიზნებისთვის თავისტკივილად ვართ ქცეული. უკრაინაში მოახერხეს და გახლიჩეს მართლმადიდებელი ეკლესია, აქ კი, მიუხედავად ამერიაკანიზაციისა, ეცადნენ, მაგრამ ვერ შეძლეს...

პირადად მე, იმ ასაკის ქალაქელი გახლავართ, რომ ლგბტ მთელ სპექტრთან მომიწია შეხებამ სხვადასხვა დროს და ზოგ მათგანთან მეგობრული ურთიერთობაც მქონდა. იმ „ძველ“ დროში ამგვარი სექსუალური გადახრები დასჯადი იყო. ყველაფერს თავისი სახელი ერქვა, რაც ძალზე მარტივად გამოითქმებოდა — აქტიური და პასიური მამათმავალი — მთლიანობაში პედერასტი და ქალის მოყვარული ქალი — ლესბიანკა. დამთავრდა! რა ტრანსგერდერი, გეი, ბისექსუალი და ინდის ხურმა! კაცი ქალის კაბას ჩაიცვამს და ისე ახუნტრუცდება სექსუალურად თუ შარვალი ეცმება და ისე, რა მნიშვნელობა აქვს, ის ხომ კაცია, ანუ პასიური მამათმავალი, ანუ პედერასტი. ბისექსუალი — მთლად უბედური სექსუალისტი, ქალი იქნება თუ კაცი, მნიშვნელობა არ აქვს, თუ თვითონაც სექსუალური მოთხოვნილება გაუჩნდა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ვცხოვრობდით გვერდი-გვერდ და არანაირი სიძულვილი, ჩაგვრა და გამორჩევა არ იყო. ის კანონიც, რომელიც მათ სჯიდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოქმედდებოდა ხოლმე, როცა ძალიან თვალსაჩინო გახდებოდა მათი სექსუალური გადახრები, ან ვინმე უჩივლებდა, ფაქტი დაფიქსირდებოდა, ან ძალადობას ექნებოდა ადგილი.

თემურ მღებრიშვილმა მიამბო: „ახალგაზრდა ოპერმუშაკი ვარ, შემოვლას ვაწარმოებთ. ღამის სამი საათი იქნებოდა. ავიარეთ წერეთელზე — მიდის, ჩავიარეთ და ისევ მიდის, მაგრამ საეჭვოდ მინარნარებს ქურქში გამოწყობილი ქერათმიანი ქალი, მაღალ ქუსლებზე შემდგარი. მეწყვილეს ვეუბნები, თუ ატყობ, ამას არსად ეჩქარება, საეჭვოდ ნელა მიდის. მოდი, შევამოწმებ, ვინ არის. ფეხებთან მივუჩერეთ მანქანა, გადავედი. ერთი მომხედა და გაიქცა. უფრო საეჭვოდ მეჩვენა და გავეკიდე. შუა სირბილში ფეხსაცმელები გაისროლა და მოუმატა სირბილს. მეც მოვუმატე. ამძიმებდა სირბილში და მერე ქურქი გაიძრო და დააგდო. სპორტსმენი ბიჭი ვარ, მაგრამ ქალს ვერ ვეწევი? ავკრიფე და იმანაც აკრიფა. ისაა, უნდა დავეწიო, რომ უცბად თავი მოიძრო და მესროლა. კინაღამ გული გამისკდა. დავიხარე, ავიღე და პარიკი ყოფილა. ამასობაში მანძილი მოიგო, მაგრამ ახლა უკვე ბოლო სიჩქარეში ჩავაგდე და რას გამასწრებდა ვინმე სირბილში, მსოფლიო ჩემპიონის გარდა. დავიჭირე, გადავუგრიხე ხელები, ლამპიონების შუქზე სახეზე შევხედე და რომ დავინახე, ვინც იყო, ერთი მოვდე, რას მარბენინე შე პედერასტო-მეთქი. თქვენი თავი არ მქონდა, განყოფილებაში წამიყვანდითო. ამდენი რომ მარბენინე ტყუილად, ახლა არ წაგიყვან-მეთქი? წავიყვანეთ განყოფილებაში, დაწერა ახსნა-განმარტება და გავუშვით“. ბატონმა თემურმა მითხრა მისი ვინაობა, რაც, ცხადია, ჩემთვისაც ცნობილი იყო, მაგრამ ტიპ-ქალა გარდაცვლილია უკვე და ამიტომ არ დავასახელებ მის გვარ-სახელს.

მთელმა ქალაქმა ვიცოდით, ვინ იყო ამგვარი სექსუალური გადახრის, მაგრამ ამით მთავრდებოდა ცოდნა, რადგან ასეთი პირი არც პროპაგანდა-აგიტაციას ეწეოდა და არც ღიად ავლენდა თავს. მოკლედ რომ ვთქვათ, არავის აწუხებდა.

ახლა რა გამოდის, ამ ერთი მუჭა ნაკრების საპირწონედ ქუჩაში ჰეტეროსექსუალებმაც ვიტანტალოთ? მათი პროპაგანდის საპირწონედ ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა გვაქვს და რაგინდ ამერიკელი ფსიქიატრების გადაწყვეტილებები არსებობდეს, არ ვცნობთ ავადმყოფობის პროპაგანდას, სულ ეს არის. ჯანმრთელი ფსიქიკის მამაკაცს რანაირად შეიძლება მოსწონდეს თავისნაირი ბანჯგვლიანი და არა ლამაზი ქალი?

ყველა ჩემი ნაცნობის ისტორია მაინტერესებდა, რატომ დაადგნენ ამ გზას და ისინიც სიამოვნებით მიყვებოდნენ, რადგან კომპლექსებიდან გამომდინარე, ყურადღების ძალზე დიდი მოთხოვნილება აქვთ. მათთან საუბრებიდან გამოტანილი დასკვნების მიხედვით, შემიძლია ისინი კატეგორიებად დავყო: ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი, ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე,

12 გვ. →






# ცისფერი ნარღვნა

11 გვ.

ბავშვობაში სხვათა სქესის ყურების გამო ცნობისმოყვარე, კუმირის მიმბაძველობით და უბრალოდ, გარყვნილი. ქალად გრძნობს თავს არა, მოხარშული წაბლი! ქალად თუ გრძნობს თავს, ქალის შრომატევადი საქმით დაკავდეს ოჯახში, რადა მხოლოდ სექსში გრძნობს თავს ქალად — ქალად გრძნობს თავს კი არა, ჩვეულებრივი პასიური მამათმავალია!

ნამდვილად ვერ დავეთანხმები ფრაზას „ის ასეთად დაიბადა“ — როგორ, ერთი წამის დაბადებული ჩვილი უკვე მამათმავალი ან ლესბიანკაა? (ლესბოსელი არა, კრეტელი! კი, კუნძულ ლესბოსზე დაიბადნენ.)

ისევ ჩემი ნაცნობების მაგალითზე ვიტყვი: ჩემი ნაცნობი ერთ-ერთი უტყვი ე. წ. ტრანსგენდერი ერთ დღეს გეიდ შემხვდა. რომ ვკითხე, რა უყავი „ქალის შმოტკა-მეთქი“, ახლა აღარ მაწყობსო. ამასწინათ დავინახე და ისევ ტრანსგენდერი იყო.

ჩვენთვის რომ ორგიები ჰქვია, ესენი ამ სახით ერთობიან, თავდაყირა გადადიან მოჭარბებულ სექსუალურ ფონზე და ამას თავისუფლებას არქმევენ, მათი დამფინანსებლები კი მათ რიგებს ავსებენ. კი, ბატონო, დააფინანსონ და მათაც, რანაირადაც უნდათ, ისე იგულაონ, მაგრამ მოზარდებს, ბავშვებს, საზოგადოებას თავი დაანებონ, ნუ უქადაგებენ, რომ ერთნაირსქესიანთა სექსუალური აღვირახსნილობა ნორმალური ცხოვრების წესია!

ინტეგრირება — ეს სიტყვაც ყურით მოთრეულია. გადახრილი სექსუალური ორიენტაციის არაერთი ცნობილი და გამოჩენილი პირი იყო და არის დღესაც თითქმის ყველა სფეროში, მაგრამ ისინი არ ყვირიან და არ ჭყივიან, მშვენივრად არიან ინტეგრირებულები.

არავისი საქმე არ არის, სხვის საძინებელში რა ხდება, მაგრამ რომ აღარ ეტევიან იმ თავიანთ საძინებელში და იქ რაც ხდება, გარეთ გამოაქვთ, ან სხვასაც შიგ მიათრევენ, ვერაფრით იქნება მისაღები. სექსუალური უმცირესობა იმიტომ ჰქვიათ ყველგან, ყველა ქვეყანაში, რომ მათი ცხოვრების ნირი უმცირესობისთვის არის მისაღები და დაეტიონ იმ თავის ვიწრო ბუდუარში, რატომ უნდა მოახვიონ თავზე თავიანთი დროებითი სექსუალური შესაძლებლობები თავზე საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას! დიახ, დროებითი, რადგან ხანმოკლეა მათი ამგვარი უსიყვარულო აღზნებადობა... ვინმეს ლგბტ ნიშნით მივარდნია?

— ისევ თვითონ დაერევიან ხოლმე ერთმანეთს, ან მეზობლებს თუ აიკლებენ. იმათაც, მოთმინების ძაფი გაუწყდებათ, ცხადია, განუწყვეტელი ღრიანცელისა და მრავალგზის გაფთრხილების შემდეგ, მაგრამ ამ შემთხვევაში ლგბტ არაფერ შუაშია, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო ადგილობრივი რეაქციაა...



ახლახან კიდევ ერთი ტრანსგენდერი ქალი მოკლეს, „კესარია“. ადამიანურად ძალიან შემეცოდა, სასიამოვნოდ აწყობილი იყო და არც არაფერში ერეოდა, ცხოვრებით ხარობდა თავისთვის. ატყდა ვაი-ვიში, ქალთა მიმართ ძალადობაზე დაიწყეს ლაპარაკი და ლგბტ-ზე გადავიდნენ, თვითონვე აებნათ, რადგან ახალმიღებულ კანონზე მიბმა უფრო აწყობთ სვავებს. სულაც არ ვახსენებდი ამ ამბავს, ადამიანი არ გაციებულა, მაგრამ თვითონ არ ჩერდებიან, პოლიტიკურ საუჩღულს უდებენ. ამიტომ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას! ბექამ მოკლა ბესო — აქტიურმა მამათმავალმა პასიური მამათმავალი მოკლა, სულ ეს არის!

სხვათა შორის, პაატა საბელაშვილმა გაავრცელა ინფორმაცია (მნიშვნელოვანი ამონარიდი): „კესარია 2008-ში მოვიდა ჩემთან და მომიყვა, როგორ აიძულებდა უშიშროება, რომ ვიღაც ბიზნესმენებთან ევლო და მერე მათთვის ვიდეოები გადაეღოთ.“ დაკავებულმა განაცხადა და რომ გარდაცვლილი აშანტაჟებდა სურათების გამოქვეყნებით, თუ ცოლად არ მოიყვანდა. წინასწარ განზრახვით არ მივსულვარ, რომ ავედი, მერე გავიგე, რომ ფოტოების გამოქვეყნება დაუწყია და ველარ მოვზომეო. უცნაურად კი დაემთხვა მომხდარი ფაქტი იმ როთის ჩამოსვლას და „ოცნების“ მიერ კანონის მიღებას და მოახლოებულ არჩევნებს — რას გაიგებ, რეალურად რა მოხდა...

აკი ვთქვი, ლგბტ თემის ზოგიერთ წარმომადგენელთან მეგობრული ურთიერთობა მქონდა-მეთქი. გთავაზობთ ამონარიდს ჩემი და ცნობილი ტრანსგენდერის, აწ გარდაცვლილ „ზიზისთან“ (ზურა) საუბრიდან, რომელიც მისივე თემის წარმომადგენელმა მოკლა. ვფიქრობ, მოიშორეს ისეთი ტრანსგენდერი, რომელიც აზროვნებდა, მოვლენებს საღი გონებით უყურებდა, იდეალური იუმორიც ჰქონდა, მეგობრობაც იცოდა და ლაპარაკობდა მხოლოდ სიმართლეს. იმის თქმა მინდა, რომ არანაირი ჰომოფობი არ ვარ, მხოლოდ სიმართლეს ვწერ ამ საკითხთან დაკავშირებით და თუ ვინმე ვერ გაიგებს, მისი მოკლე თვალსაწიერის ბრალი და მისი პრობლემაა (ჩვენი დიალოგი ვრცელი იყო).

**— ამდენი გამოიარე, რა დასკვნის გაკეთება შეგიძლია.**

— სისტემა იყო დამპალი და იქ მომუშავე, ზოგიერთი, მოწოდებით სადისტი, თორემ ციხე ციხეა... ქსანში, უფროსის, რობერტ არაქელოვის კაბინეტს მე ვალაგებდი, მენდობოდა. ერთხელ შევედი უფროსის კაბინეტში და საკმეველი ჰქონდა ანთებული, მორწმუნე იყო, სულ ლოცულობდა. ბოდიში-მეთქი. შემოდიო, შემიყვანა და საკმეველს მიქნევს. რას აკეთებთ ბატონო რობერტ-თქო და ეშმაკები უნდა გავდევნო შენგანო. უკვე გვიან არის, ეგ კი არა, „პაკრიშკა“ რომ დამინთო, ის აღარ მიშველის-მეთქი. „ძაღლებს“ ჩვენ ფეხებზე ვეკიდეთ, რითი უნდა შევეშინებინეთ... რობერტა მაგარი ტიპი იყო — 8 მარტს კამერაში მომაკითხა და მომილოცა „ბარამბოებით“ და მაგარი სუნამოთი. ეს ყველაფერი არის სიმართლე და იმავე სისტემის ნაწილი. მე, შეიძლება, ციხეს ციხედ აღვიქვამდი, მაგრამ რა საშინელებების შემსწრეც ვარ, იმას მეხსიერებიდან რა ამოშლის...

**— მიშას „იმედს“ უნდა ვუჩივლოო, მითხარი...**

— „იმედმა“ ერთი ხელის მოსმით, ისე, რომ მე არაფერი მკითხეს, გამაშუქა 2011 წელს ტრანსის ფორმაში. ჩემმა ოჯახმა არაფერი იცოდა ჩემი ტრანსობის შესახებ და იქიდან გაიგეს. აწი აღარაფერი მაქვს დასამალი. ოჯახმა გაიგო, ამომაკვეთინეს ფეხი, შიშით დავდიოდი, რომ ჩემი ძმა არსად გადამყროდა და სხვას ვისმეს ვჩივი? მერე აჩვენეს „100 გრადუს ცელსიუსში“, მერე იმას აჩვენებდნენ, მგონი, „პოსტ სკრიპტუმში“ ბოზებს და ჩათლახებს საზღვარგარეთ და ისევ მე გამომაჭენეს, უკვე ზონაში ვიყავი და მეკაიფებოდნენ „20 ლარი და გავედითო“...

**— გამოდის, რომ ცხრამეტ აპრილს გამოცხადებულ აქციაზე, შენ და შენი „სასტავი“ არ იქნებით?**

— საакაშვილის მხარდასაჭერ აქციაზე მე რა საქმე მაქვს, იქ ისინი იქნებიან, ჩუმად რომ ჟიმაობენ დავერბოვკებულები... შენ გგონია, ყველა მართლა ნაციონალია? გეგონოს! ნახევარი მათგანი ჩუმჩუმელა ბოზია, ოჯახები ჰყავთ და გამოჭერილები არიან, ძალით აყვირებენ „მიშა, მიშას“.

* * *

„ზიზის“ სიკვდილის შემდეგ დავფიქრდი: რატომ კლავენ მეტწილად ტრანსგენდერებს და არა გეებს? ისევ „ზიზის“ მაგალითზე დავასკვენი — „ზიზი“ ორი კვირა მცველად დაჰყვებოდა ახლობელ გოგონას და ერთხელაც, როდესაც დაცვა გახდა საჭირო, თავდამსხმელს იქით დაესხა თავს და იმ გოგონას ხვეწნა და ჩხუბში ჩართვა რომ არა, გაგუდავდა.

აშშ-ის ფსიქიატრიული დასკვნის რა მცოდნია! — ტრანსგენდერი, გარეგნულად რაგინდ ქალის ყალიბში იყოს, მამაკაცია. როდესაც მას, ქალის ამპლუაში უდიერად ექცევა მამაკაცი, მასში მამაკაცური თავმოყვარეობა ილვიძებს, მისი ნამდვილი საწყისი და მსხვერპლი ის ხდება, რომელიც უფრო ძლიერი მამაკაცი აღმოჩნდება...

იმ ბატიტვინა როთმა განაცხადა, კესარია მოკლეს სულ რაღაც ერთ დღის შემდეგ, რაც საქართველოში ანტი-ლგბტ კანონი მიიღესო. ვინმემ ჰკითხეთ, 2016 წლის ორლანდოს ეპიზოდში ომარ მარტინმა ღამის კლუბში 49 ადამიანი რომ მოკლა და 53 დაჭრა, იქაც ეს კანონი იყო? ბოლო ათი წლის განმავლობაში, მხოლოდ აშშ-ში 100-მდე ლგბტ პირი რომ მოკლეს, იქაც ეს კანონია?

ტრანსგენდერი „ლიზი“ ქისტაური გასულ წელს ანტვერპენიდან რომ ჩამოგვისვენეს, იქაც ეს კანონია, თუ ევროპაში ქართველი ტრანსგენდერი ქალის სიკვდილი არაფერია?

პარიზის ოლიმპიადის ჩემპიონ გოგოს ასევე მეგობარმა ბენზინი რომ გადაასხა და ცოცხლად დაწვა, ამ როთბაზარას რა აზრი აქვს ამ ამბავზე, რადგან ლგბტ არ იყო, გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობა არ არის? ჰოდა, ყველამ თავის დასვრილ გავას მიხედოს, რა!

ჯეკ მფატრავის სამშობლოც რომ სერიოზულად შეშფოთებულა საქართველოს პარლამენტის მიერ „ოჯახური ფასეულობბისა და არასრულწლოვანთა დაცვის“ შესახებ საკანონმდებლო პაკეტის მესამე მოსმენით მიღების გამო...

ფინალი მაინც ერთია: „მოვუწოდებ „ქართულ კოშმარს“, გაიწვიოს ეს სამარცხვინო კანონი!“ აბა, ამათ ადამიანობისა რამე სცხიათ?

სამარცხვინოდ სასაცილოები არიან პოლიტმეძავები, განსაკუთრებით ჭკუისმასწავლებელი გათხოვილი კაცები!

**P.S. ჩემს თაობაში ადამიანს რომ ეტყოდნენ „შე პიდარასტოო“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა კი არ იგულისხმებოდა, არამედ ის, რომ ის ადამიანი ყველაფრის მკადრებელი იყო. ყველაფრის მკადრებლად უნდათ საქართველოს ქცევა? — არ გამოვა ეგ ამბავი!**

**ზურა ოუხერელი**

# რადარიდან გამქრალი თვითმფრინავი

10 გვ.

ვლილი აქვს, თუ რა დრო დასჭირდება საქართველოს გამთლიანებას. ყველაფერი გათვლილი აქვს, მაგრამ საკმაო სახსრები და კავშირები არ აქვს, ამიტომ ვერც საქმეს აკეთებს. ერთხელ, უთქვამს: ფერადი რევოლუციების მოსაწყობად და საქართველოს დასანგრევად შოულობენ ფულს, მე კი ისეთი ბოთე ვარ, ქვეყნის გასამთლიანებლად ვერ ვშოულობო. ამის შემდეგ შეარქვეს მას ბოთე. ისიც გავიგე, რომ საქართველოს გამთლიანების საკითხზე აფხაზეთის ომის დასრულებიდან მუშაობს. როდესაც ადამიანი ერთსა და იმავე საკითხზე 30 წელი მუშაობს და საკუთარ ხედვაში არავითარი ცვლილება არ შეაქვს, ან ძალიან სულელია, ან მართლა შეუძლია საქართველოს გამთლიანება, ამიტომ გირჩევ, დაიქირავო ეს კაცი და მას მიანდო საქართველოს გამთლიანების საკითხი“. ყოვლისშემძლე დაფიქრდა, შემდეგ მიუჯდა მაგიდას და რაღაცის წერა დაიწყო. აი, რა დაწერა მან: „სახელით არ მოგმართავ, იდიოტური სახელი გაქვს, მაგრამ თუ ჩემ შემოთავაზებაზე უარს იტყვი, მართლა ბოთე იქნები. ვიცი, რომ საქართველოს გამთლიანების საკითხზე მუშაობ და უსახსრობის გამო წინ ვერ მიიწევ. მინდა, დაგიქირავო და დაგავალო საქართველოს გამთლიანება. ეს შენი თემაა და თუ მართლა შეგიძლია საქმის ბოლომდე მიყვანა, წესით, უარი არ უნდა მითხრა. ფული საკმარისზე მეტი გექნება, სანაცვლოდ მოვითხოვ საქართველოს გამთლიანებას მაქსიმუმ ერთ წელიწადში“. შემდეგ ყოვლისშემძლემ წერილი მრჩეველს გადასცა და უთხრა: „ჩაჯდები ჩემს თვითმფრინავში, ჩახვალ თბილისში, გადასცემ წერილს ბოთეს და მომიტან პასუხს“. მრჩეველი ჩაჯდა თვითმფრინავში, თვითმფრინავის აფრენა რადარმა დააფიქსირა, მაგრამ მალევე რადარიდან გაქრა, და ვინაიდან გაქრა, ზღაპრის მოყოლაც უნდა შევწყვიტო. რატომ ასე შუა გზაში?

დღეს ყოვლისშემძლეს და მის მეგობარ მეფეებს ადვილად სამართავი, დაქუცმაცებული და პოლარიზებული საქართველო სჭირდებათ. მათ არ სჭირდებათ გამთლიანებული და დამოუკიდებელი საქართველო, ამიტომ ზღაპარი უნდა დაასრულოს იმ ხვალინდელმა დღემ, რომლის მალე დადგომისთვის იბრძვის მაქსიმუს მართალი და რომლის არ დადგომისთვის ებრძვიან მას შიგნიდანაც და გარედანაც. რა ხდება ისეთი ხვალინდელ დღეში, რომლის დადგომა ასე აშინებთ საქართველოს არაკეთილ მოსურნეებს? ხდება ის, რომ ყოვლისშემძლე და მისი მეგობარი მეფეები ეძებენ გზას, თუ როგორ დაიმეგობრონ გამთლიანებული, ეკონომიკურად ძლიერი, დამოუკიდებელი საქართველო და სწორედ ეს ხვალინდელი დღე დაასრულებს შეწყვეტილ ზღაპარს. ხვალინდელი დღის დადგომამდე უნდა დავკმაყოფილდეთ იმის ცოდნით, რომ საქართველოს მფარველი ანგელოზი ჰყავს. პარლამენტში კი, სადღაც მიმალულა ფერმკრთალი ვარდი და თავისი ფერმკრთალობით გვეუბნება:

**„დამიბრუნეთ ის ხასხასა წითელი ფერი, დავითის ბაღში რომ მქონდა“...**

**როლანდ ნიკოლაიშვილი**

# ომი საქართველომ კი არა, ავანტიურისტმა სააკაშვილმა დაიწყო



ძვირფასო მკითხველო, ნამდვილად არ მინდოდა ამ თემაზე წერილის გამოქვეყნება და იმ მოუშუშებელი ტკივილიანი დღეების კიდევ ერთხელ გახსენება, რომელიც იმ პერიოდში საქართველოსა და ქართველ ხალხს სააკაშვილის მიერ გატარებული უგნური და ავანტიურისტული პოლიტიკის გამო თავს დაატყდა. მაგრამ აგერ უკვე 16 წელია, არ წყდება ამ თემით სპეკულირება და ბევრი ვაიპოლიტიკოსისათვის ქულების დაწერა. თუ აქამდე მარტო ნაციონალები და მათი ნარჩენები გაჰკიოდნენ, ომი რუსეთმა დაიწყოო, ახლა სხვებიც შეუერთდნენ და ერთხმად ადანაშაულებენ რუსეთს ომის დაწყებაში. თექვსმეტი წლის თავზე კი ამ კამპანიამ ისეთ აპოგეას მიაღწია, რომ გაჩუმება უკვე დანაშაულს ტოლფასია და საბოლოოდ უნდა გავარკვიოთ ეს ამბავი. საღი აზროვნებითა და მიუკერძოებული მსჯელობით, ერიც და ბერიც ერთ აზრზე უნდა დავდგეთ, ვიკამათოთ არგუმენტებზე და ფაქტებზე, ჭეშმარიტებაც მხოლოდ ამ ფაქტორებზე დაყრდნობით უნდა დავადგინოთ და არა ჭორებისა და ყურმოკრული ამბებით გავრცელებულ ინფორმაციაზე.

ამ თემაზე წერილის დაწერა, ჯერ კიდევ ქ–ნი სალომე ზურაბიშვილის მიერ პრეზიდენტობის კანდიდატად ყოფნის დროს გაკეთებულმა განცხადებამ და ამის გამო მასზე თავდასხმებმა გადამაწყვეტინა, მაგრამ თემა იმდენად მტკივნეულია, რომ მაშინ წერილის გამოქვეყნებისაგან თავი შევიკავე. ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ, ალბათ, უამრავი ოპონენტი გამომიჩნდება, რომლებიც რუსოფილობას დამწამებენ, პუტინის აგენტობასა და ქვეყნის ღალატშიც დამდებენ ბრალს, მაგრამ წინასწარ ვაცხადებ: მე არც „რუსოფილი“, არც „ამერიკოფილი“, არც „ევროფილი“ და არც „არავისფილი“ არ ვარ, მე მხოლოდ ჩემი ქვეყნის პატრიოტი, იქნებ, „ქართველოფილი“ ვარ. რუსეთი რომ ფრთიანი ანგელოზი არ არის, ეს ფაქტია და ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. ოსეთი რომ რუსეთის მხარდაჭერის გარეშე პროვოკაციებს ვერ მოგვიწყობდა და მცირემასშტაბიან წერტილოვან დარტყმებს ვერ გაბედავდა, ესეც ჭეშმარიტებაა. ოსეთი და აფხაზეთი რუსეთის დახმარების გარეშე ჩვენგან რომ ვერ გამოიყოფოდნენ და თავის დამოუკიდებლობას ვერ გამოაცხადებდნენ, ესეც ჭეშმარიტებაა და მტკიცება არც ამას ჭირდება. მაგრამ შენ რომ სახელმწიფოს მეთაური და პოლიტიკოსი ხარ, იმდენი ჭკუა ხომ უნდა გქონდეს, რომ პროვოკაციაზე არ წამოეგო და ვიღაცების ცრუ დაპირებების იმედად ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები არ წამოიწყო, თანაც ვის, რუსეთის წინააღმდეგ? იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც დღესაც მსოფლიოს აზანზარებს? როცა ამდენი არ გესმის და ელემენტარული პოლიტიკური ანალიზის უნარი არ გაგაჩნია, რატომ დგამ ასეთ სულელურ ნაბიჯს და შენს ხალხსა და ქვეყანას კატასტროფის წინაშე რატომ აყენებ. ოსეთის მხრიდან განხორციელებული წერტილოვანი დარტყმებისთვის შენც იმავე ტიპის დარტყმებით უნდა გეპასუხა და არა ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედების დაწყებით. მიუხედავად იმისა, რომ ქ–ნი სალომე ზურაბიშვილის მიმართ დიდი სიმპათიები არასოდეს მქონია, რის სერიოზული და არგუმენტირებული საფუძველიც დიდი ხანია მაქვს, უნდა ვაღიარო, რომ მან სიმართლე თქვა, როცა განაცხადა, ომი საქართველომ დაიწყოო. ის სიმართლე, რომელიც ყველა საღად მოაზროვნე ქართველისათვის უკვე დიდი ხანია, ცნობილია და სიახლეს არ წარმოადგენს. ოღონდ ქ–ნ სალომეს ტერმინებში ვერ დავეთანხმები, ომი, უფრო სწორად, ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები სოფ. ვარიანიდან საქართველომ კი არა, ავანტიურისტმა სააკაშვილმა დაიწყო 2008 წლის 7 აგვისტოს, 23 სთ-სა და 15 წუთზე, რასაც ოსეთის საზღვარზე გაეროს ეგიდით ჩამდგარი 12 მშვიდობისმყოფელი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა და ცხინვალის მშვიდობიან მოსახლეობაშიც მოჰყვა მსხვერპლი.

ომი რომ სააკაშვილმა დაიწყო, ამის შესახებ ყველამ იცის, რაც თვით ნაციონალებსაც კი, თავის ბარამიძე-კანდელაკ-თაქთაქიშვილ-სააკაშვილიანად ერთად აქვთ აღიარებული და წერილობითი დოკუმენტით დადასტურებული. აღარაფერს ვამბობ ტალიავინის დასკვნასა და ჰააგის სასამართლოზე. რატომღაც ყველას ავიწყდება და არავინ იხსენებს სააკაშვილის მიერ 2008 წლის 8 აგვისტოს 15-სთ-ზე ტელევიზიით გამოსვლისას გაკეთებულ განცხადებას, რომ **„საქართველოს საჯარისო ნაწილები, სრულად აკონტროლებენ ცხინვალსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის 70%-ს, მარტო ჯავის ტერიტორია დაგვრჩა გასათავისუფლებელი და ამასაც უახლოეს პერიოდში გავათავისუფლებთ. ახლა კი, დროებით, 18 სთ-მდე ვწყვეტ საომარ ქმედებებს, ვაკეთებ „კორიდორს“, რათა რუსეთის საჯარისო ნაწილებმა ამ დერეფნით გაიყვანონ თავიანთი ნაწილები და დატოვონ ცხინვალის ტერიტორია“**. ე. ი. რა გამოდის? სააკაშვილს თურმე ბოლომდე გაუნადგურებია რუსეთის 58-ე არმია და ვინც კი ცოცხალი გადარჩა, მათთვის გაუკეთებია „კორიდორი“, რომ დატოვებინებინათ ცხინვალის ტერიტორია და თავიანთი დისლოკაციის ადგილს დაბრუნებოდნენ. არადა არავითარი რუსული არმია, გარდა სამშვიდობოებისა, მაშინ ცხინვალში არ ყოფილა. ახლა რომ ერთი ამბავია ატეხილი 8-ში კი არა, რუსეთის ჯარი საქართველოში 7 აგვისტოს შემოვიდაო, ესეც ყველაფერი ტყუილია. რუსეთის 58-ე არმიის საჯარისო ნაწილებმა საქართველოში შემოსვლა როკის გვირაბის გავლით 8 აგვისტოს საღამოს, პუტინის მიერ პეკინში ოლიმპიადის დაწყების დღეს გაკეთებული განცხადების შემდეგ დაიწყო. სწორედ იმ კორიდორით, სააკაშვილმა თავისი მოკლე ჭკუით, რუსეთის არმიას გასასვლელად რომ გაუკეთა. ყველა ტელევიზია გადმოსცემდა და აჩვენებდა, თუ როგორ მოემართებოდა რუსული სატანკო შენაერთები საქართველოსკენ როკის გვირაბის გავლით. ეს იყო 2008 წლის 8 აგვისტოს დღის მეორე ნახევარი. ამის შემდეგ მოხდა ის, რაც მოხდა და რასაც 162 პირტიტველა ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა. მაშინ, როცა ჩვენი გმირი ბიჭების ცხედრები ჯერ კიდევ ცხინვალის ქუჩებში უპატრონოდ ეყარა და დიდი სიცხეების გამო მათი გვამები იხრწნებოდა, იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებას მათ გადმოსვენებასა და ღირსეულად დაკრძალვაზე ეზრუნა, რუსთაველის პროსპექტზე დღენახევარში სამარცხვინოდ წაგებულ ომს ზეიმობდნენ და გამარჯვებად გვასაღებდნენ, ცხინვალში კი გაგლოევას ბებიის უსაფრთხო გამოყვანის ოპერაციით იყვნენ დაკავებული. აი, უმაღლესი მთავარსარდლის სახელმწიფოებრივი აზროვნება, სამშობლოსათვის თავგანწირული ჯარისკაცების ხსოვნის პატივისცემა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე სხვა „გონივრული ქმედებები“.

ამ რადიკალურ ოპოზიციას, ახლა რომ ერთი ამბავი აქვთ ატეხილი და ხელისუფლებას ადანაშაულებენ, რატომ რუსეთს სანქციები არ დაუწესეთ და ცხინვალის მიმართულებით მეორე ფრონტი არ გახსენითო, მათ და მაშინდელი საქართველოს მთავრობის მაღალჩინოსნებს მინდა მივმართო და ვკითხო: **იმ 162 დაღუპული ჯარისკაციდან, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს და ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ, რომელიმე მათგანი იყო მათი ძმა, მამა, ბიძა ან უბრალო ნათესავი მაინც? რა თქმა უნდა, არცერთი! ყველა ისინი ჩვეულებრივი პატიოსანი და წესიერი გლეხებისა და მუშების ოჯახის შვილები იყვნენ, თავიანთი შვილები კი გულმოდგინედ ჰყავდათ გადამალულები, ზოგს გერმანიაში და ზოგიერთს უფრო მოშორებით, ომის სუსხი რომ ნაკლებად ეგრძნოთ.** მინდა ბ-ნ ლაშა ბაქრაძეს მივმართო და ვკითხო, ახლა რომ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით გამოდის და ქვეყნის პატრიოტობაზე თავს სდებს, სად იყო და სად იმალებოდა მაშინ, როცა ქვეყანას ყველაზე მეტად უჭირდა, როცა სამშობლოს სიყვარულით გულანთებული პატრიოტი ახალგაზრდები თავს სწირავდნენ და სისხლს ღვრიდნენ სამაჩბლოში? **იქნებ ბ-ნი ლაშა, უსაფრთხო და თბილ ადგილზე მოკალათებული, გერმანიიდან უფრო მეტს აკეთებდა საქართველოს ტერიტორიების დასაბრუნებლად?** ასე რომ, ბ-ნო ლაშა, უნამუსობასაც აქვს საზღვარი. ძვირფასო ოპოზიციავ, თქვენ დღესაც ამ ნაცად, თქვენთვის სარგებელის მომტან პოლიტიკას განაგრძობთ და ასე, სხვის მიერ დაღვრილი სისხლის ხარჯზე გინდათ ხელისუფლებაში მოსვლა და ძალაუფლებით ტკბობა.

რაც შეეხება ჩვენს პრეზიდენტს, მისი არაადეკვატურობის შესახებ ქვეყანამ იცის და ამაზე აღარ შევჩერდები, მაგრამ ზოგჯერ მართალსაც ამბობს. პირველად სიმართლე მაშინ თქვა, როცა სააკაშვილი ომის დაწყებაში დაადანაშაულა, მაგრამ ოპოზიციის შეტევის შემდეგ ნათქვამი გადათქვა.

მეორედ, როცა განაცხადა, საქართველოს არმია არ ჰყავსო. არადა, პრეზიდენტის სასახლეში პრეზიდენტთან ამ შეხვედრას მეც ვესწრებოდი 2019 წლის 17 დეკემბერს. ქ-ნმა სალომემ დაახლოებით ასე თქვა: **„იმისათვის, რომ მსოფლიო დავიპყროთ, ჩვენ არმია არ გვყავს, მსოფლიო მხოლოდ ჩვენი განათლებითა და კულტურული მიღწევებით უნდა დავიპყროთო“**. ეს იყო და ეს, მეტი მას იმ შეხვედრაზე არმიასთან დაკავშირებით არაფერი უთქვამს. რა იყო ამაში აჟიოტაჟის ასატეხი და მისი ანათემაზე გადასაცემი, ვერაფერი გამიგია.

მესამე, როცა განაცხადა, საქართველოს ტერიტორიაზე არცერთი უცხო ქვეყნის საჯარისო ნაწილები არ უნდა იდგესო. ესეც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე სწორი პოზიცია და სრული ჭეშმარიტებაა.

მეოთხე, დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკოსებს შორის ლავროვი ყველაზე ძლიერი პოლიტიკოსიაო. ან ამაში რა არის ტყუილი, ერთი ლავროვი რომ სხვა დანარჩენი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს ერთად აღებულს, თავის ბერბოკ-ბლინკენებიანად ჯიბეში ჩაისვამს, ეს რა, ტყუილია? ფაქტია, რომ ქ-ნი ზურაბიშვილის ბოლოდროინდელი გამოსვლებიდან ზოგიერთს არაადეკვატურიც აღარ ეთქმის და უფრო მეტია, მაგრამ მისი ეს ტენდენციური და არაადეკვატური განცხადებები ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან რატომღაც კაციშვილს არ გაუკრიტიკებია. ასე რომ, ამერიკა-ევროპის ტანდემის მიერ თავსმოხვეულმა ორმაგმა სტანდარტმა და შერჩევითმა სამართალმა ისე მყარად გაიდგა ფესვები და ისე დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში, რომ შავისა და თეთრის გარჩევა ამ საკითხებში ჩახედულ და ბოლომდე გათვითცნობიერებულ პერსონებსაც კი უჭირთ.

ეს ყველაფერი კი შეგნებულად არის გამიზნული იმისთვის, რომ ამ შეცდომაში შეყვანილმა ადამიანებმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღონ და მათ წისქვილზე დაასხან წყალი. ამიტომ, აუცილებელია კანონის შემოღება პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ცრუ ინფორმაციის გავრცელებისათვის, მისი გამავრცელებლების მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.



ომარ გოცაძე
555 33 55 36

**P.S. წერილი რედაქციაში მისატანად მზად მქონდა, როც ბ-ნ ბიძინა ივანიშვილის მიერ ნათქვამმა ფრაზამ ბოდიშის მოხდის შესახებ, ოპოზიციაში დიდი ვნებათაღელვა და ერთი ვაიუშველებელი გამოიწვია. მოღალატე, ქვეყნის გამყიდველი, რუსეთის ინტერესების გამტარებელი და რაღა არ უწოდეს და რა ეპითეტებით აღარ შეამკეს ეს კაცი. არადა, მან სიმართლე თქვა, სწორედ რომ სააკაშვილის მიერ გატარებული უგუნური და ქვეყნის დამღუპველი პოლიტიკის გატარების გამო უნდა მოუხადოს ბოდიში სააკაშვილის ყოფილმა ხელისუფლებამ და ახლანდელმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, როგორც ქართველ, ასევე ოს ხალხს, ამ ორ მოძმე ერს შორის სისხლისმღვრელი ომის გაჩაღებისათვის, რომელსაც ამდენი უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი და ტერიტორიების დაკარგვა მოჰყვა. პირველ რიგში, ბოდიში იმ დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებსა და ახლობლებს უნდა მოუხადონ, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ და ყველაზე მეტი დანაკარგი განიცადეს ამ წინასწარ წაგებულ ომში.**

# 4000-მდე დაღუპული და დაშავებული – „მოსადის“ წარმოუდგენელი სპეცოპერაცია

მსოფლიოში ქაოსი და გაურკვევლობა კვლავ გრძელდება. სამწუხაროა, რომ ახალ მსოფლიო ომს ყოველდღიურად ვუახლოვდებით. ამის მიზეზი ცალკეული ქვეყნების მმართველების სიჯიუტე და გადაჭარბებული ამბიციებია. ყველას მოეხსენება, რომ პლანეტის სხვადასხვა რეგიონში, ფაქტობრივად, უკვე საომარი მოქმედებები მიმდინარეობს, რომლებსაც მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება. ახლა ყველა პოლიტიკოსისთვის მთავარი ამოცანა ბირთვული ომის თავიდან აცილება უნდა იყოს, რომელიც დამღუპველი იქნება კაცობრიობისთვის. ასევე, სამწუხაროა, რომ ვითარების განსამუხტავად ცოტა რამ თუ კეთდება მსოფლიო პოლიტიკაში.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ახლო აღმოსავლეთში. ისრაელისა და პალესტინის დაპირისპირება, ფაქტობრივად, გასცდა ორივე ქვეყნის საზღვრებს. გასულ კვირას ლიბანში მოსახლეობაში ერთდროულად რამდენიმე ათასი პეიჯერი აფეთქდა. გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსის“ ინფორმაციით, აფეთქებამდე ათი წამით ადრე პეიჯერზე ზარი შედიოდა, რის გამოც მომხმარებელი იძულებული იყო, აპარატი სახესთან ახლოს მიეტანა. არიან დაღუპულები და დაშავებულები. აფეთქების შედეგად, ასევე, დაზარალდა ირანის ელჩი ლიბანში, რომელმაც ერთი თვალი დაკარგა, მეორე მნიშვნელოვნად დაუზიანდა.

ექსპერტების შეფასებით, პეიჯერებით შეტევა ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. რაც მთავარია, მსგავსი ოპერაციების განხორციელება საერთაშორისო სამართლის ნორმებით აკრძალულია. პეიჯერების დეტონაციაში ლიბანის ხელისუფლებამ იმთავითვე ისრაელის ხელისუფლება დაადანაშაულა. თუმცა, თელ-ავივში მომხდარზე თითქმის ერთი კვირის განმავლობაში დუმდნენ.

მხოლოდ კვირას განაცხადა ისრაელის პრეზიდენტმა ჰერცოგმა, რომ მის ქვეყანას არანაირი ბრალი არ მიუძღვის პეიჯერების აფეთქებებში. თუმცა, თავისმართლების უკვე აღარავის სჯერა.

გავრცელებული ინფორმაციით, ლიბანის მოძრაობა „ჰეზბოლას“ წევრებმა პეიჯერების გამოყენება მას შემდეგ დაიწყეს, როდესაც დარწმუნდნენ, რომ მათი ტელეფონები, მათ შორის, მობილურები, მარტივად ისმინებოდა ისრაელის დაზვერვის მიერ. სააგენტო „როიტერი“ საკუთარ წყაროზე დაყრდნობით დაბეჯითებით იუწყება, რომ აღნიშნული ხუთი ათასი პეიჯერი ისრაელის დაზვერვამ ჩაიტანა. აპარატები ლიბანელებმა ტაივანის ერთ-ერთ კომპანიას დაუკვეთეს. როგორც იუწყებიან, ისრაელის დაზვერვამ აპარატების მწარმოებელი რამდენიმე საიდუმლო საწარმო შექმნა, სადაც ტაივანის მარკით ამზადებდნენ პროდუქციას. სწორედ იქ ჩაამონტაჟეს ასაფეთქებელი ნივთიერება, რომლებიც ლიბანელებს ტაივანის ნაწარმი სახით მიჰყიდეს.

ტაივანის ხელისუფლებამ გააკრიტიკა საკუთარი ქვეყნის კომპანიების სახელის ბინძურ აქციაში გამოყენება, რაც მათ რეპუტაციას აკნინებს.

ამერიკის შეერთებული შტატების გამოცემების ინფორმაციით, პეიჯერებში, ტელეფონებში და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებში ასაფეთქებელი მოწყობილობების ჩამონტაჟება ისრაელში 15 წლის წინ დაიწყეს, მაგრამ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო გამოყენების ნებას არ აძლევდა. არაბული საინფორმაციო სააგენტო სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ ამჯერად აღნიშნული ოპერაციის ჩატარებას ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ თავისი კაბინეტის წევრებთან და დაზვერვის სამსახურების ხელმძღვანელებთან დახურული შეხვედრის შემდეგ დათანხმდა.

პეიჯერების შემდეგ აფეთქება დაიწყეს რაციებმა, კავშირგაბმულობის სხვადასხვა მოწყობილობებმა, რომლებიც ლიბანელებმა ბოლო ხუთი თვის განმავლობაში შეიძინეს. ქვეყნის მოსახლეობა შეშინებულია და უკვე ეჭვის თვალით უყურებს საყოფაცხოვრებო მოწყობილობებს. მოძრაობა „ჰეზბოლას“ ლიდერი ჰასან ნისრალა ისრაელელებს დაემუქრა, რომ მათ ქმედებას უპასუხოდ არ დატოვებენ. მომხდარი, ფაქტობრივად, ტერორისტული აქტი დაგმეს ლიბანის ხელისუფლების პირველმა პირებმაც, რომლებიც ცდილობენ, დისტანცია დაიცვან მოძრაობა „ჰეზბოლასთან“ ურთიერთობაში.




ნივთიერება, რომელსაც ასაფეთქებლად იყენებენ, რამდენიმე წლის წინ სამხედრო ექსპერტებთან ერთად შეისწავლეს ჟურნალისტებმა. აღმოჩნდა, რომ ეს ნივთიერება რამდენჯერმე ძლიერია, ვიდრე ტროტილი და ამიტომაც არის დიდი მსხვერპლი, მათ შორის, მოსახლეობაში, ისრაელელი სამხედროების განცხადებით, ასაფეთქებლიანი მოწყობილობებით ისინი „ჰეზბოლას“ წევრების ლიკვიდაციას ახდენენ. თუმცა, პეიჯერებს ხომ მხოლოდ ამ მოძრაობის წევრები არ ყიდულობდნენ.

პეიჯერებითა და რაციებით შეტევა ერთია, მაგრამ ვითარება უკიდურესად არის დაძაბული ისრაელსა და ლიბანს შორის. გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ ისრაელის ჯარების გენერალურმა შტაბმა შეაფასა და დაგეგმა ქვეყნის ჩრდილოეთით, ლიბანის მიმართულებით ფართომასშტაბიანი შეტევა. გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელს ბუფერული ზონის შექმნა სურს. ლიბანელები მათ განზრახვას ომის ოფიციალურ გამოცხადებად აფასებენ.

სახმელეთო ოპერაციის დაწყებამდე ორივე ქვეყანა სარაკეტო დარტყმებს რეგულარულად ახორციელებს. გასულ კვირას „ჰეზბოლას“ მებრძოლებმა ისრაელის ოთხ სამხედრო ბაზას მიაყენეს სარაკეტო დარტყმა, მათ შორის, რამატ-დავიდში არსებულ სამხედრო-საავიაციო ბაზას. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც „ჰამასმა“ რაკეტები იმ რაიონის მიმართულებით ისროლა. ქალაქი საბრძოლო არეალიდან ყველაზე შორს მდებარეობს, რამაც სერიოზულად დააფიქრა ისრაელის სამხედრო მაღალჩინოსნები.

ისრაელელი ჯარისკაცები, რომლებიც კბილებამდე იყვნენ შეიარაღებულები, გასული კვირის ბოლოს კატარის ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“ ისრაელის ოფისში შეიჭრნენ და თანამშრომლებს მოუწოდეს, დაეტოვებინათ სამუშაო ადგილები. სამხედროების განცხადებით, პრესის საქმიანობა 45 დღით აიკრძალა. ფაქტზე საერთაშორისო ორგანიზაციებს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.



ისრაელის დიდ ქალაქებში ყოველ შაბათს იმართება აქციები საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის, მძევლების გათავისუფლების, ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით. ამის გარდა, როგორც იუწყებიან, ისრაელის ხელისუფლებამ თავისი ერთპიროვნული მოქმედებით, სიჯიუტით, შესაძლოა, უახლოესი მოკავშირეები დააკარგვინოს ქვეყანას. „ჰამასთან“ დადებული უკვე მერამდენე შეთანხმება დაირღვა, ძნელი სათქმელია. ამიტომაც უკმაყოფილებას უკვე ველარ მალავენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტშიც. ქვეყანაში არსებული ვითარების მიუხედავად, ნეთანიაჰუ ნიუ-იორკში ჩავა, სადაც სიტყვით გამოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 79-ე ასამბლეაზე, რომელიც ორშაბათს, 23 სექტემბერს დაიწყო და ერთ კვირას გასტანს.

აშშ-ში ჩავა უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი, რომელიც გაერო-ს ასამბლეაში მონაწილეობის გარდა, გეგმავს აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან შეხვედრას. მანამდე კი, გასულ კვირას მან თხოვნით მიმართა მსოფლიო პატრიარქს, რათა სასამართლოში უჩივლონ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას, მათ შორის, უკრაინის მართლმადიდებელ პატრიარქს. შეგახსენებთ, რომ უკვე თვეზე მეტია, ზელენსკიმ უკრაინაში მართლმადიდებლობა აკრძალა.

ახლო აღმოსავლეთში ვითარების შეცვლას ცდილობს თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიპ ერდოღანი. აშშ-ში გენასამბლეის დაწყებამდე გამართულ ბრიფინგზე მან მზადყოფნა გამოთქვა სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადთან შეხვედრაზე. „ჩვენ უკვე გამოვთქვით სურვილი ასადთან შეხვედრაზე თურქეთ-სირიის ურთიერთობის ნორმალიზაციის მიზნით. ახლა ჩვენ ველოდებით პასუხს. მჯერა, ამ შეხვედრით ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყება“, — განაცხადა ერდოღანმა. მისივე თქმით, დადგა დრო, ბო9ლო მოეღოის სირიასთან დაძაბულ ურთიერთობას.

წლების წინ თურქეთი მჭიდროდ თანამშრომლობდა დამასკოსთან. 2011 წელს სირიაში დაწყებული სამოქალაქო ომის დროს თურქეთმა სირიის პრეზიდენტის მოწინააღმდეგეებს დაუჭირა მხარი. ახლა პოზიცია შეიცვალა, რადგან ერდოღანს სირიაში საკუთარი ინტერესები აქვს.

დაველოდოთ გაერო-ს გენასამბლეაზე მოვლენების განვითარებას, რაც მსოფლიოს მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ აშშ, იაპონია, ინდოეთი, ავსტრალია მოუწოდებენ გაერო-ს უშიშროების საბჭოს, დაიმატოს ახალი წევრები.

მოკლედ, საინტერესო მოვლენები გველის. მთავარია, მიღებული რეზოლუციები მსოფლიოს ქვეყნებმა უპირობოდ შეასრულონ.

**გია ბურდული**

# „თეთრი ქარავანი“, „მაია წყნეთელი“, კეთილი დევი და მე...

1962 წელს ქართული მხატვრული ფილმის, „თეთრი ქარავანის“ გადაღება დასრულდა, მაგრამ საბჭოთა კინოცენზურამ ფილმი არ მიიღო. 1964 წელს ფილმი კანის ფესტივალზე მაინც მოხვდა, რაც მხოლოდ იმდროინდელი კინომოღვაწეების დამსახურებაა. რა თქმა უნდა, მაშინ, იმ დროს, ფილმის შემქმნელები საკუთარი შეხედულებისამებრ კანის ფესტივალზე ვერ და არ წავიდოდნენ, ამდენად, ვერც წითელ ხალიჩაზე გაივლიდნენ.

გავიდა 55 წელი და „თეთრი ქარავანი“ ისევ მოხვდა კანის ფესტივალზე, ამჯერად კანის ფესტივალის ისტორიაში იშვიათი შემთხვევის გამო — კანის ფესტივალის კლასიკური ფილმების სიით მხოლოდ იმ ფილმებს აჩვენებენ, სადაც მარადიული ფასეულობებია წინ წამოწეული. ფილმი ფესტივალის კლასიკური ფილმის სახით მეორედ აჩვენეს კანში და წითელ ხალიჩაზე მაინც გაიარეს ელდარ შენგელაიამ და იმედო კახიანმა. სამწუხაროდ, დროის ჩარხის ბრუნვამ ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის დანარჩენ წევრებს ამის საშუალება არ მისცა... ამჯერად ფილმის განხილვას არ ვაპირებ, მხოლოდ იმის გადმოცემა მინდა, რაც ყოველთვის კადრსმიღმა რჩება და საინტერესოა.



ბიძაჩემი, პლატო ძია (პლატონ სეხნიაიძე) ფიზიკურად უძლიერესი კაცი იყო, მაგრამ ბავშვივით მიამიტი, ბოროტება რა იყო, არ იცოდა, კეთილ დევს ჰგავდა. იმ დროს, როგორც ყველა ჯანმრთელი თუში მამაკაცების უდიდეს უმრავლესობას, მასაც ცხვარი ჰყავდა და განსაკუთრებული გარჯის გამო ძალიან ბევრიც. პლატო ძია ოჯახთან ერთად თელავში ცხოვრობდა და როგორც ხელგაშლილ და ლაღ კაცს, უამრავი მეგობარი ჰყავდა. მათ შორის იყო კოლია აბულაძე. კოლია ძიას და შემდეგ უკვე მის შვილებსაც, ძალიან უყვარდათ თელავი. სამი შვილი ჰყავდა პლატო ძიას და მეოთხედ მე ვყავდი მიკრული — პატარაობიდანვე ლამის მათთან ვიზრდებოდი, სკოლის ყველა არდადეგებზეც იქ ვიყავი, წელიწადში ოთხჯერ.

ერთხელაც, კოლია ძიას შვილი, ვოვა ჩასულა თბილისელ სტუმრებთან ერთად. პლატო ძიას შვილს, ნინიკოს (ფატი), ზუსტად არ ახსოვს ყველა მათგანის ვინაობა, მაგრამ ექვსი კაციდან თამაზ მელიავა და მერაბ ელიოზიშვილი, დანამდვილებიც იცის, რომ იყვნენ. ვოვა ცკ-ის მდივნების რეფერენტი იყო, კოლია ძიას დისშვილი კი, ლეო ონიკაშვილი (ონიკოვი) — ბრეჟნევისა, ამდენად, სსრკ-ის რეალობაში დაფარული წონა ჰქონდათ. პლატო ძიას უამრავი თავგადასავალი ჰქონდა თავს გადახდენილი და ბევრ რამესაც იყო შესწრებული. შესაბამისად, საინტერესო ამბები იცოდა. სუფრაზე ვოვას უთხოვია, პლატო ძია, რამე საინტერესო ამბავი მოგვიყევი, „კინოს ხალხია“, ამათ ყველაფერი აინტერესებთო.

1950 წლამდე მოხდა ეს ამბავი — ერთ წელს ცხვარ-ძროხა და ყველა სულიერი გაეყინა პლატო ძიას, ხოლო მეორე წელს, როდესაც ცხვარი შირვანის ზამთრის საძოვრებზე იყო, ფარა წყალმა წაიღო, დიდძალი ზარალი ნახა. არც ემოციები იყო გადავლილი, არც მატერიალური ზარალი იყო ანაზღაურებული და თავისი საწუხარი ჰქონდა კაცს, რა ამბებიც ხდებოდა ადგილზე იმ დროს, ის ამბები მოუყვა პლატო ძიამ სუფრის წევრებს და ფილმის სცენარის იდეაც დაიბადა.

ობლობაში გაიზარდა პლატო ძია — სამი ძმა დარჩა ობლად. ვინაიდან თვითონ უფროსი იყო, 12 წლის, ის პატრონობდა პატარა ძმებს. ბავშვები ინტერნატში იყვნენ მიბარებულები. ფილმში იმედო კახიანი პლატო ძიას პროტოტიპია, სპარტაკ ბაღაშვილი კი — ალექსა ძიასი. ბავშვებმა არ იცოდნენ, რომ დაობლდნენ. პლატო ძია რომ ბარში ჩავიდა, რიყეზე ამხანაგები შეხვედრიან, სად გარბიხარ, ვითამაშოთო. დედას ჩავეხუტები და მოვალო. რას ჩაეხუტები, დედაშენი მოკვდა, ვითამაშოთო, — მიუხლიათ ბავშვებს. პლატო ძია სახლში აღარც მისულა, საღამომდე ალაზნის პირას უტირია და გაბრუნებულა ცხვარში...

თუშეთის ალაზანში უკონტროლო თვითნასწავლი ცურვა იცოდნენ ძმებმა. ერთ დღეს, ალაზანი რომ ავისმომასწავებლად იყო ადიდებული, არადა, ცხვარს აგვიანდებოდა, ცხვრის გადასარეკ ტრასაზე რიგი დადგა, შეუძლებელი იყო მდინარის გადალახვა. რადგან ყველა ფარა ერთი გზით მიდის, პირველი და მეორე ფარაა გამძღარი, ყოველი მომდევნო, უკვე გადაძოვილზე მიდის, ამიტომ მეცხვარეები ცდილობენ, რომ სათავეში მოექცნენ. ამის გამო მოკლეებზე გადადიან, სადაც ამის საშუალებას რელიეფი იძლევა, მაგრამ სახიფათოა და ყველა ვერ რისკავს.

მოკლეებზე სიარულის შემდეგ, ალაზანი რომ გაივაკებს, რაღაც მდინარე ერთვის და ეს ძალიან მაცდუნებელი ადგილია, გვარიანად ჭრის მანძილს, მაგრამ აშკარა საშიშროების გამო ყველა ვერ რისკავს. ჩვეულებრივ სიტუაციაში, ფონისმაგვარ ადგილს მოძებნიან, იმ სიღრმეს, რომ ცხენმა ფეხი მოიკიდოს, მდინარის მთელ სიგანეზე ცხენებს ჩააყენებენ, ზემოთ კი, ფარის პატრონი ჭედილას რქაში ჩაავლებს ხელს და მეორე ნაპირისკენ მიცურავს უკან ადევნებული ფარით. თუ მდინარე ცხვარს გაიტაცებს, ქვემოთ ჩაყენებული ცხენები იკავებენ და უვნებლად გადიან ნაპირზე. იმ შემთხვევაში, რომელზეც ვამბობ, შეუძლებელი იყო ასეთი ხერხით გადასვლა, ცხენი მხედრიანად ჩაიმალებოდა წყალში. ფარას თხა მიუძღვის, მაგრამ მდინარეზე გადასვლისას ჭედილაა წამყვანი.

გამატარეთ, მე გავალო — პლატო ძიამ უკან ჩამოიტოვა სხვა ფარები და ასაკით მომდევნო ძმასთან, ვანიასთან ერთად ჭედილებს ჩაავლეს რქაში ხელი და მდინარეში შევიდნენ. კბილებით ეკავათ ჭედილები რქებით და კვეთდნენ ადიდებულ ალაზანს. უკან ათასობით სული ცხვარი მიჰყვა და ისე გავიდნენ გაღმა ნაპირზე, რომ ერთი ცხვარი არ წაუღია წყალს. ასეთ კაცს რომ წყალი ფარას მოსტაცებდა, ცხადია, სამუდამო ხინჯად დააჩნდებოდა...

უამრავი ყონაღი (მეგობარი) ჰყავდა პლატო ძიას ყველა იმ ტერიტორიაზე და ყველა ის ენა და ენის დიალექტი იცოდა, სადაც ცხვარს გავლა უწევდა ან ბანაკდებოდა; სადაც მატყლის ჩამბარებელი პუნქტები და ა. შ. იყო, სადაც ცხვარ-მეცხვარეობას რამე შეხება ჰქონდა. ისეთი მეგობრობა ჰქონდა მათთან, რომ ყონაღებს აზერბაიჯანიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან მასთან შემოჰქონდათ ტონობით მატყლი. პლატო ძია ამბობდა, მაინც რუსეთში უნდა წავიდეს და რა მნიშვნელობა აქვს, საიდან წავა, ასე კიდე საძმაკაცოც ვხეირობთ და საქართველოცო — ფაქტობრივად, პლატო ძიას ყონაღობით საქართველოს რესპუბლიკა ხეირობდა, გადაჭარბებით ბარდებოდა მატყლი.

ერთ დღეს, აზერბაიჯანის მატყლით დატვირთული პლატო ძიას „გრუზავიკების ქარავანი“ რომ მოადგა წითელ ხიდს, პატრიოტ აზერბაიჯანელ მთავარ მესაზღვრეს დიდი ამბავი აუტეხია, სად მიგაქვს ჩვენი მატყლი, ახლავე დავრეკავ, სადაც საჭიროაო. პლატო ძიას უთქვამს, მოიცა, ნუ ხტუნაობ, ჯერ მე დამარეკინე ერთ კაცთანო. დაარეკინა. მოგეხსენებათ, იმ დროში „დამარეკინე“ სახიფათო სიტყვა იყო. თურმე, ეს საზღვრის უფროსი ბიძის გაზრდილი ობოლი ბიჭი ყოფილა, მისი ბიძა კი პლატო ძიას ყონაღი იყო, წლების წინათ ციხისგან იხსნა — შენ რომ დღეს კარგად ხარ და მანდ ხარ, მაგ კაცის დამსახურებაა, გაატარეო.

სხვათა შორის, იკარგება ეს ცოდნა და უნდა ვიცოდეთ, რომ შირვანი, ისტორიული ქვეყანა აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კავკასიის ალბანეთის ნაწილი იყო. ირანის მიერ შირვანის კოლონიზაციისა და დიდი მშენებლობების ხანაში დაერქვა სახელი შირვანი და, შესაბამისად, სასანიანთა მიერ დანიშნული ადგილობრივი მმართველის წოდება „შირვანშაჰი“. ამიერკავკასიაში თურქთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში დავით აღმაშენებელი შირვანს ამოუდგა მხარში და მისმა



პლატო ძია
(პლატონ სეხნიაიძე)

რამდენიმე ძლევამოსილმა ლაშქრობამ თურქეთისგან იხსნა. საქართველოს სიუზერენობით ორი ქვეყნის მრავალმხრივი მჭიდრო ურთიერთობა შემდგომშიც გაგრძელდა და ამ დროიდან გაჩნდა საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში წოდება „შირვანშა“.

შირვანი საქართველოს სამეფოს დაქვემდებარებაში იყო და მხოლოდ საქართველოში მონღოლთა ბატონობის შედეგად ჩამოსცილდა, თუმცა ქართველი მონარქები „შირვანშაჰის“ ტიტულს XVI საუკუნემდე ატარებდნენ.

ფილმის გადაღება, მით უმეტეს, მაშინ, დროში გაწელილი იყო და პლატო ძია ბობოქრობდა თურმე, რა გამიჭირეს საქმე, უსაქმური მნახესო? ფილმში ცხვარ-მეცხვარეები თუ ჯორ-ცხენი, ზოგადად, ყველაფერი, რაც კინოსტუდიის არ არის, ყველაფერი პლატო ძიას ყოველდღიურობისაა, მისი კუთვნილებაა, მაგრამ ამის შესახებ ტიტრებში არანაირი მინიშნება არ არის. ეს რომ შეუმჩნევია პლატო ძიას, საყვედური უთქვამს ვოვასთვის, ორი წელი მაწამეთ და ერთი სიტყვის ღირსად არ ჩამთვალეს, რომ რამე მიეწერათო? ვოვა შეშფოთებულა, რას ამბობ, პლატო ძია, შენი ხსენება როგორ შეიძლებოდა, მაგას გაგიკეთებდიო? საქმე ის იყო, რომ პლატო ძია იმ დროს ლაგოდეხის რაიონის, ულიანოვკის ფერმის გამგე იყო და მეურნეობის ცხვართან ერთად საკუთარი ცხვარიც მასთან ჰყავდა გაერთიანებული, რაც საციხო საქმე იყო და გაუფრთხილდნენ.

(გაგრძელება იქნება)





# ქართველ მოსამართლეთა დასანქცირების პოლიტიკას დასავლეთმა უნდა გადახედოს




თვრამეტი წელია, რაც საადვოკატო საქმიანობას ვეწევი და ვერაფრით გავიგე დასავლეთის მხრიდან ქართული მართლმსაჯულების დასანქცირების მართებულობა.

დღემდე ვერ ვხსნი, საერთოდ, რა მოვლენა ან რა ფენომენია, უარი უთხრა ქართველ მოსამართლეებს გამოტანილი ვერდიქტის გამო, აუკრძალო მათ, კვალიფიკაცია აიმაღლონ, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პროფესიული გამოცდილების ფონზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სანქციებთან დაკავშირებით ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში, როგორშიც დღეს იმყოფებიან, ჩვენი მოსამართლეები, ალბათ, არასოდეს ყოფილან. ეს ყველაზე კარგად შესამჩნევია დამცველის ტრიბუნიდან, საიდანაც უკეთესად ხედავ თემიდის ნებისმიერ განწყობას.

სისხლის სამართლის ერთ საქმეზე კლიენტის ინტერესებს ვიცავ, ამის გამო უკანონოდ დასჯილ ერთ-ერთ მოსამართლესთან მომიწია პროცესუალურმა ურთიერთობამ (შეგნებულად არ მსურს ამ მოსამართლის სახელისა და გვარის გამჟღავნება), რომელიც გაურკვეველი მიზეზების გამო დაასანქცირეს. დღემდე მახსოვს მისი შეშფოთებული გამომეტყველება და სახეზე აღბეჭდილი შეკითხვა - რატომ? ერთ-ერთ მორიგ პროცესზე, ამ დასჯილმა მოსამართლემაც, რომელმაც მომხდარის გამო კოლეგებს უხერხულობა შეგვატყო, ვერ დამალა შეშფოთება და პირდაპირ გვითხრა, რომ ვერ ხვდება, რაზე დაყრდნობით მიიღო ამერიკის საელჩომ გადაწყვეტილება ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. არადა, პატიმარი, ვისი ბრალდების გამოც ის დასაჯეს, საჯაროდ აცხადებდა, რომ მისი მოსამართლე გამოტანილი ვერდიქტის გამო აღარ განეკითხათ.

სასამართლო სისტემის ასეთი დაბნეულობა რომ ძირს უთხრის მთელ მართლმსაჯულების სისტემას, არახალია, თუმცა, მოსამართლეთა დასანქცირების საკითხი კვლავ ღიად რჩება.

საერთოდ, იურისტებს არ გვიყვარს პოლიტიკური შეფასებების მიხედვით დასკვნების გამოტანა. მთავარია, ამა თუ იმ გადაწყვეტილებას რა მტკიცებულებები უძღვის წინ. როგორც აღმოჩნდა, მოსამართლეთა დასანქცირების არც ფორმალური და არც სამართლებრივი მიზეზი არ არსებობს და რომ დასავლეთი ზოგიერთი ენჯეო-ს წყალობით, შეცდომაშია შეყვანილი.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ქართული მართლმსაჯულების სისტემა მთლიანად თანამედროვე საერთაშორისო სამართალზეა აგებული. რომ არა უცხოური ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ლექცია-სემინარები, ვერასოდეს შევიტყობდით, მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სისტემისა და მისი სიკეთეების შესახებ. ამისთვის დონორი ორგანიზაციების მადლიერი ვართ, მაგრამ, როცა შენ გვასწავლი, რომ უნდა დავიცვათ უდანაშაულობის პრეზუმპცია, თავად რატომ ამბობ მასზე უარს? ისე, როგორც ჩვენი მოსამართლეების დასანქცირების შემთხვევაში მოხდა? არადა, დასავლეთში მოსამართლეს იმუნიტეტი იცავს და მისი საქმიანობა არავითარ შეზღუდვას, მით უმეტეს, დასანქცირებას არ ექვემდებარება. არ გვახსენდება საზღვრებს გარეთ არაორდინარული გადაწყვეტილებების გამოტანის გამო მოსამართლეთა დასჯის ფაქტები. არც იმის შესახებ გვსმენია, მაგალითად, რა დაემართა გერმანიაში წლების წინ განხორციელებული ტერორისტული აქტის „შემოქმედის“ მსაჯულს, რომელმაც არაერთი ბავშვის სიცოცხლე შეიწირა და გამკაცრების ნაცვლად სასჯელი შეუმსუბუქდა?

ვიდრე მოსამართლეთა ხელშეუხებლობის საერთაშორისო ფაქტებზე ვისაუბრებთ, უნდა გვახსოვდეს ჩვენი ეროვნული კანონმდებლობა და ისიც, საქართველოს კონსტიტუცია როგორ იცავს მოსამართლეს და რომ მის საქმიანობაში ნებისმიერი ჩარევა დაუშვებელია.









**საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რამე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით.**

შესაძლოა, მოსამართლეს დაეკისროს დისციპლინური სასჯელი, რომელსაც დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს, ან, თუ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მოქალაქისათვის მიუღებელია, არსებობს სხვა ინსტანციებიც, სადაც სამართლის პოვნა, ხშირ შემთხვევაში, დღევანდელ პირობებში შესაძლებელია.

ამ მხრივ საინტერესოა ევროპული ქვეყნების გამოცდილებაც. მაგალითად, ევროპაში, კერძოდ, გერმანიის ერთ-ერთი საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, მოსამართლე ბევრად და უფრო კვალიფიციურად არის დაცული თავისი საქმიანობის წარმართვისას, ვიდრე თუნდაც აღმასრულებელი ხელისუფლების საჯარო მომსახურე. შედეგად, შესაძლებელია, რომ სასამართლოს ხელისუფლებისათვის რაიმე ფორმით პასუხისმგებლობის დაკისრება, მათ შორის, გადაწყვეტილების გაჭიანურებისათვის პასუხისმგებლობა, წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებული „დამოუკიდებლობის“ პრინციპის დაუშვებელ დარღვევას. ამასთან, მოსამართლის ქმედება, რომელსაც საფუძვლად უდევს შინაგანი რწმენა, არ შეიძლება გახდეს პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. **კერძოდ, თუ მოსამართლე დაუშვებს შეცდომას, მაგრამ დადგინდება, რომ იგი უფლებამოსილებას ახორციელებდა შინაგანი რწმენისა და კეთილსინდისიერების საფუძველზე, მიიჩნევდა, რომ მოქმედებდა მართლზომიერად და არ გააჩნდა პირადი ინტერესი,** მაშინ აღნიშნული საფუძვლით მოსამართლის პასუხისმგებლობა დაუშვებელია. ვინაიდან ეს პირდაპირ უქმნის საფრთხეს მოსამართლის ხელშეუხებლობას და მთლიანად სასამართლოს დამოუკიდებლობას. შესაბამისად, მოსამართლის ქმედება არ მიიჩნევა გადაცდომად, თუ ის მოქმედებდა შინაგანი რწმენის საფუძველზე.

დიახ, მალე დადგება დრო, როცა დასავლეთი გადახედავს თავის პოლიტიკას დასანქცირებულ ქართველ მოსამართლეებთან დაკავშირებით, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ მათი თითოეული გადაწყვეტილების მიღმა იდგა არა პოლიტიკა ან ვინმეს ინტერესი, არამედ ის შინაგანი რწმენა, რომელიც საქმეში არსებული მტკიცებულებით იქნა ნაკარნახევი. თუ ეს ასე არ არის, საქართველოში აკრედიტებულო ძვირფასო დიპლომატებო, ამ ხელისუფლების პირობებში რატომ იზრდება გამამართლებელი განაჩენების რიცხვი, რომელიც ხშირად პოლიტიკოსებსაც შეხებია?

არცერთ ქვეყანაში სასამართლო არ არის იდეალური და, ბუნებრივია, არც საქართველოა გამონაკლისი. ქართველი ემიგრანტებისგან ბევრჯერ გვსმენია საზღვარგარეთ წლობით გაგრძელებული სასამართლო პროცესებისა და იმ ბიუროკრატიის შესახებ, რომელსაც ხშირად მათი დრო და ნერვები მიაქვს.

და ბოლოს, საქართველოს მთავრობამ არაერთხელ მიმართა დასავლეთს, გადაეხედათ მოსამართლეთა დასანქცირების ფაქტებისთვის, მდგომარეობა ჯერჯერობით, არ შეცვლილა, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს და სამართალიც იზეიმებს.

ლევან ჭიღლაძე

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99